

178
1998

საგარეო

პრაქტიკა ● მეცნიერება ● პუბლიცისტიკა

1-2
1998

IUS

TBILISI GEORGIA

სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 1-2

1998

ინვარი-თებერვალი

გამომდის 1926 წლიდან

პრაქტიკა ● მეცნიერება ● კუბლიცისტიკა

მთავარი რედაქტორი
ჯურაბ რატიანი

სრედაქციო კოლეგია:

- ჯამლათ ბაბილაშვილი
- ველა ბერძენიშვილი
- (მთ. რედაქტორის მოადგილე)
- ვლადიმერ ბარათაშვილი
- ოთარ გამყრელიძე
- ჯემალ გასოკიძე
- ავთანდილ დემეტრაშვილი
- ბესარიონ ჯორიძე
- გივი ინჟირველი
- მზია ლეკვიშვილი
- ნოდარ ნებიერიძე
- თევდორე ნინიძე
- ნუგზარ საჯანია
- მიხეილ სააკაშვილი
- გიორგი ტყეშელაშვილი
- მინდია უგრეხელიძე
- რომან შენგელია
- შალვა ჩიკვაშვილი
- ლალო ჭანტურია
- სერგო ჯორჯანაძე

ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია, საქართველოს იურისტთა კავშირი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა,

34

გკითხველთა საუბრაღმადღი

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვაწოდეთ მისამართით: 880046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.

ტელ.: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი: 0880, ინდექსი 76185.

ფასი სახელშეკრულებო.



საკიბავლი

| | |
|---|----|
| მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს | 3 |
| სასამართლო რაზმობა | |
| მინდია უგრეხელიძე — სამართლიანი, სწრაფი, ქმედითი მართლმსაჯულებისათვის | 4 |
| ნუგზარ ბირკია — „ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან...“ | 11 |
| შეღარაბიტი სამართალი | |
| იური გაბისონია — პროკურატურის თეორიის მეთოდოლოგიური, ტერმინოლოგიურ-ცნე- ბითი და კლასიფიკაციის პრობლემები | 18 |
| თვალსაზრისი | |
| გიორგი მოხეიანი — დაცვის უფლების პრობლემა | 26 |
| აქტუალური პრობლემა | |
| დავით სუხიტაშვილი — შეძენითი ხანდაზმულობის შესახებ | 31 |
| კერძო სამართალი | |
| გიორგი გვიშიანი — მფლობელობისა და საკუთრების უფლების ადგილი სანივთო სა- მართალში | 39 |
| ვახტანგ ხუციშვილი — გირაო როგორც აღკვეთის ღონისძიება | 45 |
| უცხოეთის გამოსცდილება | |
| გია ლილუაშვილი — ოფერტა საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ამერიკის სავაჭრო კოდექსით | 51 |
| ბაკურ ლილუაშვილი — განვითარებული ქვეყნების ფერმერული მეურნეობის სტრუქტურა | 56 |
| ფილოსოფია და სამართალი | |
| ზაზა ნანობაშვილი — სასჯელის რაობა ფილოსოფოსთა თვალსაზრისით | 59 |
| ნისხლის სამართალი | |
| ზაქარია (ზაზა) ინწკირველი — ბრალდებულის დაკითხვის პროცესუალურ-ეთიკური მხარე | 63 |
| მალხაზ ბაძაღუა — ჯგუფურ დანაშაულთან ბრძოლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი | 67 |
| პაატა კობაღაძე — პროცესის მონაწილეთა უფლებების განხორციელების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი წინასწარ გამოძიებაში | 71 |
| სამართლის ისტორია | |
| დავით ბოსტოღანაშვილი — ოჯახის გაყრის წესები აღმოსავლეთ საქართველოში | 76 |
| რეპლიკა | 80 |
| ავტორთა საყურადღებოდ! | 80 |

რედაქციის მისამართი: 880046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.
ტელ. 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

გადეცა წარმოებას 12.01.98 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.02.98 წ.,
ფორმატი 70X108^{1/16}, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 24. ტირაჟი 500.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „სამშობლო“,
თბილისი-880096, მერაბ კოსტავას 14



ედუარდ შევარდნაძეს

ღრმად პატივცემულო ედუარდ!

საქართველოს იურიდიული საზოგადოება გულწრფელად მოგესალმებათ და მოგილოცავთ თქვენი ბიოგრაფიის მნიშვნელოვან თარიღს – დაბადების 70 წლისთავს, გისურვებთ ყოველივე სიკეთეს, ადამიანურ ბედნიერებას, შემდგომ წარმატებებს მოღვაწეობის სარბიელზე, ჩვენი ქვეყნის უსასრულოდ თავგაომობას მისდა საკეთილდღეოდ.

ბატონო ედუარდ, ერთობ ძნელი და სათუთია თქვენგან განვლილი ცხოვრების სრულად გააზრება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, გზა იგი საზოგადოებრივ მოვლენათა ტოლფასი და განუზიარებელია, საუკუნის დასასრულს მსოფლიო ისტორიის განუყოფელი ნაწილი და მისი იერსახეა.

უხვად დაგანათლად ზენაარამა ნიჭი და უნარი იმთავითვე ყოფილიყავით ფრიად გამორჩეული მოასპარეზე, რამაც გქმნათ მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსად და დღემდე ასე აღმატებულად ხართ მისგან შერაცხული.

ამჟამად უძძიმესი ტვირთის მზიდავი ბრძანდებით, ბატონო ედუარდ და ამის კვალობაზე თქვენს ხელთაა ის კომპასი, რომლითაც ჩვენი სახუკვარი ქვეყანა ფონს გასვლას ლამობს, რასაც მიაღწევს კიდევ, თუ რა თქმა უნდა, იქნება ადამიანთა თავდაუხრელი შრომა, ურთიერთდათმობა და პატივისცემა.

პატივცემულო ედუარდ, დამოუკიდებელი განვითარების გზაზე შემდგარი საზოგადოებისათვის, ერთობ არსებითია ღონისძიებათა ის სერიალი, რომელიც რეფორმების სახით, რესპუბლიკის სამართლებრივი ცხოვრების სფეროში თქვენი უშუალო მონაწილეობით ხორციელდება. კანონშემოქმედებითი აქციების თანმიმდევრულად გატარება ქვეყანას, უეჭველად ცივილიზებული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლის იმიჯს უქმნის, აგრე რიგად მსოფლიოს მოწონებას რომ იმსახურებს და ამაში უდიდესია თქვენი პირადი წვლილი და ძალისხმევა.

ამასთან საზგასასმელია ის, რომ ამ მიმართებით თქვენი მოღვაწეობის დღევანდელ პერიოდს ამშვენებს და მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენთან შექმნილი სამოქალაქო სამართლის სრულიად ახლებური, ეროვნული ფედერაციის კოდექსი, რომელიც საუკუნის დიდ ინტელექტუალურ მიღწევად მიიჩნევა და რომელსაც, მომავალში უნდა ვივარაუდოთ, უცილობლად შევარდნაძისეული კოდექსის სახელი შეერქმევა.

ბატონო ედუარდ, მადლიერების გრძნობა და ვალდებულება გვეკარნახობს განუზომელი მადლობა გაახლოთ იმ ყურადღებისა და ზრუნვისათვის, რასაც თქვენ ასე მონდომებით და მაღალი პროფესიულობით იჩენთ სამართლებრივი პრობლემების და კონკრეტული იურიდიული საჭიროებისათვის, საერთოდ კი, იმ უდიდესი და გადამწყვეტი როლის გამო, რომელიც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, შეასრულეთ კანონიერების დამკვიდრების და მართლწესრიგის დაცვის საქმეში.

ერთდროულად გილოცავთ, პატივცემულო ედუარდ, დამდგარ 1998 წელს, სეპტემბერი იყოს იგი პირადად თქვენთვის და გამთლიანებული, განახლებული საქართველოსთვის.

გთხოვთ მიიღოთ ჩვენგან ეს მოკრძალებული ნობათი.

**პატივისცემით,
საქართველოს იურისტთა კავშირი.**

თბილისი, 1998 წლის 23 იანვარი.



მინდია უბრაქელიძე,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

სამართლიანი, სწრაფი, ქმედითი მართლმსაჯულებისათვის

ყველაფერი, რაზედაც ღღეს უკვე იყო ან აწი იქნება საუბარი, საბოლოო ჯამში, სასამართლოსა და მართლმსაჯულებას უკავშირდება. არადა იმ დროს გვიწევს მართლმსაჯულების პრობლემებზე მსჯელობა, როდესაც სასამართლო რეფორმა, უფრო ფართოდ კი – საერთოდ სამართლებრივი რეფორმა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დაისახა, ჩემი აზრით, რთული, მაგრამ ართუც მთავარი მოვლენილი ორმხრივი ტენდენცია. ერთი მხრივ, სასამართლო რეფორმის წარმატების კვალობაზე, იმპლავრა დადებითმა შეფასებებმა საერთაშორისო რანგის ექსპერტთა მხრივ. საკმარისია აღინიშნოს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარის შტეფან ტრენსელის უაღრესად პოზიტიური დასკვნა, რომლის მიხედვით, სამართლებრივი რეფორმაციის პროცესი საქართველოში სწორი გზითა და ნაყოფიერად წარიმართება; ცნობილი ამერიკელი პროფესორის ჰერმან შვარცის გამონათქვამი, რომ სამართლებრივმა რეფორმამ საქართველოში საგრძნობლად გაუსწრო საბჭოეთის სხვა ყოფილ რესპუბლიკებს; და სულ ახლახან, მსოფლიო ბანკის ეპითეტი, რომლითაც სასამართლო რეფორმის პროგრესი ჩვენში „გაბედული“, „შორსშიშვალა“. რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, ეს წარმატება პრეზიდენტის, პარლამენტის, სასამართლო ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით არის მიღწეული.

მეორე მხრივ, სასამართლო რეფორმის ირგვლივ სულ უფრო მატულობს ენებათა ღელვა, რომელიც სხვადასხვა წყაროდან წარმოსდგება.

აქ არ არის სერიოზულად განსახილველი ე. წ. „ჩასაფრებული“, „მოდარაჯე“, ზოგჯერ უბრალოდ მტრულად განწყობილი ძალები, რომელთა მიზანია ღოველნიერად დააკნინონ წინსვლის პროცესი, მაზანდა დაუგდონ შემოქმედებით აღმასვლას ქვეყნის სამართლებრივი განვითარების გზაზე.

განსხვავებული დამოკიდებულება გვმართებს კონსერვატული, რეტროგრადული ძალების მიმართ, რომლებსაც, შესაძლოა, სრულიად გულუბრყვილოდ არც კი ესმოდეთ დამოუკიდებელი ეროვნული მართლმსაჯულების აუცილებლობა და მნიშვნელობა. სახელდობრ ის, რომ:

საკუთრივ სასამართლოს იგი შესაძლებლობას მისცემს, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლის გამო სასამართლო თვითონვე იქნება პასუხისმგებელი.

სახელმწიფოს იგი ჰაერივით სჭირდება, რადგან სამართლიანი მართლმსაჯულების გარეშე ვერასეზით დამკვიდრდება სტაბილური წესრიგი: უსამართლობით განაწამები ხალხი სხვანაირად ვერ ჰპოვებს სიმშვიდესა და მოსვენებას.

რაც მთავარია, ეს სწყურია მისახლეობას, რომელსაც მობეზრდა უამრავ არასამართლებრივ ინსტანციაში სამართლის ძებნა და სურს, მიიღოს საბოლოო, ავტორიტეტული მსჯავრი ხელისუფლების სათანადოდ უფლებამოსილი, დემოკრატიული, კომპეტენტური და ნდობით აღჭურვილი დაწესებულებიდან.

სწორედ მოსახლეობის, მოქალაქეთა ნება აისახა საქართველოს კონსტიტუციაში, რომელმაც სამართლებრივ რეფორმას მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა.

მაგრამ სასამართლო რეფორმის აუცილებლობის შეგნება, და თუ გნებავთ, პატივისცემა, ვერ აღმოჩნდა საკმარისი ნუგეში იმათთვის, ვისაც უშუალოდ დაუკავშირდა მისი თანამდევნი შედეგები. სწორედ ამის გამოძახილია, ჩემი აზრით, ეს შემოთქმება, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, რაიონის მოსამართლეთა კორპუსს დაეუფლა. ეს არც თუ უსაფუძვლო შემოთქმება სრულიად სხვადასხვანაირად გამოვლინდა.

სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც შექმნილი ვითარება, კერძოდ, სასამართლო კორპუსის განახლების აუცილებლობა, განწირულებად აღიქვა და, როგორც იტყვიან, „მოსწრებაზე“ გადავიდა. ასეთმა მოსამართლეებმა თემიდას სასწორი ლამის დახლის სასწორად აქციონ, ხოლო იურისტობას ლამის ავანტიურისტობა ამჯობინონ. გამოვლენილია არა ერთი ისეთი შემთხვევა, რომელსაც გამართლება უბრალოდ არ მოეძებნება. ასეთი შემთხვევების შესახებ საზოგადოება მასმედიის მეშვეობით კარგად არის ინფორმირებული. უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილია კერძო განჩინებანი. მარტო 1997 წლის მიწურულს ჰომიხდა 10 შემთხვევაში აღმედრა დისციპლინური დევნა რაიონის სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ. ამ დარღვევების შესახებ იმსჯელა იუსტიციის საბჭომ. უზენაეს სასამართლოში მომზადდა განზოგადება საერთო სასამართლოების პრაქტიკისა „ბრალდებულის დაპატიმრებისა და მათთვის პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ“ (სხვათა შორის, ეს განზოგადება უკვე გამოქვეყნებულია ჟურნალ „მართლმსაჯულების მაცნეს“ 1997 წლის № 4-ში, რომელიც დღეს ხელმისაწვდომია თათბირის ყველა მონაწილისათვის. აქვე თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ საინტერესო მასალას – „სასამართლო რეფორმა სქემებში“, რომელიც ძალიან აადვილებს რეფორმის შედეგების ვიზუალური საშუალებით გააფიოდ აღქმას, ხოლო მე მათთვის უფლებს აუცილებლობისაგან, დაწვრილებით გესაუბროთ ამ თემაზე).

მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება ყურადღება ამ საკითხებისადმი. საამიხოდ იუსტიციის საბჭოში ცალკე გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება:

- I – სასამართლო კონტროლი და ადამიანის უფლებები;
- II – სამოსამართლო დისციპლინა და პროფესიული ეთიკა.

საქმიანობის ორივე ეს მიმართულება, რომელსაც იუსტიციის საბჭოში სასამართლო ხელისუფლების წარმოქმადგენლები წარმართავენ, უზრუნველყოფილია შესაბამისი პერსონალით საკუთრივ საბჭოს აპარატში. ცხადია, სრულიად აუცილებელია ამ საქმიანობაში მოსამართლეთა კონფერენციის, მთელი მათი კორპუსის აქტიური მონაწილეობა, რათა თვითონვე იზრუნონ საკუთარი რიგების სიწმინდისათვის, საბოლოო სიტყვა კი პრეზიდენტს ეკუთვნის.

შემუშავების პროცესშია სამოსამართლო ეთიკის პრინციპები, რომლებიც შემდგომში საფუძვლად დაედება მოსამართლის ეთიკის კოდექსს. ასეთი მწყობრი სისტემა უთუოდ ბოლოს მოუღებს ყოველგვარ თავნებობას.

ახლა მოსამართლეთა იმ ნაწილზე მოგახსენებთ, რომლებმაც მართლზომიერი, ცივილიზებული ფორმით გამოხატეს თავიანთი განსხვავებული აზრი ზოგიერთი გადაწყვეტილების მიმართ. სასამართლო რეფორმიდან რომ გამოდინარეობს.

1997 წლის მიწურულს გაიმართა „საქართველოს რაიონისა და ქალაქის სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა კონფერენცია“, რომელმაც მიიღო რეზოლუცია მათი უფლებამოსილების შეწყვეტის ვადის, სასამართლო ორგანოების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და, ალტერ-

ნატიული ფორმით, მათ მიმართ სასამართლო რეფორმის განხორციელების უფრო ღმობიერი პირობების გამოყენების შესახებ. ამ რეზოლუციის შესაბამისად, მათ თხოვნით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს მხარდაჭერისათვის, კანონმდებლობაში შესაბამის ცვლილებათა შესატანად. იუსტიციის საბჭოსთან დათათ- ლირების კვალბაზე პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლეთათვის გარკვეული შეღავათიანი პირობების შექმნის თაობაზე, მათი საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ვადებთან დაკავშირებით.

ეს გადაწყვეტილება, რომელიც პარლამენტის დადასტურებასაც მოითხოვს, კიდევ ერთხელ მოწმობს იმ ჭეშმარიტებას, რომ სასამართლო რეფორმას – ნებისმიერ რეფორმას საზოგადოდ – მრავალი ასპექტი გააჩნია და თითოეული ნათვანნი თანაბრად მნიშვნელოვანია მისი საბოლოო წარმატებისათვის. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ის არის, რომ რეფორმა ხორციელდებოდეს რაც შეიძლება ნაკლებ წინააღმდეგობათა გზით, მორალური და ადამიანური დანაკარგების გარეშე. ჩვენი რეფორმების თვით ყველაზე უფრო პროგრესული ნაწილიც კი მხოლოდ მაშინ ჰპოვებს საზოგადოების სრულ და საბოლოო მხარდაჭერას, თუ იგი დაეფუძნება თანდათანობითი გარდაქმნების „ხავერდოვან“ გზას, რომელიც ნგრევასთან, ტკივილთან და ადამიანურ იმედგაცრუებასთან არ იქნება დაკავშირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ შინაური მტე-ოი ჩვენვე ვამრავლოთ, ხოლო მშვენიერი შინაარსი, შესაძლოა, მიუღებელ ფორ-იას შეეწიროს. ეს კი ანტირეფორმის კი არა, უარესის – უკურეფორმის მომას-წავებელი იქნება.

ნება მიბოძეთ ერთი მაგალითი მოვიტანო.

უახლესი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დაუშვებელია დადგენი-ლი საპროცესო ფორმის გარეშე მოსამართლეების, მეტადრე – სასამართლოს ხელმძღვანელთა უშუალო კონტაქტი კონკრეტულ საქმეში მოდავე მხარეებთან. მიჩნეულია, რომ ეს შეიძლება გახდეს მოსამართლეებზე ცალმხრივი ზეგავლე-ნის, მათი დაშინების, თავის შებრალების, თუ გენბავთ – კორუფციისა და მოს-ყიდვის პირდაპირი თუ არაპირდაპირი წყარო. ყველაფერი დოკუმენტური წესით: უპირატესად კოლეგიური გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს. და საბოლოოდ, ეს ასეც იქნება.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამართლის ყოფილი სოციალისტური სისტემა არ არის მზად, ერთბაშად მოშალოს სასამართლოსთან ურთიერთობის ეს ჩვეული ფორმა, ვინაიდან მყისვე იქმნება სოციალური დაძაბულობის სერიოზული კერე-ზა. რამდენადაც ვიცე, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჯერჯერობით მხო-ლოდ მოლდავეთმა შესძლო ახალ ყაიდაზე თანდათანობით გადასვლა.

ამკარაა, რომ სამომავლოდ დიდი წინასწარი სამუშაო და ფართო განმარ-ტებითი მუშაობა უნდა ჩატარდეს. ჩვენში მსგავსი პრეცედენტი არსებობს. საქარ-თველოს უზენაეს სასამართლოს მრავალი წლის დაძაბული მუშაობა დასჭირდა იმისათვის, რომ ამოძირკვეულიყო სასამართლოებისათვის სხვადასხვა ინსტანცი-იდან ე. წ. „კონტროლზე“ წერილებისა და საჩივრების გადაგზავნის მანკიერი პრაქტიკა.

ასეთივე მოთმინება და თანდათანობა იქნება საჭირო მიღებებთან დაკავში-რებით, განსაკუთრებით ამ მშფოთვარე, გარდამავალ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ ძველებურად მოაზროვნე ადამიანებისათვის ბოლომდე არ არის ნათლად გარკვეული ახლებური სამართლებრივი ცხოვრების ორიენტირები. ამის შედე-გაა ის, რომ ჯერჯერობით მოქალაქეების მიღების მოთხოვნილება არა თუ კლე-ბულობს, არამედ მატულობს კიდევაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ

1997 წელს უზენაესი სასამართლოს მისაღებს განცხადებით მიმართა 5.170-მა მოქალაქემ, მაშინ, როდესაც ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მათი რიცხვი საშუალოდ 2 000-ს შეადგენდა. წარმოდგინეთ ერთბაშად რომ დაგვეწყო ამ გატანჯული ხალხის რეფორმაზე დაყრდნობით უკან გასტუმრება.

სხვათა შორის, ეს საკითხი ერთგვარი ნაწილია „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის“ პრობლემისა, რომელიც განსაკუთრებით მწვავედგება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალობაზე. ძალიან საშიშია, მართლმსაჯულება ხელმისაწვდომელი არ გახდეს მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისათვის. ჩვენ ხშირად ვხვდებით მოწმე, თუ როგორ იცავს ერთი მხარის ინტერესებს 2-3 კვალიფიციური ადვოკატი, რომლებიც უზარმაზარ ჰონორარებს ღებულობენ, მაშინ, როდესაც მეორე მხარემ ხეირიანად ისიც კი არ იცის, თუ სად და როგორ უნდა დაიცვას კანონით მინიჭებული უფლებები. ერთი სიტყვით, მწვავედ წარმოჩინდება ე. წ. „უბრალო ადამიანის“, თუ გენბავთ — „საწყალი კაცის“ პრობლემა, რომელსაც ყველა საშუალებით უწინარესად უნდა მიეხედოს. მსოფლიოში ცნობილია ამ საქმეში სახელმწიფოს მონაწილეობის კარგად აპრობირებული რამდენიმე სისტემა და იმედია, „კანონი ადვოკატურის შესახებ“ ამას სათანადოდ გაითვალისწინებს.

ვერაჯოთარი სამართლებრივი რეფორმა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების იდეა საბოლოოდ ვერ დამკვიდრდება და ვერ შეისხამს ხორცს, თუ იგი სამელოდ არ იქნა დაცული სასამართლოებზე ათასგვარი ზეწოლის მცდელობისაგან. მართალია, შესაბამისი კანონებიც მიღებულია, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა ნეიტრალიზაციისა და ამკარა სტაბილიზაციის წყალობით, პრაქტიკულად. აღარც „თოფიანი კაცის“ საშიშროება არსებობს. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მაინც არ არის სანუგეშო მდგომარეობა. საქმე ისაა, რომ არა იქნა იკლო, არამედ იმრავლა კიდევაც სასამართლოებზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზეწოლის წყაროებმა. ვის არ უჩნდება, არც თუ ყოველთვის უანგარო სურვილი, სპორტული გამოთქმა რომ ვიხმართ — „ჩოქმჯენში“ ამყოფოს სასამართლო. მათ შორის იხილავთ პროვოკატორსაც და ცილისმწამებელსაც, უცხოელსაც და შინაურსაც, შავი სამყაროს წარმომადგენლებსაც და საკმაოდ რესპექტაბელურ პიროვნებებსაც. კიდევ კარგი, რომ თითოეულ საქმეში ორივე მხრივ იმდენია დაინტერესებული, რომ ზოგჯერ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანეიტრალურად კიდევაც ერთმანეთს. უმეტესწილად ეს ის ხალხია, რომლებიც თვითონ არც არაფერს წყვეტენ და რისკსაც არავითარს ეწევიან. რა ენაღვლებათ! ამიტომაც ეადვილებათ ასე, სხვათა ხარჯზე, მავანთა მომადლიერება.

მე მესმის, ეს სამართლებრივი კულტურის საკითხიცაა. დროთა განმავლობაში უთუოდ დადგინდება და დაიხვეწება სასამართლოებთან ურთიერთობის წესები. მაგრამ დამაფიქრებელი ისაა, რომ ბევრის შეგნებაში სასამართლო, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დიდხანს აღიქმება როგორც „საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი“, რომელსაც შეგიძლია ნებისმიერი სურვილი შეუკვეთო.

არც უზენაესი სასამართლოს პრესცენტრის განცხადებამ გასჭრა, რომლითაც დაბეჯითებით ვთხოვდით გაზეთებს, უარი ეთქვათ მასალების გამოქვეყნებაზე ერთი რომელიმე მოდავე მხარის სასარგებლოდ, სასამართლოში განსახილველ საქმეზე. ეს ანტიკონსტიტუციური ქმედებაა და ბოროტად გამოყენება საყოველთაოდ აღიარებული წესისა, რომლის თანახმად, მოსამართლეს არ შეუძლია აქეთ-იქით არიგოს განმარტებები ამა თუ იმ საქმეზე. მისი ერთადერთი დაცვა და გამართლება კონკრეტულ საქმეზე შედგენილი და მის მიერ ოფიციალურად ხელმოწერილი პროცესუალური დოკუმენტია.

თუ ამ სურვილს არ ჩაეთვლით და, აგრეთვე, იმას, რომ გაზეთებში ჯერაც არ არის გამორიცხული დარღვევა უდანაშაულობის პრეზუმფციისა, მაღლობის მეტი პრესას რა ეთქმის. მან უაღრესად ბევრი გაიღო და კვლავაც სწირავს სასამართლო რეფორმას. სხვისი რა ბრალია, თუ ჩვენივე თავმოუბმელობით, მართლმსაჯულების პრობლემების გაშუქებისას ყველა ჟურნალისტს არ ჰყოფნის მყარი ცოდნა და საკმარისი კომპეტენცია. ჩვენ ხომ მათთვის იშვიათად ვიცლით.

სასამართლო ხელისუფლების სისტემაში ძალიან ბევრია ნაკლიც და სირთულეც. დღევანდელი თათბირის მონაწილეებს ეს კარგად მოეხსენებათ. მაგრამ თუ საერთო ჯამში მართლმსაჯულება ინარჩუნებდა თავის სახეს, ეს ხდებოდა ჩემი კოლეგების თავდაუზოგავი ძალისხმევის შედეგად. საკმარისია აღინიშნოს, რომ თვით ყველაზე უფრო მძიმე წლებშიც კი მათ მოახერხეს შეენარჩუნებინათ მეტნაკლებად სტაბილურობა. არა თუ არ ქმნიდნენ, არამედ, შეძლებისდაგვარად, ხსნიდნენ კიდევაც პრობლემებს. ვინ მოთვლის, რამდენი უმძიმესი პროცესი ყოველგვარი დაცვის გარეშე, ლამის „შიშველი ხელებით“, ღირსეულად იქნა წარმართული და დამთავრებული.

ამ მხრივ არც 1997 წელი იყო გამონაკლისი. თუმცა, იგი სხვა ნიშნით უფრო გამოირჩეოდა – განხილული საქმეების უჩვეულო ოდენობით. საკმარისია აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ შარშან პირველი ინსტანციით 175 საქმე განიხილა 417 პირის მიმართ, რაც 57,7 პროცენტით აღემატება 1991 წელს განხილულ ანალოგიურ საქმეთა ოდენობას. უკანასკნელი 7 წლის მანძილზე ეს ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებელია, რაც, ცხადია, სხვა უწყებებისა და სამსახურების გააქტიურებაზეც მეტყველებს.

საკასაციო და სახელამხედველო წესით შარშან გადაისინჯა 3 645 საქმე, აქედან 806 სისხლისა და 2 839 სამოქალაქო სამართლის. ეს 1 001 საქმით ანუ 28,4 პროცენტით მეტია, ვიდრე 1996 წელს, და 1 295 ერთეულით ანუ 55,1 პროცენტით მეტი, ვიდრე 1991 წელს.

აუდიტორიას უთუოდ ვააოცებს ის ფაქტი, რომ ამ საქმეთა შორის, თითო-იორილას გარდა, თითქმის არ განხილულა კორუფციის ან კორუფციასთან დაკავშირებული საქმეები, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წლის წინანდელ ანალოგიურ თათბირზე მწვავე კრიტიკა გამოითქვა იმის გამო, რომ კორუფციის საქმეები რატომღაც სასამართლოებამდე არ აღწევს.

ჩვენ საგანგებო პლენუმი მიუძღვენიტ კორუფციის პრობლემას, ახალი კანონმდებლობის კომენტარიც ჩამოვყალიბეთ შესაბამისი რეკომენდაციების სახით. მაგრამ რასაც ქვია სასამართლო პრაქტიკის განზოგადება, უბრალოდ შეუძლებელი გახდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი პრაქტიკა, ფაქტობრივად, არ არსებობს. ჩვენი კოლეგები სხვა უწყებებიდან ირწმუნებიან და დღესაც აღინიშნა, რომ ყინული დაიძრა, გამოძიებაშიც უკვე მოიყარა თავი გარკვეული რაოდენობის საქმეებმა. მაგრამ ერთ დასკვნას მაინც ვერ გავუქცევით: კორუფციასთან სამართლებრივმა ბრძოლამ ჯერ ვერც სიმადლე აიღო სათანადოდ, და ვერც სიჩქარე აკრიფა. თუმცა, სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოა გაწეული და უნდა ვირწმუნოთ, რომ ორმაგად მოხდება მომავალში ყოველივე ამის ანაზღაურება.

როდესაც დატვირთვასა და დატვირთულობაზე ვსაუბრობთ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა 11 ვაკანტური ადგილია. აქედან 10 წევრისა. სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის პირველი ინსტანციისა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის არნახული დატვირთულობის გამო, არც საკასაციო ინსტანციას აქვს მოსვენება, რადგან ინაწილებს

კოლეგიათა მძიმე ჭკაპანს. ზოგიერთ მოსამართლეს 7-8-10 საქმე აწერია და ვერ აუღის ლამის შარშანდელი გაზაფხულიდან დაგროვილ საქმეებს. ჩვენდაუნებურად შეიძლება დაირღვეს საპროცესო ვადები. მალე ვითარება სრულიად გაუსაძლისი იქნება. ამას ისიც ემატება, რომ ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ უნდა შეიქმნას სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავს გაუქმებული უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოდან მემკვიდრეობით გადმოცემულ საქმეებს. არადა, ეს საქმეებიც გაჭიანურებას ვეღარ ითმენენ. ასეთ ვითარებაში თუ პარლამენტის საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე არ მოხდა უზენაესი სასამართლოს შევსება, შესაძლოა, სახელმწიფოს მოუხდეს იმ მოდავე მხარეთა ზარალის ანაზღაურება, რომლებიც უწინარესად იჩაგრებიან მათგან დამოუკიდებელი მიზეზით შექმნილი ვითარებით. ასევე, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ე. წ. ეკონომიკური დაეების უზენაეს სასამართლოში განხილვის წესის საკანონმდებლო რეგლამენტაცია, რისთვისაც კანონპროექტი უკვე გვაქვს შემუშავებული. არ ვიცი, იქნებ მიზანშეწონილი იყოს, რომ პრეზიდენტის ბრძანებულების პოეტს ეს საკითხებიც დაემატოს ცალკე პუნქტად პარლამენტის მისამართით? ყველა შემთხვევაში, ეს ძალიან საშური საქმეა.

შეკვეცილი შემადგენლობით მუშაობამ ოდნავაც ვერ შეანელა უზენაესი სასამართლოს თანამშრომელთა აქტიუობა სამეცნიერო, მთარგმნელობით და საგანმცემლო საქმიანობაში. პირიქით, ამ მხრივ 1997 წელს რეკორდული მაჩვენებელი იქნა მიღწეული. მომზადდა 1 დისერტაცია. 1 მონოგრაფია, 20 სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის პუბლიკაცია, 1 – სახელმძღვანელოს თარგმანი, „სასამართლო რეფორმა სქემებში“ და სხვა მრავალი მასალა. აქედან, პუბლიკაციების ძირითადი ნაწილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ახალგაზრდა თანამშრომლებზე მოდის, თუმცა, არც მოსამართლეებს დაუზოგავთ თავრამის აუცილებლობა წარმოშვა სასამართლო რეფორმისა და მიმდინარე სამარილებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გადაუდებელმა საჭიროებებმა, რომლებსაც, ცხადია, სათანადო ოპერატიულობით ვერ ასახავდა სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებათა კვლევითი გეგმები.

ფიქრობთ, 1998 წლის „ადამიანის უფლებათა წლად“ გამოცხადებას და პრეზიდენტის ცნობილ ბრძანებულებას – „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესახებ“ – მომგებიანად ეხმაურება უზენაეს სასამართლოში „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ჩამოყალიბება, რომელიც მთლიანად უცხო ენების მცოდნე, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. მათ მიზნად დაიხსნეს სასამართლო კორპუსისათვის უახლესი სამოსამარცლო ტენდენციებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში უნივერსალური საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა. იმავდროულად ეს მომზადება ევროსაბჭოში საქართველოს გაერთიანებისათვის, რათა თავის დროზე ქართულმა მართლმსაჯულებამ უმტკივნეულოდ შეძლოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ დებულებათა იმპლიმენტაცია სასამართლო პრაქტიკაში.

სახალხო ნღობა უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სასამართლო რეფორმისა თუ მართლმსაჯულების სისტემის წარმატებისა. თუ ხალხმა არ ირწმუნა სასამართლოსა და მოსამართლეთა სიკეთე, არც ქვეყანა უნდა ელოდოს რაიმე წარმატებას თუნდაც იმიტომ, რომ მართლმსაჯულების თანამდევნი ყოველთვის იყო ე. წ. „ბუნებრივი მტრის“ წყეული ფაქტორი. ვინაიდან სასამართლოში ყაიმი არ არსებობს, ვინაიდან ერთი მხარე ყოველთვის დამარცხებულია, იმდენი „ბუნებრივი მტერი“ არსებობს, რამდენიც სასამართლოში წარმართული საქმე და, შე-

საბამისად, წაგებული მხარე, თანაც, ეს რიცხვი დაუსრულებლად მატულობს. სხვათა შორის, ეს გარემოება, სრულიად უსამართლოდ, არ მიიღება მხედველობაში, როდესაც უკრიტიკოდ ლაპარაკობენ ხალხში სასამართლოთა არაპოპულარობის შესახებ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მიმაჩნია, რომ მდგომარეობა ნელა, თანდათან წაგრძობა მაინც სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს. ამას განაპირობებს ოთხი უმნიშვნელოვანესი გარემოება:

პირველი ის, რომ იქმნება საკუთარი, ჭეშმარიტად ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც გამოხატავს ხალხისა და პარლამენტში მისი ლეგიტიმური წარმომადგენლების პოლიტიკურ ნებას. აღარ არის გარედან თავსმოხვეული უცხო ძალის დიქტატი და კარნახი, როგორც ეს ადრე ხდებოდა.

მეორე გარემოება გახლავთ ის, რომ მითითებული კანონები, რომელთა მეშვეობითაც ხდება სასამართლო ხელისუფლების ფორმირება და მოწყობა, პლურალისტურია და არის სხვადასხვა, ხშირად, მკვეთრად დაპირისპირებული პარტიებისა თუ პოლიტიკური ძალების კომპრომისის ნაყოფი.

მესამე: საკანონმდებლო სიახლეებით გათვალისწინებულია საინსტიტუციო და საკადრო ხასიათის ცვლილებები. წარსულში იმედგაცრუებული ადამიანები დასაყრდენს მოძავალში ხედავენ და ნდობით ეკიდებიან ყოველივე ახალს.

მეოთხე: რეფორმის პროცესში აქტიურად არიან ჩაბმული დასავლეთის (მხედველობაში მაქვს პოლიტიკური დასავლეთი) ავტორიტეტული ექსპერტები. საქართველო ზომ იმთავითვე იყო ორიენტირებული დასავლურ იდეებზე, პრინციპებზე, სტანდარტებსა და ფასეულობებზე.

მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული გარდაქმნების კვალობაზე საქართველოს ისტორიაში პირველად შეიქმნა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ეროვნული მართლმსაჯულების გახლეჩილი, დანაწევრებული სხეული გამთლიანდეს, ამოქმედდეს და სრულფასოვანი სახით ჩაერთოს ქვეყნის საერთო აღორძინების პროცესში.

მინდა ვირწმუნო, რომ ხელისუფლების ყველა განშტოება, ყველა დაწესებულება, თანამდებობის პირი თუ კერძო მოქალაქე, მთელი ჩვენი საზოგადოება, მათ შორის—პრესა და არასახელისუფლო სტრუქტურები, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ საიმისოდ, რომ სასამართლო ხელისუფლების ფორმირება წარმატებით დაგვირგვინდეს. ეს მოასწავებს დამკვიდრებას მწყობრი, შეუვალი სასამართლო სისტემისა, რომელსაც უნარი შესწევს მართლმსაჯულება **სამართლიანი, სწრაფი და ექვედითი** გახადოს.

მთავრობის გაზარტიოებულ სსდრომაზე წარმოთქმული სიტყვა.

ქ. თბილისი, 1998 წლის 22 იანვარი,



ბასული წლის 8 ნოემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს რაიონის, ქალაქის სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა კონფერენცია. გთავაზობთ საქართველოს რაიონის, ქალაქის სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარის **ნუზარ ბირკაიას** მიერ ამ კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვის საშურონალე ვარიანტს.

* * *

„ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან...“

ღი ილიას მაღლიანი კალმით ჩამოქნილი სტრიქონები, „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“, გარკვეულ წილად მიესადაგება კიდევ ამ კონფერენციას და შეიძლება ლეიტმოტივადაც კი გამოდგეს მისთვის.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ და კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომლის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების თანახმად: „1998 წლის 1 მაისამდე რაიონის ქალაქის სასამართლოში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან (აირჩევიან) და თანამდებობიდან თავისუფლდებიან, აგრეთვე მათი სამსახურებრივი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის შესახებ კანონის მიღებამდე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, დისციპლინურ სახდელთა სახეები, დისციპლინური სამართალწარმოებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი განისაზღვრება ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობით.

1998 წლის 1 მაისამდე ძალაშია მოსამართლეთა კონფერენციის შესახებ ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობა“.

ამრიგად, აუცილებელია ჩვენი კონფერენციის მიერ გადაწყდეს რაიონისა და ქალაქის სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო— იგივე დისციპლინური კოლეგიის შემდგომი უფლებამოსილების საკითხი 1998 წლის 1 მაისამდე, რადგან სხვა მექანიზმი იმ საკითხების დამარეგულირებელი, რაც შეიძლება წარმოიშვას მომავალი წლის 'მაისამდე არ არსებობს.



ნება მომეცით მოკლედ გაგაცნოთ იმ მუშაობის შედეგები, რაც საკვალიფიკაციო კაცთა კოლეგიამ და მთლიანად რესპუბლიკის მოსამართლეთა კორპუსმა გასწია ბიზნისარე წელს.

მართალია, საანგარიშო პერიოდად მთლიანად მიმდინარე წელი იგულისხმება, მაგრამ. ფაქტობრივად, საკვალიფიკაციო კოლეგიას მუშაობა მოუხდა მხოლოდ 1997 წლის იანვრიდან – ივნისამდე, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის მიერ 13 ივნისს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მიღების შემდეგ გაუქმებული იყო საკვალიფიკაციო კოლეგია, რომელიც აღადგინა ამა წლის 3 სექტემბერს მიღებულმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონმა, რაზეც ზემოთ აღინიშნა.

საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიამ ჩაატარა 25 სამუშაო სხდომა, რა დროსაც განიხილა კოლეგიის გადასაწყვეტად წარდგენილი 37 საკითხი, კერძოდ რაიონისა და ქალაქის 5 მოსამართლის დისციპლინური საქმე, რომელიც აღძრული იყო იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, აქედან საგარეჯოს რაიონის ადმინისტრაციული მოსამართლის დაკავებული თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე – კოლეგიამ დასტური მისცა იუსტიციის მინისტრს, ორ მოსამართლეს გამოეცხადა შენიშვნა, მასალების საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომაზე განხილვის შემოფარგვლით დისციპლინური დევნა შეწყდა ორი მოსამართლის მიმართ, 25 მოსამართლეს მიეცა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნა მოსამართლის სხვადასხვა საკვალიფიკაციო კლასის მინიჭების შესახებ. განხილულ იქნა პირველად დასახელებული ოთხი მოსამართლეობის მზადყოფნის საკითხი სასამართლო საქმიანობისათვის და ჩატარდა მათი საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელთაც მიეცათ რეკომენდაციები, რომ შესაძლებელი იყო დანიშნულიყვნენ მოსამართლის თანამდებობაზე.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია გამოეხმაურა 1997 წ. 24 სექტემბერს ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში მოსამართლის სამუშაო ოთახში საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევით ჩატარებული ჩხრეკისა და მოსამართლის დაკავების ფაქტს. კერძოდ, მოსამართლის განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის თანახმად „მოსამართლე ხელშეუხებელია“ და დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება და დაპატიმრება, მისი ბინის, ნაწიანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე.

იმის მტკიცება, რომ თითქოს ადგილი ჰქონდა დანაშაულზე წასწრებას, კერძო კრიტიკას ვერ უძლებდა, რადგან დადგენილი იყო, რომ ერთი კვირით ადრე, სათანადო ორგანოებში შეტანილი იყო მოქალაქის განცხადება და ოპერაციაც მზადდებოდა. ე. ი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისაგან შესაბამისი თანხმობის მიღებისათვის საკმარის დრო იყო. ამიტომაც საკვალიფიკაციო კოლეგიამ თავისი 1997 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოითხოვა კანონის უხეში დარღვევით დაკავებული მოსამართლის დაუყოვნებლივი გათავისუფლება, რაც გამოქვეყნდა პრესაში.

საქართველოს მოსამართლეთა კორპუსი მხარს უჭერს სასამართლო რეფორმის განხორციელებას და ამ მიმართებით ქვეყნის პრეზიდენტის კურსს, მაგრამ სასამართლო რეფორმის ირგვლივ მსჯელობა, გარდა მისი საჭიროების აუცილებლობისა, მოდურიც გახდა ჩვენი პრესის ფურცლებზე.

როცა სასამართლო რეფორმას აშუქებს ესა თუ ის გაზეთი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგის მიერ იგი მოიაზრება მხოლოდ დღეს მოქმედ მოსამართლე-

თა შეცვლით. ამ მიმართებით ზოგიერთი გაზეთის ფურცლებიდან დღევანდელ მოსამართლეთა კორპუსის მიმართ პირდაპირი ლაშქრობაა გამოცხადებული. ძირითადად, ეს ეხება რაიონისა და ქალაქის მოსამართლეებს, რომელთა მხრებზეც გადადის მართლმსაჯულების განხორციელების მძიმე ტვირთი.

ჩვენ არ გვინდა წარმოვიდგინოთ, რომ მოსამართლეთა პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული პუბლიკაციების უკან რომელიმე ხელისუფლების წარმომადგენელი დგას და არეგულირებს ყოველივეს, თუმცა შესაძლებელია მეტად გულუბრყვილონი ვიყოთ და ვცდებოდეთ კიდევ.

რატომ ჰგონია ვინმეს, რომ იოლად გავალთ პროფესიონალი მოსამართლეების გარეშე. ესა თუ ის იურისტი პროფესიონალ მოსამართლედ რომ ჩამოყალიბდეს, გარდა ინდივიდუალური თვისებებისა, გარკვეული დროც არის საჭირო. პროფესიონალი მოსამართლეების გარეშე მართლმსაჯულება ვერ განხორციელდება, რითაც დაზარალებულ საზოგადოებას და სახელმწიფოს.

ამასთან, გავბედავ და გამოვთქვამ ეჭვს, უკეთუ რომელიმე გამარჯვებული პარტია დღეს თუ მომავალ არჩევნებში მონაწილეებს თავისი „ხალხით“ დააკომპლექტოს სასამართლო ხელისუფლება, ეს არ იქნება მართლმსაჯულების განმანხორციელებელი მესამე ხელისუფლება, არამედ, იგი გადაიტყვევს დანამატად სხვა ხელისუფლებისა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: თუ არ იქნება ძლიერი, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, მაშინ ადამიანის უფლებები დაუცველი დარჩება.

არც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შეცვლა უნდა იწვევდეს სასამართლო ხელისუფლების შეცვლას. ასეთი პრეცედენტის დაშვება მომავალში გამოიწვევს სასამართლო ხელისუფლების ნგრევას, მოსამართლეთა გაუთავებელ ცვლას.

ვფიქრობ, დამერწმუნებით, რომ მოსამართლეს თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაოდენ სამართლიანიც უნდა იყოს მისი განაჩენი და გადაწყვეტილება, არ შეიძლება საქმის მონაწილე ორივე მხარე კმაყოფილი ჰყავდეს. ხშირად, როცა განაწყენებულ სურთ თავიანთი პოზიციის გამართლება, რადგან საწადელს ვერ მიადწიეს. არაფრად უღირთ მოსამართლის სახელის ლაფში ამოსვრა და სასამართლოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას ანგარებას უკავშირებენ. რაოდენ დასანანიცაა, რომ ზოგიერთი ცნობილი მეცნიერი ნებით თუ უნებლიეთ გვლანძღავს. მაგალითად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ სემინარზე, რომელსაც ესწრებოდა დასავლეთის ზუთი მოწინავე ქვეყნის მოსამართლე, ერთმა პროფესორმა იურისტმა განაცხადა, რომ ჩვენთან საზოგადოებამ ზურგი შეაქცია სასამართლოებსო. როცა ვკითხე, თუ რა არგუმენტი ჰქონდა ამის სათქმელად, მან მიპასუხა: შემცირდა სასამართლოებში განსახილველად შესული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობაო. თუ როგორი არგუმენტია ეს, ალბათ, კომენტარს აღარ საჭიროებს.

ასეთი არგუმენტების ფონზე ჩემთვის სულაც არ არის გასაკვირი, რომ ზოგიერთი ჟურნალისტი თავის პუბლიკაციაში აშკარად ჭორის დონეზე აკეთებს ხალხის ადრეული თუ დღევანდელი მართლმსაჯულების წარმმართველ პირთა საქმიანობის შესახებ. ერთი სიტყვით, ფაქტები, როგორც ჩანს, მათ არ აინტერესებთ. მთავარია ის, რომ ასეთი პუბლიკაციებით ცუდი იმიჯი შეუქმნან მოსამართლეებს და სენსაციური სათაურებით მიიზიდონ მკითხველი. მაგალითად, 1997 წლის 7-12-13 მაისს გაზეთებში „ალია“ და „რეზონანსი“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში მოსამართლეთა კორპუსი მოხსენიებული იყო „სითავზებდ მორჩი-

ლების“ ნახავ კორპუსად, რომ „მოსამართლეთა დიდი ნაწილი უვიცია“, რომ „მოსამართლენი ავის მომასწავებლად დუმან“ და ა. შ.

დიდი ილია გვასწავლიდა, რომ „მინამ საქმე გამოიძებული არ იქნება, ძნელია კაცმა იკისროს ბრალი ვისმე დასდოს“-ო, რომ ოდნავი ჩირქი არ უნდა მოეცხოს დაუმსახურებლად პიროვნების ღირსებას. მით უფრო მთელ კორპორაციას. ვინ-ვინ და ყველა რანგის იურისტმა ეს კარგად უნდა იცოდეს.

ჩვენ, საქართველოს მოსამართლეთა კორპუსი, ფაქტობრივად, სასამართლო სელისუფლება მოვითხოვთ პატივისცემით, ღირსებით და მართებულად მოქცევას ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლისაგან, როგორი მაღალი თანამდებობაც არ უნდა ჰქონდეს მათ ქვეყანაში, ხოლო მასმედიასთან სამართლიანი და ობიექტური ურთიერთდამოკიდებულების მომხრენი ვართ. მიგვაჩნია, რომ ამას ვიმსახურებთ.

როგორც ცივილიზებული მსოფლიოს, ასევე ჩვენი კანონმდებლობაც დაუშვებლად მიიჩნევს პიროვნების პატივისა და ღირსების ხელყოფას. მაშ რატომ მიაჩნია ჩვენს ზოგიერთ ოპონენტს მოსამართლეთა კორპუსის ყოველგვარი არგუმენტის გარეშე ლანძღვა-ვინება შესაძლებლად? რა უფლებებით არიან ისინი აღჭურვილნი? ან ასეთი რა დამსახურება აქვთ ქვეყნის წინაშე?

თუ ამის პასუხად იმას ვეტყვიან, რომ ზოგიერთმა მოსამართლემ არასწორად გააუქმა პროკურორის მიერ გაცემული ამა თუ იმ პირის დაპატიმრების სანქცია, რაც შემდეგ გაუქმდა ზემდგომი სასამართლოს მიერ, ან დაადგინა უკანონო განაჩენი თუ გადაწყვეტილება, ვფიქრობთ, არც ეს არის საკმარისი იმისათვის, რომ ყველა ერთი ჯოხით ვცემოთ. მაღლობა ღმერთს, ქვეყნის კონსტიტუციით აღიარებულია თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობა თავის საქმიანობაში. ამდენად იგი პასუხს აგებს კიდევ პიროვნულად და მის ნამოქმედარზე მოსამართლეთა კორპუსს კოლექტიური პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში არა ერთი და ორი ქალაქი და რაიონია, სადაც საერთოდ არ გასაჩივრებულა სასამართლოებში პროკურორის სანქცია პირის დაპატიმრების შესახებ. მაშ, რამდენიმე მოსამართლის მიერ გამოტანილი, თუნდაც უსწორო დადგენილება პროკურორის დაპატიმრების სანქციის გაუქმების თაობაზე, როგორ უნდა გახდეს განზომილება მთელი მოსამართლეთა კორპუსის მოღვაწეობისა? მითუმეტეს, რომ ხსენებული საკითხი სიახლეა ჩვენი სისხლის სამართლის პროცესში და კარგად არც არის აპრობირებული.

ჩვენთვის უმთავრესია ჩვენი ღირსების საკითხი და არა მოსამართლის მანქტია. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები ვართ, რომელთაც ჰყავთ ოჯახები, მშობლები, შვილები, ნათესავები, მეგობრები, როგორც იტყვიან მტერ-მოყვარე, გვაქვს ჩვენი ადამიანური ღირსება, თავმოყვარეობა, რწმენა, სინდის-ნამუსი, რითაც ღავდივართ ამ ქვეყანაზე და მხოლოდ შემდეგ ვართ მოსამართლენი.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართველოს მოსამართლეებს აქვთ პროფესიული ღირსების გრძნობა, რომ მოსამართლენი არც დუმან და არც უქმად სხედან, ისინი ქვეყანაში მართლმსაჯულებას ახორციელებენ და როგორც სტატისტიკა მეტყველებს, ძირითადად, ხარისხიანად.

ღიახ, სწორედ რაიონის და ქალაქის მოსამართლეებმა განიხილეს არა ერთი და ორი გახმაურებული სისხლისა თუ სამოქალაქო სამართლის საქმე და მთლიანად მათი მუშაობა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში უარყოფითად ვერ შეფასდება.

ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ პირობებს, რომლებშიც უხდებათ მოსამართლეებს: დაზიანებულ შენობებში, ყოველგვარი გათბობის გარეშე და ა. შ. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, საერთოდ, მოსამართლეთა წდგომარეობა. ასე რომ, ლეონარდო დავინჩის სიტყვები, „დიდება მის ხელთაა, ვინც შრომობს“, ჯერჯერობით მოსამართლეთა კორპუსზე არ ვრცელდება.

სასამართლო რეფორმა, ცხადაა, უნდა გულისხმობდეს სასამართლოების შენებასაც. როგორც მოგეხსენებათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობა და ქუთაისის სასამართლოს შენობა არის პირველი რუსეთის იმპერიაში ჩატარებული სასამართლო რეფორმისა.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ თავად მოსამართლეთა კორპუსი დაუცველია და ეს დაუცველობა გამოიხატება არა მარტო ცალკეული გაზეთების თუ ოპონენტების მხრიდან მათ ხელალებით ლანძღვაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიერ შრომის არაჯეროვანი დაბალი ანაზღაურებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთოდ კორუფციის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი, ყველა სფეროში, მაინც მცირე მატერიალური ანაზღაურებაა და უსათუოდ ამას გულისხმობდა საქართველოს პრეზიდენტი, როცა მოსამართლეთა ძალადი ანაზღაურების აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას მთავრობის ხელმაზე. რადგან აქსიომაა: თუ ქვეყანას ჰყავს მოსამართლენი, რომლებიც ჭეშმარიტად განახორციელებენ მართლმსაჯულებას, ეს ქვეყანა სახელმწიფოა, სახელმწიფო კი, თავის მხრივ, უნდა ეცადოს მატერიალურად უზრუნველყოფილი ჰყავდეს მოსამართლენი, რადგან შრომის ანაზღაურება მათი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი რეალური გარანტიაა.

მაგრამ მოსამართლეებს დღემდე ხელფასები არ მომატებიათ. უფრო მეტიც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ მიღებული კანონით ეს უნდა განხორციელდეს 1998 წლის 1 მაისიდან. ამრიგად, რაიონისა და ქალაქის მოსამართლეთა მიმართ არაფერი იცვლება (რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, მათ ხელფასები საგრძნობლად გაეზარდათ ჯერ კიდევ 1996 წლის იანვრიდან, რაც ჩვენს წინა კონფერენციაზეც აღინიშნა გასული წლის 7 დეკემბერს). გამოდის, რომ არავის აინტერესებს თუ როგორ ცხოვრობს ან როგორ იცხოვრებენ ქვეყნის მოსამართლენი 25-30 ლარის თვიური ხელფასით მომავალი წლის 1 მაისამდე.

ბატონმა მ. სააკაშვილმა ამასწინათ იუსტიციის საბჭოს წევრებთან ჩვენი შეხვედრის დროს გაძლიერდა გულისტკივილი იმის თაობაზე, რომ როცა სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელები აყენებდნენ მათ მუშაკთა ხელფასების მომატების საკითხს, მოსამართლენი არავის გახსენებიათ.

სამწუხაროდ, ასეთი უყურადღებობის ტრადიცია სასამართლოებისა და მოსამართლეთა მიმართ, როგორც იტყვიან, „არ ახალია, ძველია“. მაგრამ დღეს სახელმწიფომ ასეთი უსახსრობის გამოცდის წინაშე არ უნდა დააყენოს სასამართლო ხელისუფლება, სახელმწიფო ხელისუფლების ეს უმთავრესი შტო.

ამასთან, არ შეიძლება აქ გვერდი ავუარო ბატონ მ. სააკაშვილის წერილს, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1997 წლის 4 სექტემბერს სათაურით „სასამართლო რეფორმა უფრო სამართლიანი საქართველოსთვის“. კერძოდ, ავტორი მიუთითებს, რომ „დღესდღეობით ჩვენ საქმე გვაქვს არსებითად მოხალისე მოსამართლეებთან, ვინაიდან 30 ლარიანი ხელფასის თანამდებობის პირი არ შეიძლება ჩაითვალოს დასაქმებულად. ხელფასი არ არსებობს, მაგრამ მოთხოვნა მოსამართლის თანამდებობაზე დღეს, როგორც არას-

დროს, მაღალია, რაც სისტემაში ფართომასშტაბიანი კორუფციის უტყუარობის დიკატორია“.

ვერ დავეთანხმები ბატონ მ. სააკაშვილს ზემოხსენებულ დებულებაში, გარდა ერთისა, რომ 30 ლარი მართლაც მეტად დაბალი ხელფასია სამოსამართლო საქმიანობისათვის. რაც შეეხება მსურველებს სამოსამართლო მანტიის მორგებისა, ცხადია, ასეთი მოთხოვნა მაღალი იქნება, რადგან მოსამართლეობა ჩვენში და ყველგან, ყოველთვის პრესტიჟულ თანამდებობად ითვლებოდა. ამას გარდა. ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნაა იმუშაოს თავისი სპეციალობით და საერთოდ, სამსახურად, ჩვენს ქვეყანაში ყველა დარგში ხელფასები მეტად მცირეა და თუ ამ ფორმულას აქსიომად მივიღებთ — ყველგან მოხალისენი გვყოლია და ყველგან კორუფცია მძვინვარებს.

აშკარად იგრძნობა დღეს მოქმედ მოსამართლეთა მიმართ უყურადღებობა, რაც ნათლად გამოიხატება, მაგალითად, თუნდაც თბილისის რეგიონალური სამხედრო სასამართლოს მოსამართლეთა მისამართით. მოვეხსენებათ, კონსტიტუცია არ ცნობს სამხედრო სასამართლოს არსებობას და მათ, ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 25 ნოემბრიდან შეწყვეტეს მუშაობა.

სამსახურად, არავინ ფიქრობს იქ დასაქმებულ მოსამართლეთა შრომით მოწყობას და მაღალი რანგის იურისტები უმუშევრები რჩებიან.

ვეროსაბჭოს ეგიდით შვეიცარიის ქალაქ ნოშატელში გაიმართა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების პრეზიდენტებისა და წევრების თათბირი, რომელსაც მეც ვესწრებოდი. აქ ძირითადი თემა იყო მოსამართლეთა ასოციაციები, მათი როლი, მიზნები, ძალაუფლება და სტატუსი.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელების გაძლიერების მიზნით, არსებობს დამოუკიდებელ მოსამართლეთა ძლიერი და წარმომადგენლობითი ასოციაცია. ამასთან, ხაზი გაესვა, რომ მოსამართლეები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი პროფესიული ასოციაციების შექმნის საქმეში, ხოლო ეს ასოციაციები — გამჭვირვალე, დამოუკიდებელი და მისაწვდომი ყველა მოსამართლისათვის. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე უნდა წარმოადგენდნენ მოსამართლეთა პროფესიულ ინტერესებს და მასმედიასთან უნდა იცავდნენ მის დამოუკიდებლობას. მუშაობისა და ხელფასების პირობები, ისე როგორც წინასწარი გამოცდები კანონების ცოდნის შესახებ, უნდა შედიოდეს მათ კომპეტენციაში. მათი მთავარი მისია უნდა იყოს, აგრეთვე, მოსამართლეთა საერთაშორისო გაცვლა. უნდა მოაწყონ ფორუმები, დისკუსიები, იზრუნონ მოსამართლეთა პროფესიულ კარიერაზე და პასუხისმგებლობაზე, აგრეთვე, მართლმსაჯულების ევოლუციაზე თანამედროვე საზოგადოებაში. ძლიერმა ასოციაციამ უნდა დაიცვას მყარი იდეები, რადგან დროის მოთხოვნაა, რომ სასამართლო ხელისუფლება თანასწორად ელაპარაკოს სხვა ხელისუფლებას.

ამ დისკუსიის შუქზე რეკომენდირებულია მხარი დაუჭირონ ევროპის ყველა ქვეყანას შექმნას, ხოლო სადაც შექმნილია, განვითარდეს მოსამართლეთა პროფესიული ასოციაციები. მოსამართლეთა ასოციაციებმა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უნდა იქონიონ ერთმანეთთან ურთიერთობა ისე, რომ გამოავლინონ თავიანთი სხვადასხვა მიზნები და მისწრაფებანი. გააძლიერონ ურთიერთობა ამ მიმართებით ევროპის საკონსულტაციო პროგრამის საფუძველზე.

მოსამართლის ერთპიროვნული დამოუკიდებლობა შეუძლებელია. რის გამოც აუცილებლად უნდა მოხდეს მოსამართლეთა ასოციაციის შექმნა, რომელიც რესპუბლიკის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტი გახდება მომავალში, ხოლო შემდგომ მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოც. მოსა-

მართლეთა ასოციაციამ ხელი უნდა შეუწყოს სასამართლო ხელისუფლების გაძლიერებას, რადგან ძლიერი სასამართლო ხელისუფლების გარეშე ადამიანის უფლებები დაუცველი დარჩება.

მართალია, ქვეყნის პარლამენტის მიერ 1997 წლის 13 ივნისს მიღებულ ირგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ გათვალისწინებულია სოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები, მაგრამ, ვფიქრობ, მოსამართლეთა კონფერენციამ თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს მოსამართლეთა ასოციაციის შექმნასთან დაკავშირებით.

სასამართლო რეფორმის განხორციელება ყველაზე მეტად მოსამართლეებს აინტერესებთ, რამეთუ მათ ყველაზე კარგად უწყიან თუ რას ნიშნავს მოსამართლის დამოუკიდებლობა, კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დროს დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელება, მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები და აქედან გამომდინარე ყველა შედეგი ჭეშმარიტი მართლმსაჯულებისა. ბევრი მოქმედი მოსამართლისათვის სამოსამართლო საქმიანობა შეიძლება მოწოდებაც კი იყოს.

„კანონები მუნჯი მოსამართლეებია, ხოლო მოსამართლენი, რომლებიც მოლაპარაკე კანონები არიან, უნდა იყვნენ შეუდრეკელნი, რათა მათთან ერთად თვით სახელმწიფო იყოს შეურყეველი“, გვასწავლის ლუაზო. ჩვენ მივესალმებით ასეთ შემართებას.

ნუზარ ბირკია.



საქართველოს
პარლამენტის
პრეზიდი
ბ ი ბ ლ ი თ ი ბ ჯ ა

იური ზაზისონია

პროკურატურის თეორიის კრიმინოლოგიაში, ტერმინოლოგიაში-ნებათა და კლასიფიკაციის პრობლემა

(შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა)

1. შესავალი. პროკურატურის, როგორც სახელმწიფო-სამართლებრივი სისტემის (რომელიც რეალიზდება სახელმწიფო ორგანოს, დაწესებულების, ინსტიტუციის სხვადასხვა ნაირსახეობით, მრავალჯარიანტულად) და, კერძოდ, მისი კონცეფტუალური, არსის განმსაზღვრელი, ინსტიტუციური ნიშნებისა და ასპექტების კვლევა დღეს, როცა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რადიკალური სამართლებრივი რეფორმა (და არა მარტო პოსტსოციალისტურ სივრცეში — 60-იანი წლებიდან ეს პროცესი დაიწყო და დღემდე გრძელდება არსებითად მთელს მოწინავე მსოფლიოში, განსაკუთრებით — დამნაშავეობის გლობალური კონტროლის ამოცანის გართულებასთან და ამ „კონტექსტში“ ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით¹), ფრიად აქტუალურია. საკითხის მნიშვნელობას ზრდის მსოფლიო და ევროპულ სტრუქტურებში პოსტსოციალისტური სახელმწიფოების ინტეგრირების (და, შესაბამისად, არსებული სამართლებრივი ბაზისა და სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების საერთო-ევროპულ სტანდარტებთან „მისადაგების“) სულ უფრო მზარდი მოთხოვნები და მისწრაფებები. ამ ამოცანათა შორის არანაკლებ პრობლემატურია პროკურატურის სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად ტრანსფორმირება, რაც მოითხოვს მის ინსტიტუციურ, კონცეფტუალურ კვლევას სამივე დროსთან მიმართებაში (ისტორიული — წარმოშობის, ინსტიტუციონირებისა და შემდგომი ევოლუციის ეტაპები და ტენდენციები; დღევანდელი მდგომარეობა და რეფორმების კანონზომიერებანი; შემდგომი განვითარების პროგნოზირება). ამგვარი კვლევის ეფექტიან მეთოდებს შორის კი შეუცვლელი მნიშვნელობა აქვს, სისტემურ მიდგომასთან ერთად, შედარებითი სამართალმცოდნეობის (კომპარატივისტიკის) მეთოდის მოშველიებას, მითუმეტეს, რომ პროკურატურა (რომლის საწყისებს ვერ კიდევ ძველი რომის ინსტიტუტებში პოულობენ, ხოლო მის ჭეშმარიტ სამშობლოში — საფრანგეთში — იგი უკვე შვიდ ასწლეულზე მეტს ათვის) მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ინსტიტუტია, თუმცა, ცხადია, ხშირად ფრიად არსებითად განსხვავებული სამართლებრივი სტატუსითა და მოდიფიკაციით.

¹ «Уголовно-процессуальное право РФ», Учебник. М., 1997, с. 548—549,

2. პრობლემის საერთაშორისო ასპექტები.

პროკურატურის ინსტიტუტი-სადმი საერთაშორისო ინტერესისა და ყურადღების გამოხატულება იყო 1989 წელს ჰავანაში გაეროს მე-8 კონგრესზე (რომელიც მიეძღვნა დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და დამნაშავეებთან მოპყრობის პრობლემებს) ისეთი დოკუმენტის მიღება, როგორცაა „სახელმძღვანელო პრინციპები პროკურატურის მაგისტრატების² როლის თაობაზე“. მასში მითითებულია, რომ პროკურატურის მაგისტრატები ფუძემდებლურ როლს ასრულებენ მართლმსაჯულების ამოცანათა შესრულებაში, რის გამო წესები, რომლებიც მათ მიმართ გამოიყენება ამ წინშენელოვანი ფუნქციების განხორციელებისას, პროკურორებს უნდა განაწესებდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ფუძემდებლურ დოკუმენტებში მითითებული პრინციპების განსახორციელებლად. ამით კი გარანტირებული იქნება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების მიუკერძოებლად აღსრულება და მოქალაქეთა ეფექტიანი დაცვა დამნაშავეებისაგან. ანალოგიური დებულებები იქნა განვითარებული აგრეთვე 1995 წელს გენერალური ასამბლეის მიერ გაეროს ქვეკომისიის ერთ-ერთ რეკომენდაციაში (მუხ. 29), რომელიც შეეხებოდა სასამართლოთა დამოუკიდებლობას, აღნიშნულია: „პროკურორებისა და ადვოკატების დამოუკიდებლობა, ის სიმაძავე და შეგნებულობა, რომლითაც ისინი ასრულებენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას, აუცილებელია სასამართლოების დამოუკიდებლობის გასამტკიცებლად, რათა გარანტირებული იყოს მართლმსაჯულება, თავისუფლება და კანონიერებისადმი პატივისცემა, აგრეთვე ადამიანის, ქველა პირის უფლებათა დაცვა მთელს საზოგადოებაში“.³

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროკურატურის პრობლემატიკაზე ევროსაბჭოს ეგიდით გამართული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები (1993 წ. — ვენაში, 1994 წ. — ბუდაპეშტში, 1996 წ. — მესინაში, 1997 წლის 8-9 იანვარს კი — მოსკოვში).⁴ კონფერენციებს წითელ ზოლად გასდევდა კონცეფტუალური დებულება (იდეა), რომ ამ ორგანოს შეიძლება ახასიათებდეს განსხვავებულობანი ქვეყნის, მისი ისტორიის, სამართლებრივი კულტურის, ინსტიტუციური რეფორმის მიმდინარეობის თავისებურებებიდან გამომდინარე — მთავარია, რომ პროკურატურის სტატუსის, სტრუქტურის, ამოცანებისა და მუშაობის ფორმების ტრანსფორმირება (რეფორმირება) მოხდეს ჰარმონიულად, სამართლებრივ-სასამართლო სისტემების ცვლილებისადაკავალად, იმ საბოლოო ანგარიშით, რომ მან იპოვოს თავისი კუთვნილი ადგილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე აგებულ დემოკრატიულ სახელმწიფოში, კანონის

2 ამ შემთხვევაში „მაგისტრატი“ აღნიშნავს თანამდებობის პირს. საერთოდ, ტერმინი „მაგისტრატი“ (აქედან: „მაგისტრატურა“) კონტინენტური სამართლის უმრავლეს და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მოსამართლეების, პროკურორებისა და გამომძიებლების საერთო (კრებსითი) სახელწოდებაა.

3 უნდა შევნიშნო, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში პროკურორებისა და ადვოკატების როლის ამგვარი მაღალი შეფასება და, აქედან გამომდინარე, მათი დამოუკიდებლობის აუცილებლობის საგანგებოდ ხაზგასმა მეტად იშვიათია საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში — ისინი, როგორც წესი, მთლიანობაში მოიაზრება „მართლმსაჯულების“ და „სასამართლო ხელისუფლების“ ცნებებში, რომელთა დამოუკიდებლობის პრინციპით ერთიანადაა გაყენებული ადამიანის უფლებათა დაცვისაკენ მიმართული აქტების კორპუსი. (იხ. «Права человека и судоустройство. Собрание международных документов». Варшава, 1997).

უზენაესობის, მართლწესრიგის, ადამიანისა და სამოქალაქო საზოგადოების უფლებებისა და თავისუფლებების დამცავ ინსტიტუტებს შორის. მოსკოვის კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ამჟამად ევროსაბჭო აქტიურ საქმიანობას ახორციელებს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ამაღლების და სპეციალური პროექტის („პროკურატურის როლი სისხლის სამართლის პროცესში“) რეალიზაციის მიზნით.⁵

3. საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციური გარდაქმნის ზოგიერთი ასპექტი. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ, 1997 წლის 21 ნოემბრის ორგანულმა კანონმა „პროკურატურის შესახებ“, გასულ წელს მიღებულმა სისხლის სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებმა საქართველოს პროკურატურა დააყენა იმ ერთეულ პოსტსოციალისტურ პროკურატურათა გვერდით, რომელთაც არა „კოსმეტიკური“, არამედ ძირეული, რადიკალური, ინსტიტუციურ-კონცეფტუალური ცვლილებები განიცადეს.⁶ გაუქმდა რა „საქართველოს პროკურატურის დროებითი დებულებით“ და არაქტივით ისედაც ატროფირებული საერთო ზედამხედველობის ფუნქცია და ფაქტობრივად ჩამოაშორეს რა სამოქალაქო სამართალწარმოებას, პროკურატურას დარჩა 4 ძირითადი კონსტიტუციური ფუნქცია: სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, მოკვლევისა და სასჯელის მოხდაზე ზედამხედველობა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა. „პროკურატურის შესახებ“ კანონმა (რომლის მიღებაც, ისევე როგორც კონსტიტუციის 91-ე მუხლისა, მძაფრი დებატებით აღინიშნა), ე. წ. კონსტიტუციური ფუნქციების „გამსხვილების“ წესით⁷ დაუმატა ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია, აგრეთვე „სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობა“ (ზეუწყებრივი), რამაც, ისევე როგორც თვით სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების შინაარსმა, ფართო დისკუსიები გამოიწვია.⁸

საქართველოს პროკურატურის დღევანდელი სამართლებრივი სტატუსი და საპროკურორო სისტემის შემდგომი ტრანსფორმირების პრობლემები მოითხოვს სისტემურ-ინსტიტუციურ და ფუნქციურ ანალიზს, პროკურატურის ინსტიტუტის საერთაშორისო, პოსტსოციალისტური სივრცის თუ რეგიონული მასშტაბებით გააზრებას. ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება ორ ასპექტს: ა) პროკურატურის როლი და ადგილი ქართული სახელმწიფოს მექანიზმში; ბ) შერეული ტიპის („საზედამხედველო-საბრალმდებლო“) პროკურატურის ამ ვარიანტის თავისებურებანი და პერსპექტივები (ტენდენციები). ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავში-

5 Журн. «Законность», 1997, № 3, с. 5. ამ კონტექსტში, ვფიქრობ, საგანგებოდ აღნიშვნას იმსახურებს ის ღირსშესანიშნავი ფაქტი, რომ ამ შეხვედრების შედეგად შეიქმნა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია, რომლის პრეზიდენტია ირლანდიელი ი. ბარსი (იგი მოხსენებით გამოვიდა მოსკოვის კონფერენციაზე).

6 ამასთან, როგორც პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ მ. სააკაშვილმა 1996 წელს საერთაშორისო სემინარზე განაცხადა, ყველაზე მეტი ცვლილება კონსტიტუციამ სწორედ პროკურატურის როლსა და ფუნქციებში შეიტანა (ჟურნ. „სამართალი“, 1996, № 5-6, გვ. 9).

7 თ. ნინიძე, სამართლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი. ჟურნ. „სამართალი“, 1996, № 5-6, გვ. 15.

8. ამ საკითხზე (რომელიც სცილდება სტატიის თემას) ჩემი ზოგიერთი მოსაზრება, გამოთქმული 1997 წლის 10-12 ივლისს ევროსაბჭოს ევლით თბილისში გამართულ საერთაშორისო სემინარზე, იხ. სტატიაში: „სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურორო ფუნქციის განხორციელების ზოგიერთი კონცეფტუალური საკითხი“ (ჟურნ. „სამართალი“, 1997, № 7-8, გვ. 25-31).

რებით აქ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავ, რომ რეფორმის შედეგად რეპრესიული და მართვითი ფუნქციების გაზრდის ვითარებაში არსებითად შემცირდა პროკურატურის სამართალდაცვითი ფუნქციები და პოტენციალი (უფლებამოსილების შეკვეცისდაკვალად). რაც შეეხება პროკურატურის როლსა და ადგილს, კონსტიტუციის 91-ე მუხლი და ორგანული კანონი (მუხ. I) მას, მართალია „სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებად“ მოიხსენიებენ (ისევე, როგორც, წაგალითად, ლატვიის კანონმდებლობა – „სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციად“), მაგრამ არსად არ ცხადყოფენ, თუ რაში გამოიხატება სასამართლო ხელისუფლებისადმი მისი „მიბმის“ იურიდიული (სახელმწიფო-სამართლებრივი, საპროცესო-სამართლებრივი) შინაარსი და საზრისი. უფრო მეტიც, კონსტიტუციამ თვითონვე უარყო ამ ნოველის რეალობა, როცა 82-ე მუხლის მე-3 ნაწილში ჩაწერა: „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები“. ამგვარად, გამოდის, რომ პროკურატურა არის სასამართლო (და არა სხვა რომელიმე) ხელისუფლების (და არა მართლმსაჯულების, ცხადია) დაწესებულება, რომელიც ამ (სასამართლო) ხელისუფლებას არ ახორციელებს. რაში მდგომარეობს ამ, რბილად რომ ვთქვათ, „იურიდიული სიძნელის“ არსი და პირველწყარო თუ მიზეზი?

მიმაჩნია, რომ აღნიშნული მდგომარეობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ზედმეტად დოგმატურად გაგებაში, რისი დაღიჯ აზის პოსტსოცილისტური ქვეყნების კონსტიტუციათა დიდ ნაწილს. რუსეთის კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ჩვენი კონსტიტუცია ნაკლებ კატეგორიულია: „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“ (მუხ. 5). პრინციპზე „დაყრდნობა“ კი, ცხადია, არ ნიშნავს მასზე „ჩამოკიდებას“ (აბსოლუტიზაციას). რეალურად ეს ასეც არის: კონსტიტუცია ითვალისწინებს სამი ცნობილი ფუნდამენტური ხელისუფლების (შტოს) გარეთ, მათგან ინსტიტუციურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელ ისეთ ორგანოებს, როგორიცაა კონტროლის ქალაქა, ეროვნული ბანკი, სახალხო დამცველი. პროკურატურაც, ჩემი აზრით, ობიექტურად ამგვარი სტატუსით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი კონსტიტუციაში (მიუხედავად სასამართლო ხელისუფლებისადმი დეკლარაციულად მიკუთვნების გარკვეული პრაქტიკული უპირატესობისა!), ვინაიდან იგი ასევე არაფრით არ „ჯდება“ არც ერთ ფუნდამენტურ ხელისუფლებაში. კერძოდ, თუნდაც, იმიტომ, რომ (ამჯერად აქ ყოველგვარი დეტალიზებისა და არგუმენტების გარეშე აღვნიშნავ)⁹ პროკურატურის სტატუსი შეიცავს, ერთი მხრივ, სამივე ფუნდამენტური ხელისუფლებისათვის დამახასიათებელ, მეორე მხრივ კი, სპეციფიკურ „საპროკურორო“ კომპეტენციურ (ხელისუფლებრივ-სამართლებრივ) და ფუნქციურ ასპექტებს (ნიშნებს). სწორედ ამით (პლუს „ნეიტრალიტეტი“) არის პირობადებული პროკურატურის „კომპენსატორული“ როლი „შეკავებისა და წონასწორობის“ (უფრო ზუსტად, „კონტროლისა და წონასწორობის“) მექანიზმებში.¹⁰

9 საკითხის თაობაზე იხ. ჩემი სტატია: „საკონტროლო-საზედამხედველო სტრუქტურების კონსტიტუციური სტატუსის ზოგიერთი საკითხი“ (ჟურნ. „სამართალი“, 1994, № 7-8, გვ. 11-19).

10 განსახილველი საკითხების რიგი ასპექტებისა სინტერესოდ იყო წარმოჩენილი მოსკოვის კონფერენციაზე რუსეთის გენერალური პროკურორის ი. სკუტარატოვის მოხსენებაში (იხ. ჟურნ. „ზაკონოსტის“ შემოსენებული ნომერი, გვ. 5-10), აგრეთვე უფრო ადრე ჟურნალების „გოსულარსტვო ი პრავოს“, ჟურნ. „ზაკონოსტის“, აგრეთვე რუსეთის პროკურატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მოწყობილი საგანგებო „მრგვალი მაგიდასა“ და ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომებზე ცნობილი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების გამოსვლებში (იხ. ჟურნ. „გოსულარსტვო ი პრავოს“ 1994 წლის მე-5 ნომერი, გვ. 3-34).



4. ტერმინოლოგიის საკითხები. ტერმინი „პროკურორი“ ფრანგულიდან გაგზავნილი რცელდა, თუმცა მისი ძირი ლათინურია — ზრუნვა, მართვა, გამგებლობა, რომლისგანაც კიდევ ორი ტერმინი მომდინარეობს — „პროკურატორი“ და „პროკურისტი“.¹¹ ტერმინი „პროკურორი“ დღევანდელი მნიშვნელობით საბოლოოდ ჩამოყალიბდა საფრანგეთში (დაახლოებით მე-17 საუკუნის დასაწყისისთვის), საიდანაც თანდათან გავრცელდა მთელ რიგ ქვეყნებში მათ შორის პეტრე პირველის დროინდელ რუსეთში (1722 წ.). მიუხედავად ამისა, პროკურატურა, როგორც სპეციალური ინსტიტუცია, ამ ქვეყნებში ერთიდაიგივე ტერმინით როდი მოიხსენიება. თვით მის სამშობლოში — საფრანგეთშიც კი პროკურატურის უმაღლესი ორგანოს — საკასაციო სასამართლოსთან არსებული გენერალური პროკურორის აპარატი შედგება 22 თანამდებობის პირისაგან, რომელთაგან ერთი იწოდება „პირველ გენერალურ ადვოკატად“, დანარჩენი 21 — „გენერალურ ადვოკატად“, რომლებიც ახორციელებენ ბრალდების მხარდაჭერას საკასაციო სასამართლოში. ამასთან, ე. წ. „მცირე ინსტანციის სასამართლოში“ ანუ საპოლიციო ტრიბუნალში კი პროკურატურის წარმომადგენლის როლს ასრულებს ადგილობრივი პოლიციის კომისარი;¹² გერმანელები „პროკურორის“ ნაცვლად ხმარობენ საკუთარ კომპოზიტს — „Staatsanwalt“, „პროკურატურისა“ — „Staatsanwaltschaft“, რაც სიტყვა-სიტყვით ითარგმნება შესაბამისად როგორც „სახელმწიფოს ადვოკატი (დაძველი, რწმუნებული)“ და ამგვარ პირთა დაწესებულება.¹³ ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში პროკურორების ანალოგიური სტატუსის მქონე პირს ჰქვია ატორნეი.

5. პროკურატურის ცნების დეფინიციის საკითხისათვის. პროკურატურათა არსებული დიდი ნაირგვარობის ვითარებაში, როცა, ამასთან, ამ ინსტიტუტის სისტემური, ფუნდამენტური კვლევა ორ ადრე დიამეტრულად დაპირისპირებულ სისტემას შორის „კარგახსნილობის“ ვითარებაში ფაქტობრივად ახლა იწყება, ძალზე ძნელია (თუ არა შეუძლებელი) უნივერსალური დეფინიციის ჩამოყალიბება. ნიშანდობლივია, რომ თვით თითქოსდა საერთო ორი „წმინდა საპროკურორი“ ფუნქციაც კი — სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერა და სისხლისსამართლებრივი დევნა — ყველგან უეჭველი კატეგორიულობით როდი იკვეთება (სისტემის რიგ სხვა „მცოცავ“ ფუნქციათაგან).

პროკურატურათა ამგვარი „პოლივარიანტულობის“ მიუხედავად, იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება პროკურატურის ცნების განმარტების ცდები. „პროკურატურა, — წერს ა. ა. მიშინი, — ეს არის ორგანო, რომლის ფუნქციები ჩვეულებრივ მდგომარეობს დანაშაულებრივ ქმედებათა ჩამდენი პირების სის-

¹¹ „პროკურატორი“ მმართველს, რწმუნებულს აღნიშნავდა ძველ რომში, ამჟამად კი ჰქვია შვედეთის პარლამენტთან არსებულ თანამდებობის პირს. პროკუროსტი კი, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, არის პირი, რომელსაც მიეცა პროკურა ანუ გენერალური სავაჭრო მინდობილობა.

¹² С. В. Боботов, Правосудие во Франции, М., 1994, с. 35, 195 и др.

¹³ Немецко-русский юридический словарь», Москва—Берлин, 1995, с. 435.

ხლისსამართლებრივ დევნაში, სასამართლოში საჯარო ბრალდების მხარდაჭერაში, ხშირად აგრეთვე ზედამხედველობაში დანაშაულთა წინასწარი გამოძიებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პირთა ყოლის კანონიერებაზე“.¹⁴ ცხადია, ამგვარი განსაზღვრების თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობა დაბალია. აქვე ავტორი აგრძელებს: „ამით(!) აიხსნება ის, რომ კონსტიტუციური ინსტიტუტების შემადგენლობაში იგი ჩვეულებრივ არ შედის: დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებში მისი მოხსენიება იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს“.¹⁵ ჯერ ერთი, გაუგებარია, თუ რა სახის კორელაციური კავშირია ციტირებულ განსაზღვრებაში ავტორის მიერ ჩამოთვლილ საპროკურორო ფუნქციებსა და კონსტიტუციაში მათს რეგლამენტირებას შორის. მეორეც, სადავოა თვითონ კონსტიტუციებში იშვიათად მოხსენიების დებულებაც — საგანგებო კვლევის გარეშე აქვე შეგვიძლია დავასახელოთ რიგი ამგვარი ქვეყნების კონსტიტუციები, რომლებშიც ჩაწერილია პროკურატურის შესახებ: იტალიის 1947 წლის (104-ე, 107-ე, 108-ე და 112-ე მუხლები), ესპანეთის 1978 წლის (124-ე, 126-ე, 127-ე მუხლები), შვედეთის (მე-7 თავი მთლიანად), აშშ რიგი შტატების კონსტიტუციები და ა. შ.

ამგვარი დეფინიციის სიძნელეებითაც აიხსნება ის, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში საჭიროებისდა მიხედვით კმაყოფილდებიან პროკურატურის რომელიმე კონკრეტული მიზნისათვის მისაღებ და საკმარის მუდმივ ნიშანზე მითითებით. მაგალითად, 1996 წლის 31 მაისს საქართველოს პროკურატურაში გაყროს შესაბამისი სამსახურების ეგიდით შემოვიდა დამნაშავეობისა და სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების ფუნქციების სფეროში არსებული ტენდენციის მე-5 მიმოხილვის პროგრამის (სტატისტიკის) შესავსები კითხვარი, რომელშიც (პ. 12) მითითებულია: „პროკურორი ნიშნავს სახელმწიფო თანამდებობის პირს, რომლის მოვალეობებში შედის აღძრას სისხლის სამართლის საქმე და სახელმწიფოს სახელით პასუხისმგებაში მისცეს დანაშაულის ჩამდენი პირები“. საინტერესოა კითხვარის ტექსტის შემდგომი (განმარტებითი) ნაწილიც: „ზოგიერთ ქვეყანაში პროკურორი არის შესაბამისი სპეციალური ორგანოს მუშაკი, სხვებში — პოლიციის თანამშრომელი ან სასამართლოს სისტემის მუშაკი“.¹⁶

6. კლასიფიკაციის საკითხები. ზემოხსენებული სირთულეები განაპირობებს პროკურატურათა კლასიფიკაციის სიძნელეებსაც. ამგვარი კლასიფიკაციის საფუძვლად, გარდა ზემოთ „ირიბად“ მოხსენიებული კრიტერიუმებისა (ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში, კონსტიტუციური რეგულირება, ფუნქციათა ტიპები), შეიძლება გამოდგეს ამათუიმ სამართლებრივი სისტემისადმი კუთვნილება (მაგ., ანგლოსაქსონური და კონტინენტური). შეიძლება დაყოფა განვითარებული, განვითარებადი, სოციალისტური და პოსტსოციალისტური ქვეყნის პროკურატურებად (ცხადია, რეფორმირებისმიერი დინამიზმის

14 «Государственное (конституционное) право зарубежных стран», (тома 1—2), под. ред. Б. А. Страшуна, М., изд-во «Бек», 1996, с. 647.

15 იქვე.

16 საქართველოს გენერალური პროკურატურის შემოსავლის № 11-96, პასუხის — № 12-96-96 (12. 06. 1996 წ.)



გათვალისწინებით) და ა. შ. ამათგან ყველაზე მიღებულია პროკურატურების კლასიფიკაცია პირველი ნიშნის მიხედვით. აქ განვიხილავ ორ ვარიანტს:

1. ზემოხსენებული ავტორის — ა. მიშინის კონსტრუქციით, პროკურატურის (რომელსაც იგი მოიხსენიებს „სასამართლო ხელისუფლების ხელისშემწყობ ც.რგანობებსა და დაწესებულებებს“ შორის) ამ ნიშნის მიხედვით ქვეყნები შეიძლება დაიყოს 4 ჯგუფად: ა) სადაც პროკურატურა შედის იუსტიციის სამინისტროში (აშშ, საფრანგეთი, იაპონია, პოლონეთი); ბ) სადაც პროკურატურა შედის სასამართლო კორპუსის (მაგისტრატურის) შემადგენლობაში და იმყოფება სასამართლოსთან (ესპანეთი, იტალია); გ) სადაც პროკურატურა გამოყოფილია ცალკე სისტემად და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე (სოციალისტური ქვეყნები); დ) სადაც პროკურატურა საერთოდ არ არის (დიდი ბრიტანეთი).


2. რამდენადაც განსხვავებული და, ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, უფრო სწორი და კონსტრუქციულია სამართლის რეფორმის სახელმწიფო კომისიის წიერ პრეზიდენტთან და პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს („პროკურატურის შესახებ“) თანდართულ განმარტებით ბარათში მოცემული კლასიფიკაცია. კერძოდ, მასში მითითებულია, რომ თანამედროვე სამართლებრივი სისტემები სამ ძირითად მოდელს იცნობს: ა) პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში, რომლის მიხედვით პროკურორი წარმოდგენილია სისხლისსამართლებრივი დევნას ორგანოდ („პროკურორი — სისხლისსამართლებრივი მოსარჩელე“) და მას არ გააჩნია კანონის შესრულებაზე ზედამხედველობის ფუნქციები (გერმანია, საფრანგეთი, იტალია, აშშ-ს უმრავლესი შტატები და ა. შ.); ბ) პროკურატურა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი განშტოება, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კანონის შესრულებაზე, სისხლისსამართლებრივ დევნას და წინასწარ გამოძიებას (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, უზბეკეთი და ა. შ.); გ) პროკურატურა, როგორც სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუცია, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციასთან ერთად უფლებამოსილია ზედამხედველობა განახორციელოს მოკვლევის ორგანობის საქმიანობაზე, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდაზე, ამასთან, მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში და ა. შ. (ლატვია, საქართველო და ა. შ.).

სინამდვილეში არსებული რეალობა მნიშვნელოვნად განსხვავებული, მრავალწახნაგოვანი და ჩახლართულია. მაგრამ ამჯერად შევჩერდები მხოლოდ პირველი ვარიანტის ზოგიერთ ასპარა მცდარობაზე. კერძოდ: ა) დიდი ბრიტანეთის ძაგალითი აქ უსწოროდ არის მოტანილი — 1985 წელს აქ უკვე ჩამოყალიბდა პროკურატურა¹⁷ (ცხადია, მისი სპეციფიკური ვარიაციით); ბ) ცალკე სისტემად

17 См. Уголовная юстиция: проблемы международного сотрудничества, М., Изд-во «Бек», 1994, с. 38—39;

ავტორი, რომელიც იმეორებს რენე დავიდის ცნობილი ნაშრომის დებულებას, როგორც ჩანს, დაეყრდნო მოძველებულ ლიტერატურას. კერძოდ, ამ ნაწილში წყაროდ მითითებულია 1972 წელს გამოცემული წიგნი ი. ბელსონისა — „სასამართლო, პროკურატურა და საპრობოლები თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში“ (რუსულ ენაზე).

გამოყოფილი პროკურატურები მრავლადაა პოსტსოციალისტურ სახელმწიფო-
ებშიც;¹⁸ გ) ზოგჯერ პროკურატურის „მიბმა“ ამათუიმ სახელისუფლებო შტოს-
თან (რაზეც ზემოთაც იყო საუბარი) წმინდა წყლის ფიქციაა. საილუსტრაციოდ
რუსეთისა და საფრანგეთის მაგალითებიც კმარა: პირველის მთელი „კუთვნილე-
ბა“ სასამართლო ხელისუფლებისადმი კონსტიტუციის შესაბამისი თავის ბოლო
მუხლში ჩართვაში გამოიხატება, ხოლო ორგანიზაციულად იუსტიციის სამინის-
ტროში შეყვანილი და „სასამართლოებთან არსებული“ ფრანგი პროკურორები
კი თავიანთ საქმიანობაში ფაქტობრივად არც ერთს ექვემდებარებიან და არც მე-
ორეს. მეტიც, სასამართლო პროცესზე პროკურორი მხარედ როდი გამოდის,
ამიტომ არც სანქციას ექვემდებარება და არც აცილებას.



18 См. Законы о прокуратурах стран СНГ и Балтии (сборник документов с предисловием), М., 1995, с. 3—5 и др.

ბიორები მოსახიანი

დაცვის უფლების პრობლემა

საქართველოში სასამართლო რეფორმის კვლადაკვალ სისხლის სამართალწარ-
ჩიებაში დამცველის როლი თანდათან იზრდება და სრულყოფილი ხდება. ამ უფლე-
ბების საზღვრების გაფართოება, გათვალისწინებულია საქართველოს ახალ სისხ-
ლის სამართლის საპროცესო კოდექსში.¹ უკანასკნელ წლებში ასევე მნიშვნელოვ-
ნად გაიზარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის როლი, რომელიც
სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე თავის რეკომენდაციებს
აქვეყნებს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების შესახებ, რომელთაც დიდი
მნიშვნელობა აქვთ. ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს უზენაესი სასამარ-
თლოს პლენუმის 1992 წლის 29 თებერვლის № 14 დადგენილება „უდანაშაუ-
ლობის პრეზუმციისა და ეჭვიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის
უფლების შესახებ“² რომელსაც ამჟამად, ასევე, რეკომენდაციის დანიშნულება
გააჩნია. მიუხედავად ამისა, ესეც ნაკლებად პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს,
რამდენადაც ჯერ კიდევ არსებობს შეუთანხმებლობის და დისკუსიების საფუძე-
ლები კანონის ზოგიერთი ნორმის მიმართ, რამდენადაც აღნიშნულ დოკუმენტში
თითქმის არ არის განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორი-
ცაა მსჯავრდებულის დაცვის უფლება,³ რეალური დაცვის უზრუნველყოფის
მნიშვნელობისა და სწორი გაგების შესახებ,⁴ დამცველის დამოუკიდებელი პო-

1. სამწუხაროდ, მასში, როგორც მოქმედ კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებუ-
ლი დამცველის უფლება გაეცნოს საქმის მთელ მასალას მას შემდეგ, რაც იგი დაშვებული იქ-
ნება საქმეზე მონაწილეობის მისაღებად. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ „ბრალდებულისაგან
მისი ბრალულობის მტკიცებულებების დაფარვის აზრი არ აქვს. საქმეზე დაშვების შემდეგ მას
(დამცველს — გ. მ.) ფაქტობრივად უნდა ჰქონდეს უფლება გაეცნოს საქმის მასალას“
И. Л. Петрухин, Неприкосновенность личности и принуждение в уголовном
процессе, 1989, стр. 113).

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი, 1992, № 1-2, გვ. 3-9.

3. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით გარანტირებულ დაცვის უფლებას აშკარად
ეწინააღმდეგება მოქმედი სსსკ 388-ე მუხლის III ნაწილი, სადაც ნათქვამია: „სასამართლო
სხდომაზე, რომელიც იხილავს საქმეს ზედამხედველობის წესით, საკირო შემთხვევაში განმარ-
ტების მისაცემად შეიძლება მოწვეულ იქნენ მსჯავრდებული, გამართლებული, მათი დამცვე-
ლები“, მაშინ როდესაც „საერთაშორისო კონვენცია ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური
უფლებების შესახებ“ მე-14 მუხლის III ნაწილის „დ“ პუნქტში მიუთითებს, რომ „ნებისმიერ
სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს უნდა ჰქონდეს უფლება და გარანტია,
იყოს გასამართლებული მისი თანდასწრებით, დაიცავს თავი პირადად ან მის მიერვე შერჩეული
დამცველის დახმარებით“, ხოლო ადვოკატურის როლის ძირითადი დებულების პირველი მუხ-
ლის თანახმად „თითოეულ ადამიანს უფლება აქვს მიმართოს ადვოკატს დახმარებისათვის თა-
ვისი შეხედულებით, თავისი უფლებების დასაცავად სისხლის სამართლის პროცედურის ყველა
სტადიაზე“.

4. ასეთი გაგება განმარტებულია სსსკ უმაღლესი სასამართლოს 1978 წლის 16 ივლისის
პლენუმის № 5 დადგენილების მე-12 პუნქტში, „სასამართლოების მიერ კანონების განხორციე-
ლების პრაქტიკის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს დაცვის უფლებებს“. რასაც საქართვე-

ზიციის განსაზღვრის შესაძლებლობის ფარგლებში, მათთვის ახალი მტკიცებულებების მოძიებისა და წარდგენის შესახებ,⁵ ვალდებულების ცნება და დამცველის მტკიცებულებების უზრუნველყოფის ფარგლებში და სხვა. ზოლო დამცველისა და ბრალდებულის პოზიციების სხვადასხვაობა სასამართლო სხდომაზე ჩაითვა დაცვის უფლების ყველაზე მეტად გავრცელებულ დარღვევის მიზეზად.⁶ მაშინ როდესაც, მიგვაჩნია, რომ ამ უკანასკნელის თანახმად, დამცველს შეუძლია დაიკავოს რამდენადმე განსხვავებული პოზიცია, რაც მთელ რიგ შემთხვევაში უფრო რეალურად შეუწყობს ხელს მისი ამოცანის წარმატებით განხორციელებას სისხლის სამართალწარმოებაში.⁷

შენიშვნებს იწვევს ზოგიერთი განმარტება, რომელიც მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 24 დეკემბრის დადგენილებაში „სასამართლო საქმეების დროულად განხილვა-გადაწყვეტისა და კანონით დადგენილი საპროცესო ვადების დაცვის შესახებ“.⁸ კერძოდ, ამ დადგენილების მესამე პუნქტში ნათქვამია: „როდესაც დამცველის ფუნქციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული განსაჯელის ახლო ნათესავი ან კანონით გათვალისწინებული სხვა პირი, ზემოაღნიშნული დარღვევისათვის, გაფრთხილების შემდეგ, სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით ჩამოართვას მას მინიჭებული უფლებამოსილება“.

ლოს სასამართლოები, როგორც წესი, არ იყენებენ. ამდენად, არ იყენებენ სასამართლოების წარული წლების დადებით გამოცდილებას. ამასთან დაკავშირებით სწორად მიგვაჩნია რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის პრაქტიკა, რომელმაც თავის № 11 დადგენილებაში (в редакции от 21 декабря 1993 г. «О применении судами Российской Федерации постановлений Пленума Верховного суда Союза ССР» მიუთითა, რომ განმარტება, რომელიც მოცემულია სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში, შეიძლება გამოიყენონ სასამართლოებმა იმ ნაწილში, რომელიც არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას...“ (იხ. Сборник постановлений Пленумов Верховных судов СССР—РСФСР, 1995, стр. 542—543).

5. სსსკ და დებულება ადვოკატურის შესახებ ზღუდავს ამ მიმართებით დამცველს. თუმცა იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი სტანდარტების საერთაშორისო ასოციაციის მე-13 მუხლის „გ“ პუნქტში ნათქვამია, რომ პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის იურისტი ვალდებულია ფლობდეს საშუალებას გამონახოს, გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და იდეები, რომლებიც ეხება მის პროფესიულ მოვალეობას, რაც დადებითად არის გადაწყვეტილი ახალ სსს კოდექსში.

6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ბიულეტენი, 1992, № 1-2, გვ. 3-9. ასევე გადაწედა ეს საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 7 ივლისის № 1 დადგენილებით „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების მკაცრად დაცვის შესახებ“ (1984, № 3, გვ. 8). ამდენად საკითხის ასეთ გადაწყვეტას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულმა თავის დანაშაული აღიარა, რომელიც არ არის დადასტურებული საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს მიერ, დამცველმა უნდა გაიზაროს თავისი დაცვის ქვეშ მყოფის პოზიცია, მაშინ როდესაც, იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის იურიდიული პროფესიის დამოუკიდებელი სტანდარტების მე-12 მუხლში გათვალისწინებულია, რომ „ადვოკატების დამოუკიდებლობა მოცემულ საქმეში, პირებს, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ თავისუფლება, უნდა გახდეს გარანტია თავისუფლების უზრუნველყოფის, სამართლიანობისა და იურიდიული დახმარების კონფიდენციალურობის“.

7. ამ შეხედულებას იზიარებს მრავალი პროცესუალისტი (См. М. С. Строгович, Деятельность адвокатов в качестве защитников обвиняемого, стр. 90—91; Ю. И. Стецовский и Я. М. Ларин, Конституционный принцип обеспечения обвиняемому права на защиту, 1988, стр. 306; Уголовный процесс. Учебник для вузов под редакцией П. А. Лупинская, 1995, стр. 72 и др. იგივეს იცავდა ადრეული ლიტერატურა).

8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს „მართლმსაჯულების მაცნე“, № 4, 1994, გვ. 20-24.



ვფიქრობთ, რომ აღნიშნული განმარტება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, რამდენადაც უკანასკნელი არ ითვალისწინებს საქმის განხილვაში მონაწილეობისაგან დამცველის განთავისუფლების შესაძლებლობას განსასჯელის (ბრალდებულის) თანხმობის გარეშე და ისიც არა მარტო სასამართლოს განჩინებით, არამედ გამოძიებლის და პროკურორის დადგენილების თანახმად. ზათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც დამცველის მოქმედება იწვევს საქმის გაუმართლებელ გაჭიანურებას გამოძიებისა და განხილვის პროცესში.⁹

მოქმედი სსსკ 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „დამცველი“ ნიშნავს პირს, რომელიც უფლებამოსილია ამ კოდექსით დადგენილი წესით დაიცავს ბრალდებული და გაუწიოს მას იურიდიული დახმარება“. ასეთად, აღვოკატებთან ერთად, როგორც წესი, მიგვაჩნია პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ასევე სასამართლო განჩინებით ან მოსამართლის დადგენილებით შეიძლება დაშვებულ იქნეს განსასჯელის ახლო ნათესავები და კანონიერი წარმომადგენლები. ამიტომ ამ საკითხის განსხვავებული გადაწყვეტა, ერთი მხრივ, აღვოკატის მიმართ და, მეორე მხრივ, ბრალდებულის ახლო ნათესავების ან კანონიერი წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც დაშვებული არიან დამცველად, მიგვაჩნია არასწორად. იგი ასევე ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორუფლებიანობას სისხლის სამართალწარმოებაში, რომელიც გათვალისწინებულია კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტით,¹⁰ ასევე სასამართლო პრაქტიკას, სადაც არაერთხელ არის მითითებული, რომ „თუ სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებას დამცველი არ დაემორჩილა, ღებულობს ზემოქმედების ღონისძიებას, რაც გათვალისწინებულია მოქმედი სსსკ 263-ე მუხლის II ნაწილით“.¹¹ სასამართლოს უარი ახლო ნათესავის დამცველად დაშვების შესახებ და საქმის განხილვა დამცველის მონაწილეობის გარეშე, როცა მისი მონაწილეობა სასამართლო განხილვის დროს აუცილებელია, ითვლება სისხლის სამართლის კანონის არსებით დარღვევად, რომელიც იწვევს განაჩენის გაუქმებას¹² და ა. შ.

აღნიშნული დადგენილების მე-5 მუხლის „დ“ პუნქტში ნათქვამია: „როცა საქმეზე რამდენიმე განსასჯელია, ერთ-ერთის დამცველის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია ჩაატაროს სხდომა განსასჯელის თანხმობით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამით არ შეილახება დაცვის უფლება“.

ვფიქრობთ, რომ ეს განმარტება არ შეესაბამება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლითაც გარანტირებულია დაცვის უფლება. მოქმედი სსსკ 270-ე მუხლის III ნაწილში გათვალისწინებულია, რომ „თუ დამცველი არ გამოცხადდა და მისი შეცვლა ამ სხდომაზე შეუძლებელია, საქმის განხილვა გადაიდგება“. ამავე კოდექსის 355-ე მუხლის II ნაწილის მეოთხე პუნქტით საპროცესო კანონის არსებით დარღვევად ჩაითვლება და იწვევს განაჩენის აუცილებელ გაუქმებას, რადგან „საქმის განხილვა დამცველის მონაწილეობის გარეშე, როდესაც კანონის მიხედვით მისი დასწრება სავალდებულოა“. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის № 4 დადგენილების I და II პუნქტების და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

9. გამონაკლისს წარმოადგენს მოქმედი სსსკ 58¹ მუხლში ჩამოყალიბებული გარემოებანი და ამავე კოდექსის 43¹ მუხლში გათვალისწინებული შემთხვევები — დამცველის შეცვლა ბრალდებულის დავლებით ან მისი თხოვნით.

10. „საქართველოს კონსტიტუცია“, 1995, გვ. 55.

11. Бюллетень Верховного суда Российской Федерации, 1993, № 8, стр. 8.

12. Бюллетень Верховного суда РСФСР, 1976, № 6, стр. 14.

ცნობილია, რომ საქმის განხილვა დამცველის მონაწილეობის გარეშე იმ შემთხვევაში, როცა კანონით დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა, ითვლება სსს კანონის არსებით დარღვევად.¹³

„განსასჯელის უარი დამცველზე, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, ითვლება იძულებად, ხოლო სასამართლოს განაჩენი უკანონოდ“.¹⁴ „დამცველზე უარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა რეალური შესაძლებლობა საქმეში მისი მონაწილეობისა“.¹⁵ „თანხმობა, დამცველის მონაწილეობის გარეშე საქმის მასალების გაცნობისა, ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ბრალდებულის ნებაყოფლობითი უარი დამცველზე“.¹⁶

აღნიშნულ პირობებში ბუნდოვანია ისიც, თუ რით არის განპირობებული საკითხის ასეთი გადაწყვეტა იმ შემთხვევაში, როცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემულია რამდენიმე განსასჯელი. ნუთუ საქმის სწრაფი განხილვის პრინციპი უფრო მნიშვნელოვანია განაჩენის კანონიერებაზე?

აღნიშნული პლენუმის დადგენილების მე-5 მუხლის „ე“ პუნქტში ნათქვამია: „თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ განმეორებით აღძრული შუამდგომლობა მიმართულია საქმის განხილვის გაჭიანურების ან მართლმსაჯულების განზორციელებისათვის სხვაგვარი დაბრკოლების შექმნისაკენ, იგი უფლება მოსილია ეს შუამდგომლობა არ მიიღოს განსახილველად“.

ამ განმარტებამ შეიძლება შეზღუდოს დაცვის უფლება და გაზადოს სასამართლოს შეცდომის მიზეზად, როდენადაც მოქმედი სსსკ 279-ე მუხლი ითვალისწინებს „სასამართლო განხილვის მონაწილეთა უფლებას აღძრას განმეორებითი შუამდგომლობა ყველა იმ საკითხზე, რომლებიც გამოძინარებობენ საქმიდან, მიუხედავად წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო სხდომაზე მათი გადაწყვეტისა“, ხოლო აღნიშნულმა შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ განმეორებით დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მოერიდოს სასამართლო, რადგან შესაძლებელია ეს ჩაითვალოს სასამართლო სხდომის წესების დარღვევად. განსასჯელები იძულებული იქნებიან უარი თქვან ამ შესაძლებლობების გამოყენებაზე, რადგან ასეთი განმარტება არ შეესაბამება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტს: „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს“, რაც ასევე გათვალისწინებულია საერთაშორისო კონვენციის „ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, მე-14 მუხლის „ე“ პუნქტით. ამასთან, საინტერესოა, როგორ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლომ ამა თუ იმ საკითხზე თუ იგი არ განიხილავს შუამდგომლობებს, მათ შორის, განმეორებით განცხადებებს, არ მოისმენს სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეთა აზრს. მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი სწორად არის გადაწყვეტილი რფ სსსკ კომენტარებში, სადაც ყურადღება გამახვილებული არა მარტო განმეორებით, არამედ არაერთგვარად შუამდგომლობაზე ერთი და იგივე საფუძველით.¹⁷

13 Бюллетень Верховного суда Российской Федерации, 1994, № 6, стр. 7.

14 Бюллетень Верховного суда РСФСР, 1990, № 12, стр. 2.

15 Бюллетень Верховного суда, 1988, № 12.

16 Бюллетень Верховного суда Российской Федерации, 1995, № 4, стр. 9.

17 УПК Российской Федерации. Комментарий. 1995, стр. 341. Примечательно и новшество, содержащееся в этом УПК. Согласно ч. 3, стр. 223, ходатайство и вызове дополнительных свидетелей и истребовании других доказательств подлежит удовлетворению во всех случаях.



აღნიშნული დადგენილების მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტი მიუთითებს: „სასამართლოს განჩინებაზე საჩივრებისა და პროტესტების შეტანისათვის დაწესებული შვიდდღიანი ვადა, იზიარება განაჩენის გამოცხადების დღიდან, ხოლო თუ მსჯავრდებული პატიმრობაში იმყოფება, მისთვის განაჩენის პირის ჩაბარების დღიდან“. მაშინ, როდესაც, მოქმედი სსსკ 103-ე მუხლის I ნაწილით, „ამ კოდექსით დადგენილი ვადების გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება ის საათი და დღე-ღამე, რომლითაც იწყება ვადის მსვლელობა“.

ასევე დასაზუსტებელია უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტში მოცემული განმარტება „სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მიღებისას სასამართლოებმა მხედველობაში იქონიონ, რომ თუ კანონით (სსსკ 89-ე მუხლით) გათვალისწინებული წინასწარი პატიმრობის ყველა ვადა ამოიწურა, სასამართლოს მიერ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას ამ ვადის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ ერთი თვით“. მაშინ როდესაც, ისინი იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში მაქსიმალური ვადით (9 თვე). ასეთ გამონაკლისს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს.

დაცვის უფლება არის ბრალდებულის კონსტიტუციური უფლება. ეს ასევე უშუალოდ ეხება დამცველსაც, რის გამოც იგი დეტალურად უნდა დამუშავდეს, რათა ბრალდებულის დაცვა საბოლოოდ იყოს სრულყოფილი და თანასწორი ფუნქცია სისხლის სამართალწარმოებაში, ხოლო დამცველი — ფაქტობრივად, თანაბარი მხარე შეჯიბრებითობის პროცესისა.



ღაპით სუხიბაჟვილი

შექენითი ხანდაზმულობის შესახებ

შექენითი ხანდაზმულობა ძირითადი სანივთო უფლების (საკუთრება, სერვიტუტი, უზუფ-რუქტი) შექენის საშუალებაა. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სამოქალაქო სამართალი უფლებების წარმოშობის ასეთ წესს არ იცნობდა; მაგრამ საბჭოთა მეცნიერებაში ამ ინსტიტუტისადმი ინტერესი არასოდეს ვანელებულა. საბჭოთა სახელმწიფოს პირველ წლებიდან მოყოლებული 1991 წლის 31 მაისს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიღებამდე მრავალი შრომა მიეძღვნა ამ თემას.

მეცნიერთა ერთი წრე თავგამოდებით იბრძოდა სამოქალაქო სამართალში შექენითი ხანდაზმულობის შემოღებისათვის. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორცაა თ. იოფე, ა. ვენედიქტოვი, დ. გენკინი, ვ. რიასენცევი, ი. ტოლსტოი. იყო შექენითი ხანდაზმულობის შემოღების საწინააღმდეგო აზრიც, რომელსაც მხარს უჭერდა მაგ. ს. მეერ-ზონი და რ. ხალფინა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად არ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობისათვის სრულიად უცხო იყო შექენითი ხანდაზმულობის პრინციპები. საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის თანახმად უმეტესადაა და ირავ პირუტყვი, რომელიც დროებით შესანახად კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას გადაეცემა, თუ ასეთი წვრილფეხა პირუტყვის პატრონი სამი თვის განმავლობაში, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვის პატრონი ექვსი თვის განმავლობაში არ გამოჩნდებოდა, უმეტესადაა და ირავ პირუტყვი საკუთრების უფლებით შესანახად გადაეცემულ კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას დარჩებოდა. ეს კი სხვა არაფერია თუ არა შექენითი ხანდაზმულობით ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობა.

ისტორიამ ცხადყო, რომ ყოველთვის შეიძლება არსებობდეს უკანონო მფლობელობა და სწორედ ამ გაურკვეველი ვითარების თავიდან აცილებას ემსახურება შექენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტი. მისი წყალობით ნივთის ფაქტობრივი მფლობელი მის შესაკუთრედ გადაიქცევა. „შექენითი ხანდაზმულობა დამკვიდრდა საზოგადოების ინტერესების დასაცავად, რათა საკუთრებით ურთიერთობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ზოგჯერ სამუდამოდ, გაურკვევლობა არ წარმოშობილიყო. შექენითი ხანდაზმულობა არც მესაკუთრის უფლებებს არღვევს, რადგან საკუთრების უფლების დასაცავად მას საკმარისი დრო ჰქონდა კუთვნილი ნივთის მოსაძიებლად და გამოსათხოვად“ — თ. აღნიშნავდა ვაი.¹ ამ პრინციპიდან გამომდინარე შემდგომში შექენითი ხანდაზმულობა ყველა განვითარებული სამოქალაქო სამართლის განუყოფელი ნაწილია. ამასთან შექენითი ხანდაზმულობა არა მხოლოდ საკუთრების წარმოშობის საფუძველია. რომის სამართალი,² საფრანგეთის სამოქალაქო სამართალი³ დასაშვებად მიიჩნევენ ხანდაზმულობით სერვიტუტისა და უზუფრუქტის წარმოშობასაც.

საქართველოში შექენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტს „საკუთრების უფლების შესახებ“ კანონმა ჩაუყარა საფუძველი, რომლის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილში ნათქვამი იყო, რომ „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის ქონების მესაკუთრე, მაგრამ სათანადო რეგისტრაციის შემდეგ კეთილსინდისიერად და ღიად, როგორც მესაკუთრე, ფლობს უძრავ ქონებას უწყვეტად სულ ცოცხა 15 წლის ან სხვა ქონებას 5 წლის განმავლობაში, იძენს ამ ქონების საკუთრების უფლებას“.

როგორც ცნობილია, საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით კანონი „საკუთრების უფლების შესახებ“ გაუქმდა, ხოლო შექენითი ხანდაზმულობის კოდექსში ოთხი მუხლი დაეთმო — 165-168.

1. И. Новицкий, Римское частное право, Москва, 1948 г., стр. 86.

2 Там же, стр. 94.

3 Жюлио де ла Морандьер, Гражданское право Франции, М., 1960 г., том 2, стр. 137.

მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შექმნილი ხანდაზმულობით უფლების წარმოშობისათვის საჭიროა: ნივთის გარკვეული პერიოდით ფლობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 165-ე და 167-ე მუხლებით მოძრავი ნივთისათვის დადგენილია 5 წელი, ხოლო უძრავი ნივთისათვის — 15 წელი). მფლობელობა უნდა იყოს უწყვეტი, კეთილსინდისიერი და ღია, პირი ნივთს უნდა ფლობდეს როგორც საკუთარს. მფლობელობითი ხანდაზმულობის ისტორია სხვა რეკვიზიტებსაც იცნობს. მაგალითად რუსეთის იმპერიის სამოქალაქო სჯულებით სხვა პირობებთან ერთად საჭირო იყო, რომ მფლობელობა ყოფილიყო უდავო და მშვიდი (წყნარი). დასახელებული პირობები დღეს თვით რუსეთის სამოქალაქო კოდექსითაა უარყოფილი, რადგან მათ სრულად მოიცავს ნივთის კეთილსინდისიერი და ღია მფლობელობის შინაარსი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმისათვის რომ შექმნილი ხანდაზმულობით საკუთრების უფლება წარმოიშვას, საჭიროა პირი მოძრავ ნივთს ხუთი წელი, ხოლო უძრავ ნივთს თსუთმეტი წელი ფლობდეს, მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მფლობელობის ეს ხანგრძლივობა აუცილებლად ერთ პირზე უნდა მოდიოდეს. ყოველთვის არ არის აუცილებელი, რომ პირი, რომელიც შექმნილი ხანდაზმულობით ნივთზე საკუთრების უფლებას მოითხოვს, უშუალოდ თვითონ ახორციელებდეს მფლობელობას კანონით დადგენილ ვადაში. მას შეუძლია მიიერთოს იმ პირის მფლობელობის ხანდაზმულობა, ვის უფლებამონაცვლესაც ის წარმოადგენს. ასეთ უფლებამონაცვლედ ჩვეულებრივ აღიარებული უნდა იყოს კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრე. მაგალითად, თუ შექმნილი ხანდაზმულობის პირობათა დაცვით სამკვიდროს დამტკიცებელი 9 წლის განმავლობაში ფლობდა უძრავ ნივთს და გარდაიცვალა, ხოლო იმავე უფლებით ნივთის ფლობა მისმა მემკვიდრემ გააგრძელა, ამ უკანასკნელისათვის ნივთზე საკუთრების წარმოშობისათვის საკმარისია, რომ ის უძრავ ნივთს 6 წელი ფლობდეს. დასაშვებად მიგვაჩნია ასევე უფლებამონაცვლობა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზეც. აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც მაგალითად, გამყიდველი კეთილსინდისიერად თვლიდა, რომ გასაყიდი ნივთი მას საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა, ფაქტობრივად კი შემქმნე მფლობელობის უფლება გადავიდა. ამ შემთხვევაში „გამყიდველისა“ და „მყიდველის“ მიერ ნივთის მფლობელობის ხანგრძლივობა შეიკრებება. ვადების ამგვარ შეკრებაზე პირდაპირ მიუთითებს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2235-ე მუხლი. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ასეთი ნორმა არ გავაჩნია, მაგრამ მფლობელობითი ვადების შეკრების ამგვარი წესი ჩვენშიც უნდა იყოს გამოყენებული.

სამართლიანად მიგვაჩნია გ. შერშენევიჩის მოსაზრება, რომ საჯარო ვაჭრობის დროს ძველსა და ახალ მფლობელებს შორის უფლებამონაცვლეობის კავშირი არ არსებობს, ამიტომ არც მფლობელობითი ვადების შეკრება დაიშვება. უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი საფუძვლად უდევს საკუთრების წარმოშობის კლასიფიკაციას პირველად და ნაწარმოებ სახეებად. მიჩნეულია, რომ როცა საკუთრების წარმოშობა უფლებამონაცვლეობას ემყარება (ეფუძნება), საკუთრების წარმოშობის ნაწარმოებ სახესთან გვაქვს საქმე, ხოლო თუ საკუთრება წარმოიშობა პირველად, ე. ი. როცა ნივთს მანამდე არ ჰყავდა მესაკუთრე, ან საკუთრების წარმოშობა ნივთის წინამორბედი მესაკუთრის ნებაზე არ არის დამოკიდებული (მაგალითად საჯარო ვაჭრობა), საკუთრების წარმოშობის პირველად სახესთან გვექნება საქმე. საკუთრების წარმოშობის სწორედ ამ სახეს მიეკუთვნება შექმნილი ხანდაზმულობა, რადგან იგი წინამორბედი მესაკუთრის ნებაზე არ არის დამოკიდებული.

შექმნილი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობისათვის კანონით დადგენილი ვადა — 5 და 15 წელი, იმპერატიული ხასიათისაა და მისი გაზრდა ან შემცირება არ შეიძლება, სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს მიერ. მფლობელობითი ხანდაზმულობის ვადა ძალიან წააგავს სასარჩელო ხანდაზმულობას. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ეს ვადები ბევრ შემთხვევაში ერთმანეთსაც კი ემთხვევა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ დასახელებული კოდექსის 2262 მუხლს, მაგრამ ამის მიუხედავად მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება. თუ შექმნილი ხანდაზმულობის გასვლა საკუთრების უფლებას წარმოშობს, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა პირიქით — პირს დაუტარავს სუბიექტურ უფლებას. შექმნილი ხანდაზმულობით პირი უფლებას მოიპოვებს მფლობელობითი ხანდაზმულობით და არა იმის გამო, რომ მესაკუთრემ მისი მფლობელობიდან გამოსული ნივთი არ მოიძია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაში. აქედან გამომდინარე ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მესაკუთრის მფლობელობიდან გამოსული ნივთი, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად

მის საკუთრებად რჩება, მანამ სანამ მესამე პირი — მისი ფაქტობრივი მფლობელი შექენითი ხანდაზმულობით მასზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს.

ერთი შეხედვით ეს მარტივი დებულება ყოველთვის ერთნაირად როდია გაგებული. რუსეთის სენატის 1906 წლის № 38 საკასაციო გადაწყვეტილებამდე მიჩნეული იყო, რომ მფლობელობითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობა დაფუძნებული იყო იმაზე, რომ მესაკუთრემ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაში არ განახორციელა და არ დაიცვა მისი უფლებები,⁵ რაც არ მიგვაჩინა სწორად, მაგრამ არც იმის დაშვება შეიძლება, რომ შექენითი ხანდაზმულობა სასარჩელო ხანდაზმულობისაგან სრულიად განცალკევებულად განვიხილოთ და შევისწავლოთ. სასარჩელო ხანდაზმულობასა და შექენითი ხანდაზმულობას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირიც უნდა არსებობდეს. მათ შორის ისეთი თანაფარდობა უნდა დამყარდეს, რომ მანამ, სანამ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ ამოიწურება, არ შეიძლება შექენითი ხანდაზმულობის ვადა დამთავრებულად ჩავთვალოდ. სასურველი იყო ეს ვადები ერთმანეთს ემთხვეოდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თუ სასარჩელო ხანდაზმულობა უფრო ადრე ამოიწურა, ვიდრე მფლობელობითი ხანდაზმულობა, ისე როგორც ეს ჩვენი სამოქალაქო კოდექსითაა გათვალისწინებული, შუალედში, შექენითი ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, წიგითი და მისი მფლობელი კვლავ გაურკვეველ სამართლებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ხოლო თუ ჯერ შექენითი ხანდაზმულობის ვადა ამოიწურება და ე. ი. საკუთრება ამ საფუძველზე წარმოიშობა, ყოფილი მესაკუთრის უფლებებს შევლახავთ.

შექენითი ხანდაზმულობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მფლობელობის უწყვეტობაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ მფლობელობითი ხანდაზმულობა უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს. კოდექსის 166-ე მუხლში ნათქვამია, რომ „თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში და ბოლოს, ივარაუდება, რომ იგი ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც“. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე გამოდის, რომ რა საფუძველითაც არ უნდა იყოს შეწყვეტილი მფლობელობა, თუკი იგი კვლავ განახლდა, უნდა ჩაითვალოს, რომ პირი ნივთს უწყვეტად ფლობდა, რაც არ მიგვაჩინა სწორად. უწყვეტი მფლობელობის ამგვარი ფართო გაგებით წარმოდგენა და არღვევს არა მარტო თვით უწყვეტობის, არამედ კეთილსინდისიერების პრინციპსაც. შექენითი ხანდაზმულობისათვის ნივთის ფლობის უწყვეტობა გაგებული უნდა იყოს მხოლოდ ისეთი შემთხვევებისათვის, როცა მფლობელობა დროებითაა დაკარგული მფლობელის ნების გარეშე და არ უნდა გამოვრიცხოთ მფლობელობის სხვაგვარი შეჩერება და შეწყვეტა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლი ისახლეს არ წარმოადგენს. იგი ანალოგიურია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 938-ე მუხლისა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სჯულდების დასახელებული ნორმის შემდგომ მუხლებში (940-941), დაზუსტებულია მფლობელობის უწყვეტობის პირობები, რომლის მიხედვითაც, რაც სრულიად ბუნებრივია, პირის ნების გარეშე მფლობელობის დაკარგვა, და არა ყველა შემთხვევა, ამ უფლების აღდგენას მოითხოვს. შესაბამისად მფლობელობის დარღვეული პერიოდიც მფლობელობით ხანდაზმულობაში ე. ი. უწყვეტ მფლობელობაში უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 940-ე მუხლით დარღვეული მფლობელობის უფლებები ერთი წლის ვადაში უნდა იყოს აღდგენილი. ვფიქრობთ, აღნიშნულის გათვალისწინებით დამატებები უნდა შევიდეს სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლში, რადგან მისი დღევანდელი რედაქცია მფლობელობითი ხანდაზმულობის უწყვეტობის არასწორი გაგებაა.

სხვადასხვა შეხედულება არსებობს მფლობელობითი ხანდაზმულობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. პროფესორი რიასენცევი მიიჩნევს, რომ შექენითი ხანდაზმულობის უწყვეტობა ისეთი პრინციპია, როცა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა საერთოდ არ უნდა შეწყდეს მისი საფუძვლის მიუხედავად, ხოლო თუ შეწყდა, მფლობელობის ვადის ათვლა თვითდან უნდა დაიწყოს.⁶ უფრო ღრმა ანალიზს უკეთებს ამ საკითხს ი. ტოლსტოი. იგი აღნიშნავს, რომ მფლობელობითი ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს იგივე გარემოება, რაც სასარჩელო ხანდაზმულობის. კერძოდ, მფლობელის მიერ მესაკუთრისათვის ნივთის დაბრუნების ვალდებულების აღიარება ამ მესაკუთრის მიერ სარჩელის წადგენა. შესაბამისად, ვადის შეწყვეტის შემდეგ მფლობელობითი ხანდაზმულობის ათვლა თავიდან დაიწყება.⁷ მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლი არასრულყოფილია. ის უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ პრეტენზიის წარდგენას, არამედ ამავე კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევასაც — მფლობელის მიერ მესაკუთრის წინაშე ნივთის დაბრუნების ვალდებულების აღიარებასაც.

5 Там же, стр. 298.

6 В. Рясенцев. «Советская юстиция», 1991 г., № 10, стр. 21.

7 Ю. Толстой. «Правоведение», 1992 г., № 3, стр. 26.



უფრო რთულად დგას საკითხი იმის შესახებ, გავრცელდეს თუ არა შეძენით ხანდაზმულობაზე ვადის შეჩერება. ბევრი ავტორი, მაგალითად შერშენევიჩი დადებითად წყვეტდა ამ საკითხს და აღნიშნავდა, რომ თუ შეძენითი ხანდაზმულობის მფლობელი გარდაიცვლებოდა და მისი უფლებამონაცვლე არასრულწლოვანი აღმოჩნდებოდა, ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება მფლობელის სრულწლოვანების მიღწევამდე. ვფიქრობთ, ასეთი მოსაზრება არ უნდა იყოს გამართლებული (თუმცა გ. შერშენევიჩი იმდროინდელ მოქმედ კანონს ეყარებოდა), რადგან არასრულწლოვანება საკუთრების წარმოშობას ხელს არ უშლის. სხვა საკითხია როცა ნივთის მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ მისი უფლებამონაცვლე აქნება არასრულწლოვანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 134-ე მუხლის თანახმად მის მიმართ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება, მანამ, სანამ პირი სრული ქმედუნარიანი გახდება. ამიტომ იმის მიუხედავად თუ ხანდაზმულობითი მფლობელი რამდენ ხანს ფლობს ნივთს, მასზე უფლებას ვერ მოიპოვებს და მფლობელობითი ხანდაზმულობა უნდა შეჩერდეს არასრულწლოვანი ან არაქმედუნარიანი მესაკუთრის სრული ქმედუნარიანობის მიღწევამდე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სასარჩელო ხანდაზმულობისა და შეძენითი ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის შეჩერებამ არ შეიძლება შეძენითი ხანდაზმულობის ვადის შეჩერება გამოიწვიოს, რადგან ცალკეული შემთხვევების გარდა, შეძენითი ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადების ხანგრძლივობა დიდად აღემატება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებს და ამიტომ ეს უკანასკნელი გავლენას ვერ ახდენს შეძენითი ხანდაზმულობის ვადებზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოდექსის 128-ე მუხლით გამოწვეულ წინააღმდეგობებს, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ხანდაზმულობითი მფლობელი მფლობელობას კეთილსინდისიერად უნდა ახორციელებდეს. ეს კი ნიშნავს, რომ მფლობელობის კეთილსინდისიერებაში თვით მფლობელი უნდა იყოს დარწმუნებული და ექვი არ უნდა ეპარებოდეს მფლობელობის მართლზომიერებაში, რომ მფლობელობა კანონიერად მიიღო. ამასთან კეთილსინდისიერი მფლობელობა შეძენითი ხანდაზმულობის მთელი პერიოდი უნდა გრძელდებოდეს. თუ მფლობელობის პერიოდში პირი შეიტყობს, რომ მისი მფლობელობა უკანონოა, აღარც კეთილსინდისიერ მფლობელობასთან გვექნება საქმე. მართალია, კოდექსში მფლობელობითი უფლებამონაცვლის კეთილსინდისიერებაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ უდავოდ იგულისხმება, რომ კეთილსინდისიერი მფლობელობა უფლებამონაცვლესაც ევალება.

მფლობელობითი ხანდაზმულობის ერთ-ერთ აუცილებელ და ხშირად სადავო პირობას წარმოადგენს ის, რომ პირი ნივთს უნდა ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს. ამ დებულებას ღრმად აქვს ფესვები გამდგარი მფლობელობასთან და ამიტომაც ვერცერთი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი მას ვერ ასცდა. ამასთან დაკავშირებით მოკლედ გვინდა შევეხოთ მფლობელობის ზოგიერთ საკითხს.

მფლობელობა მისი არსებობის მანძილზე ორი მიმართულებით ვითარდებოდა. პირველი რომის სამართლის მიერ შემუშავებული დოქტრინაა, რომლის მიხედვითაც მფლობელობა არის ნივთზე განხორციელებული ფაქტობრივი ბატონობა, რომელსაც თან ახლავს პირის განზრახვა, ნება, რომ ნივთს ფლობდეს თავისთვის როგორც საკუთარს. აქედან გამომდინარე მფლობელად უპირველესად ნივთის მესაკუთრე მიიჩნევა, რამდენადაც ის საკუთარ ნივთზე „ფაქტობრივ ბატონობასაც“ ახორციელებს და მისივე ნებით ფლობს თავისთვის როგორც საკუთარს. ასეთი ნება გააჩნია ასევე კეთილსინდისიერ მფლობელს, რომელიც კეთილსინდისიერად ცდებდა და მის მფლობელობაში არსებული ნივთის მესაკუთრედ თვლის თავს, თუმცა იგი მესაკუთრე არ არის. (კეთილსინდისიერი მფლობელი). და ბოლოს კეთილსინდისიერი მფლობელისაგან განსხვავებით არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა, მაგალითად ქურდმა, იცის რა, რომ ნივთის უკანონო მფლობელია, მისი განზრახვა იქითაა მიმართული, რომ ნივთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს და ამიტომ რომის სამართლის მიხედვით ქურდიც მფლობელად არის მიჩნეული.

დასახელებული სუბიექტური ნიშნის საპირისპირო პირობაა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება იმ განზრახვისა, თუ ნების გარეშე, რომ ნივთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს ანუ როცა იგი ნივთს მესამე პირისათვის ფლობს. ასეთ მფლობელობასთან გვაქვს საქმე, როცა ფაქტობრივი მფლობელი ამ ნივთზე სხვა პირის უფლებას აღიარებს, თვითონ კი მხოლოდ სარგებლობის უფლებას ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირის ნებართვით. ასეთი ურთიერთობა რომის სამართალში „დეტენციად“ იწოდებოდა, რაც ქართულად, ალბათ, მპყრობელად უნდა ითარგმნოს. ამრიგად, რომის სამართლის მიხედვით დამქირავებელი, მოიჯარე და მისთ. ნივთის მპყრობელები არიან და არა მფლობელები.

მფლობელების რომის სამართლისეული გაგებისაგან განსხვავებით გერმანიის პოზიტიური სამოქალაქო სამართალი და მეცნიერება მფლობელობას განიხილავს როგორც ფაქტს. გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 854-ე მუხლში ნათქვამია, რომ „მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე

ფაქტობრივი ბატონობის მიღწევით“, რითაც წაშლა ზღვარი მფლობელობასა და მპყრობელობას შორის და ნივთის მესაკუთრესთან ერთად დამპყრობელი, მოიჯარე, შემნახველი და სხვა ტიტულოვანი მოსარგებლები მფლობელებად იქნენ აღიარებულნი. თავის მხრივ ამან დასაბამი მისცა ყველა ტიტულოვანი მფლობელის დაცვის უფლებას. მაგალითად, საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად „არამესაკუთრე მფლობელს“ მინიჭებული აქვს ყველა ის უფლება, რაც მესაკუთრისათვისაა დადგენილი საკუთრების უფლების დასაცავად; მაშინ როდესაც რომის სამართლის მიხედვით მფლობელობის დაცვის უფლება მხოლოდ მოგირავნესა და სეკვესტრის მფლობელებს ჰქონდათ, რაც ამ ურთიერთობაში თავისებურებით აიხსნებოდა.

როგორც უკვე ვნახეთ, გერმანიის სამართალმა მფლობელობის ფაქტად აღიარებით მფლობელობის დაცვის ფარგლები გააფართოვა, მაგრამ მფლობელობით ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობასთან დაკავშირებით მფლობელობის რომის სამართლისეული პრინციპი გამოიყენა, რომლის მიხედვითაც მფლობელობა შიშველი ფაქტი კი არ არის, არამედ მას თან ახლავს პირის განზრახვა, ნება, რომ ნივთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს (გერმანიის სჯულების 937-ე მუხლი).

ამრიგად, გერმანიის სამართალი მფლობელობის გაორბულ წარმოდგენას ქმნის — მფლობელობის დაცვისათვისა და მფლობელობით ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმაც მფლობელობის გერმანული გზა აირჩია, თუმცა ვფიქრობთ, იგი ბევრ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებსაც შეიცავს.

გერმანიის სჯულების მსგავსად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლით მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებით, ე. ი. მფლობელობა ფაქტია, მაგრამ ამავე მუხლის მეორე პუნქტში ნათქვამია, რომ მფლობელად არ ითვლება პირი, რომელიც ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას კი ახორციელებს, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, რაც გულისხმობს, რომ რომის სამართლისეული გაგებით დამპყრობელი მფლობელი არ არის და ე. ი. მფლობელობა ფაქტი არ ყოფილა. ასევე კოდექსის 158-ე მუხლით პრეზუმპცირებულია, რომ მფლობელი მესაკუთრეა, მაგრამ თუ მფლობელობა ფაქტია, წინასწარ უნდა ვივარაუდოთ, რომ მფლობელი არის თვით ქურდიც კი.

გაუგებარია ასევე კოდექსის 163-ე მუხლის ტერმინოლოგია — „არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი“, როგორც ამ ნორმის შინაარსიდან ირკვევა, აღნიშნულ ტერმინში იგულისხმება „კეთილსინდისიერი მფლობელი“, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება“. საუკუნეების განმავლობაში სამოქალაქო სამართლის მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად კეთილსინდისიერი იმიტომაც კეთილსინდისიერი, რომ ის თავიდანვე უკანონო მფლობელობაა, მაგრამ სანამ ის კეთილსინდისიერია, არავის უფიქრია მისთვის მფლობელობის უფლების ჩამორთმევა.

მაგრამ ეს საკითხი ჩვენი დღევანდელი განხილვის საგანს არ წარმოადგენს. მფლობელობით ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობის საკითხში კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთსულოვანია როგორც რომის, ისე გერმანიის სამართლის. კერძოდ კოდექსის 165-ე მუხლში ნათქვამია, რომ შექმნითი ხანდაზმულობით საკუთრებას მოიპოვებს პირი, რომელიც ნივთს ფლობს „როგორც საკუთარს“.

ამრიგად, დავას არ იწვევს, რომ შექმნითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობისათვის საჭიროა, პირი ნივთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს და სწორედ ეს უნდა იყოს ამოსავალი იმის გასარკვევად, თუ რა ურთიერთობიდან წარმოშობილ მფლობელობაზე გავრცელდეს შექმნითი ხანდაზმულობა.

მფლობელობა, რომელსაც თან სდევს პირის განზრახვა, ნება, ნივთს ფლობდეს თავისთვის, როგორც საკუთარს, პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: 1. კეთილსინდისიერი მფლობელები, 2. არაკეთილსინდისიერი მფლობელები, 3. უპატრონო ქონების მფლობელები.

დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ შექმნითი ხანდაზმულობის გამოყენება სადავოდ არავის გაუხდია. კეთილსინდისიერი მფლობელის თავისებურება ის არის, რომ მან ნივთი მფლობელობაში მიიღო პირისაგან, რომელსაც მისი გადაცემის უფლებამოსილება არ ჰქონდა. ამიტომ მართალია იგი უკანონო მფლობელია, მაგრამ მან ამის შესახებ არ იცის და ნივთს ფლობს როგორც საკუთარს, თუმცა ის ნივთის მესაკუთრე არ არის. (არ შეიძლება გაზიარებული იყოს კეთილსინდისიერი შექმნის ისეთი დეფინიცია, რაც მოცემულია კოდექსის 187-ე მუხლში).

უფრო რთულად დგას საკითხი არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ. არაკეთილსინდისიერი მფლობელი თავის მხრივ მფლობელთა ორ კატეგორიას აერთიანებს: 1. პირი, რომელმაც არამართლზომიერად შეიძინა ნივთი (სასყიდლით ან უსასყიდლოდ) და 2. პირი, რომელმაც ძალადობის გზით მოიპოვა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა. (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და

სხვა(ც). არაკეთილსინდისიერი მფლობელის ამგვარი დახასიათების შემდეგ ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ მიმართ შეძენითი ხანდაზმულობის გამოყენება დაუშვებელი უნდა იყოს. მაგრამ თუ არაკეთილსინდისიერ მფლობელზე შეძენითი ხანდაზმულობას არ გავავრცელებთ, მაშინ ეს ინსტიტუტი საბოლოო შედეგს ვერ მიაღწევს და მიზანს ვერ გააძარტლებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეძენითი ხანდაზმულობა ნივთისა და მისი მფლობელის გაურკვეველი სამართლებრივი მდგომარეობის თავიდან აცილებას ისახავს მიზანად, მათი უმრავლესობა კი სწორედ არაკეთილსინდისიერი მფლობელებია. ამასთან არ შეიძლება ერთი და იგივე პირობები იყოს შემოღებული კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი განვითარებული ქვეყნის სამოქალაქო კოდექსს არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ შეძენითი ხანდაზმულობის გამოყენებაზე უარი არ უთქვამს. ფრანგი ცივილისტი ყიული მორანდიერი აღნიშნავს, რომ ოცდათწლიანი შეძენითი ხანდაზმულობა გამოიყენება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართაც და იმ პირის მიმართაც კი, ვინც ძალადობით დაეუფლა ნივთს⁸ და აქვე განაგრძობს, რომ უქანასკნელის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როცა ძალადობა შეწყდებაო. (იხ. ასევე საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2233-ე მუხლი). ასეთივე შინაარსისა არის პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 1294-ე—1295 მუხლები, რომელთა თანახმადაც შეძენითი ხანდაზმულობა გამოიყენება როგორც კეთილსინდისიერი, ისე არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ არაკეთილსინდისიერი მფლობელისათვის დადგენილია უფრო ხანგრძლივი ხანდაზმულობა, ამასთან შეძენითი ხანდაზმულობის ვადის ათვლა კეთილსინდისიერ მფლობელთაში გადაზრდის მომენტიდან დაიწყება.

ფვიქრობთ, ანალოგიური წესები უნდა იყოს გამოყენებული ჩვენთანაც არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ, მაგრამ ჩვენივე კოდექსის წყალობით ჭეղაჭელობით ეს შეუძლებლად მიგვაჩნია, თუ მასში სათანადო ცვლილებები არ იქნა შეტანილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით ხანდაზმულობის საერთო ვადა ათი წლით განისაზღვრება, მაშინ როდესაც უძრავ ნივთებზე შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობისათვის თხუთმეტი წელია დადგენილი. (სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლი). საერთო ხანდაზმულობა იმიტომაც „საერთო“, რომ სამოქალაქო კანონით დადგენილი არცერთი ვადა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და ე. ი. არ უნდა აღემატებოდეს მას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 პუნქტის ამავე კოდექსის 167-ე მუხლთან (და არა მარტო მასთან) შესაბამისობაში მოსაყვანად და არაკეთილსინდისიერ მფლობელზე შეძენითი ხანდაზმულობის გავრცელების მიზნით საერთო ხანდაზმულობის ვადა იმდენად უნდა გაიზარდოს, რომ უნდა აღემატებოდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ ყველა ვადას. ამ ვადის ხანგრძლიობის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე, რომ სხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ შეძენითი ხანდაზმულობის გამოყენებისას სწორედ საერთო ხანდაზმულობას მიმართავენ. ამიტომ ისეთი ხანგრძლიობა უნდა შეირჩეს, რომ მიზანშეწონილი იყოს არაკეთილსინდისიერი მფლობელისათვის საკუთრების მოსაპოვებლად. ბევრ ქვეყანაში ასეთ ვადად 30 წელია შემოღებული.

როცა არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთზე შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობაზე საუბარი, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ არაკეთილსინდისიერი მფლობელი ასეთ უფლებას მოიპოვებს და ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება მას შემდეგ, როცა მფლობელობა კეთილსინდისიერ სახეს მიიღებს.

უპატრონო ქონებაზე ფაქტობრივი მფლობელისათვის საკუთრების მოპოვება შეძენითი ხანდაზმულობით, არც საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსისათვის იყო უცხო. ამ კოდექსის მიხედვით უპატრონო ქონება, განძი, ნაპოვარი, უმეთვალყურეო და ირათ პირუტყვი საკუთრების უფლებითი სახელმწიფოს ან კოლმეურნეობას გადაეცემოდა. მოქმედი სამოქალაქო კოდექსით კი ნაპოვარზე და საერთოდ უპატრონო ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა მის მპოვნელს — ფაქტობრივ მფლობელს შემციირებული ხანდაზმულობის ვადაში. მფლობელობით ხანდაზმულობა უნდა გავრცელდეს ასევე მესაკუთრის მიერ მიტოვებულ ნივთზე, პირის მიერ ამ ნივთის დაუფლების მომენტიდან.

საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში და არა მარტო რიგით მოქალაქეებში, სპეციალისტთა შორისაც ინტენსიური განსჯის საგანი გახდა თუ რა ბედი ეწიოს „ატსტუპნოით“ (გასამცვლელით) უფლებამოსილ პირს და რა ნორმა იყოს გამოყენებული ამ უქანასკნელსა და სახლის მესაკუთრეს შორის წარმოშობილ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა ჭერ კიდევ სამოქალაქო კოდექსის პროექტის შემუშავების დროს წარმოიშვა, მაგრამ მან კოდექსში რაიმე ფორმით ასახვა ვერ პოვა.

არსებობს აზრი, რომლის თანახმადაც „ატსტუპნოსი“ მიმართ შექმნილი ხანდაზმულობა უნდა გავრცელდეს, რაც ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, რადგან იგი სულ დაარღვევს შექმნილი ხანდაზმულობის პრინციპებს.

ათეული წლების განმავლობაში საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მარტივი წერილობითი ფორმის „ატსტუპნოსი“ ხელშეკრულებით სახლის მესაკუთრე მეორე მხარეს სასყიდლით უთმობს საცხოვრებელ სადგომს, როგორც წესი განუსაზღვრელი ვადით. სასყიდლის წინასწარი გადახდა ხელშეკრულების ერთერთი აუცილებელი პირობაა. თავის მხრივ მეორე მხარე კისრულობს ვალდებულებას, ძირითადი სასყიდლის გარდა მესაკუთრეს ყოველთვიურად გადაუხადოს ბინის ქირა (სიმბოლურად თვეში 2-3 ლარი). მასვე უფლება აქვს, „გაასხვისოს“ მის მიერ დაკავებული ფართობი იგივე უფლებით, რაც მას გააჩნია. მიღებული თანხის წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტები მესაკუთრეს უნდა მისცეს. როგორც ვხედავთ, „ატსტუპნო“ რთული ბუნების ურთიერთობაა. იგი მოიცავს სასყიდლობის, ქირავნობისა და ზოგჯერ აწ ძალადაკარგული საბინაო კოდექსით გათვალისწინებულ სამისდემოშიო სარგებლობის ელემენტებს.

„ატსტუპნოსი“ ხელშეკრულებაში სასყიდლობისა და ქირავნობის ხელშეკრულების ელემენტები ერთნაირი სიძლიერითაა წარმოდგენილი. ამ წინააღმდეგობათა გამო ის არც სასყიდლობისა და არც ქირავნობის ხელშეკრულებად არ შეიძლება ჩაითვალოს. ყველაზე გონივრულ გამოსავლად გვეჩვენება, რომ „ატსტუპნოსი“ მიმართ პირადი სერვიტუტი იყოს გამოყენებული, რადგან ყველაზე მეტი საერთო მასთან აქვს და არა შექმნილი ხანდაზმულობასთან, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ „ატსტუპნოსი“ ცალკეული ელემენტები შექმნილი ხანდაზმულობის პირობებსაც აკმაყოფილებს.

„ატსტუპნო“ და პირადი სერვიტუტი (უზუფრუქტი)⁹ ორივე ურთიერთობა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით წარმოიშვას, სასყიდლიანობა დამახასიათებელია როგორც ერთი, ისე მეორე ურთიერთობისათვის, უძრავი ნივთით სარგებლობის უფლების ვადა ორივე შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს, მაგრამ ყველა პირობეში უნდა შეწყდეს ამ უფლების მიმდები პირის გარდაცვალებისთანავე. პირადი სერვიტუტის მსგავსად დაუშვებლად უნდა იყოს მიჩნეული „ატსტუპნოსი“ უფლების მემკვიდრეებზე ან ოჯახის წევრებზე გადასვლა, რადგან ეს უხეშად ხელყოფდა სახლის მესაკუთრის უფლებებს. „ატსტუპნოსი“ უფლების მქონე პირის გარდაცვალების შემდეგ, მისი ოჯახის წევრების მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ქირავნობის წესები, თუკი ამის თანახმა იქნება ბინის მესაკუთრე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არასწორად მიგვაჩნია სასამართლოს იმდგვარი პრაქტიკა, როცა „ატსტუპნოსი“ შეწყვეტის შედეგად ბინის მესაკუთრეს აკისრებენ ამ ურთიერთობისათვის ადრე მიღებულ სასყიდელს.

ახალი სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით კიდევ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი — „შინაურული ხელშეკრულებით“ ბინის სასყიდლობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის საკითხმა (1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 47-ე მუხლი), სასამართლო პრაქტიკამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი დავისა. მარტივი წერილობითი ფორმით ბინის სასყიდლობის ხელშეკრულების დადება ჩვენს საზოგადოებაში დღესაც ფართოდ გამოიყენება. ახალ სამოქალაქო კოდექსში კი ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მარტივი წერილობითი ფორმით ბინის (სახლის ან მისი ნაწილის) სასყიდლობის ხელშეკრულება და მისგან წარმოშობილი მხარეთა უფლება-მოვალეობანი ერთი შეხედვით იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბინის „შემსყიდველის“ მიმართ გამოვიყენოთ შექმნილი ხან-

9. პირად სერვიტუტთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირადი სერვიტუტი და უზუფრუქტი ყოველთვის განიხილებოდა როგორც ერთი მნიშვნელობის ცნებები. იგი პრედიკალური სერვიტუტის შემდეგი განვითარების შედეგია. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამოქალაქო კოდექსში ჯერ სერვიტუტი ყოფილიყო განხილული და შემდგომ — უზუფრუქტი. ამასთან არასწორად მიგვაჩნია კოდექსის 253-ე მუხლით ჩამოყალიბებული პირადი სერვიტუტის დეფინიცია და არა მარტო დეფინიცია. ამ ნორმის თანახმად პირადი სერვიტუტი ყოფილა უძრავი ნივთის სერვიტუტით დატვირთვა ამავე კოდექსის 247-ე მუხლში გათვალისწინებული პირობებით. ამრიგად, გამოდის, რომ 247-ე მუხლით გათვალისწინებული პრედიკალური სერვიტუტი და პირადი სერვიტუტი ერთი შინაარსისანი ყოფილან და თუ ეს ასეა, მაშინ პირადი სერვიტუტის ცალკე გამოყოფაც არ უნდა იყოს საჭირო. ობიექტურად პრედიკალურ და პირად სერვიტუტს ანუ უზუფრუქტს საერთო აქვთ ის, რომ ორივე სერვიტუტია — სხვისი ქონებით შეზღუდული სარგებლობის უფლება. ხოლო ინდივიდუალურია სარგებლობის პირობები და სწორედ ამ პირობებით უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

მიგვაჩნია, რომ კოდექსის 247-ე მუხლს მისი ნამდვილი მნიშვნელობით უზუფრუქტის ქვეთავში უნდა მიუქჩინოთ ადგილი.



დაზმულობა, რადგან ეს უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ბინას ფლობს სინდისერად, ღიად, როგორც საკუთარს. აღნიშნულის მიუხედავად ბინის ფაქტობრივი მფლობელის მიმართ საკუთრების წარმოშობის ამ წესს ვერ გამოვიყენებთ, რადგან არ არის დატული ხელშეკრულების ფორმა და საჯარო რეესტრში მესაკუთრედ არ არის რეგისტრირებული.

ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავსი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების გადაწყვეტა იურიდიულად სირთულეს არ წარმოადგენს — კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობის გამო გარჩევა ბათილად იქნება ცნობილი, მაგრამ იქნება კი ეს საქმის სამართლიანი გადაწყვეტა? ვფიქრობთ, არა. არა მგონია კოდექსის ნაკლად ჩათვლილიყო, საზოგადოებისათვის ამ მნიშვნელოვანი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, თუნდაც შეზღუდული სახით, 1923 წლის სამოქალაქო კოდექსის 182¹ მუხლის ანალოგიური ნორმა რომ გაეთვალისწინებინა ახალ კოდექსს, მაშინ როდესაც კოდექსში მრავალადაა 336-ე მუხლის (ქუჩაში დაღებული ხელშეკრულების) ანალოგიური არაფრისმთქმელი, ხელოვნური ნორმები.

ობიექტი, რაზედაც უნდა გავრცელდეს შეძენითი ხანდაზმულობა, სამოქალაქო კოდექსის 165-ე და 167-ე მუხლებით არის როგორც მოძრავი, ასე უძრავი ნივთები. უძრავ ნივთებზე შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ხანდაზმულობით მფლობელი 15 წლის მანძილზე საჯარო რეესტრში მესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს უძრავი ნივთების მიმართ შეძენითი ხანდაზმულობის გამოყენებას. ცნობილია, რომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობისათვის საჭიროა რთული წერილობითი ფორმით გარიგების დადება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ამიტომ მესაკუთრის ნების გარეშე საჯარო რეესტრში ცვლილებები პრაქტიკულად შეუძლებელია. სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლი ცხოვრებაში გამოუყენებელი და მკვდარი ნორმა იქნება. იქ სადაც უძრავი ნივთების საჯარო რეესტრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რასაც ჩვენც ვუპერტ მხარს, შეძენითი ხანდაზმულობით მათზე საკუთრების წარმოშობასაც აღარ ითვალისწინებენ. ვფიქრობთ ისევ და ისევ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი ნორმა ვერ იმოქმედებს. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო სჯულდებით შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების უფლების წარმოშობა მხოლოდ მოძრავ ნივთებზე ვრცელდება (იხ. სჯულდების 937-ე, 945-ე მუხლები). უძრავი ნივთების საჯარო რეესტრის თავისებურებიდან გამომდინარე იგივე გერმანიის სამოქალაქო სჯულდების მე-900 მუხლში ნათქვამია, რომ თუ პირი, რომელიც საადგილმამულო წიგნში მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა რეგისტრირებული, იმის მიუხედავად რომ მას იგი არ შეუძენია, ის ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდება თუ ჩანაწერი 30 წლის განმავლობაში სადავოდ არ გახდება. ეს კი სულაც არ ნიშნავს მიწის ნაკვეთზე მფლობელობითი ხანდაზმულობით საკუთრების წარმოშობას. იგი კიდევ ერთი დადასტურებაა საჯარო რეესტრის განსაკუთრებული მდგომარეობისა. ასეთივე პრინციპი მოქმედებს ინგლისის სამართალშიც.¹⁰

ამრიგად, შეძენითი ხანდაზმულობის შესახებ კოდექსის 165-168-ე მუხლები სერიოზულ ცვლილებებსა და დამატებებს საჭიროებენ.

ხშირად, მითუფრო ბოლო წლებში, ახალი კანონის სამოქმედოდ შემოღება მხოლოდ მატერიალურ ურთიერთობებს აწესრიგებს. მისი განხორციელების პროცესუალური მექანიზმი კი არ არსებობს. რა მდგომარეობა გვაქვს მფლობელობით ხანდაზმულობასთან. როგორც ვნახეთ, შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების უფლება წარმოიშობა შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ. მაგრამ დგება საკითხი, თუ ვინ ვასცეს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი?

აქ ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე ორგვარ წინააღმდეგობას შეიძლება წააფუცდეთ: როცა საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე უნდა წარმოიშვას და მასზე საკუთრების უფლების დასამტკიცებლად სპეციალური უფლების დამდგენი დოკუმენტი საჭირო არ არის და მეორე — როცა ნივთზე საკუთრების დადგენისათვის თვით კანონი მოითხოვს უფლებისდამდგენ დოკუმენტს. პირველ შემთხვევაში დიდ სირთულესთან არ უნდა გვკონდეს საქმე. მეორე შემთხვევისათვის კი ვფიქრობთ, შეძენითი ხანდაზმულობის მფლობელმა შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ, სასამართლოს უნდა მიმართოს განსაკუთრებული წარმოების წესით იმის დასადგენად, რომ მფლობელობითი ხანდაზმულობით ნივთზე საკუთრების უფლება მოიპოვა. ამის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი იქნება.

და ბოლოს, სამოქალაქო კოდექსის 1507 მუხლის თანახმად შეძენითი ხანდაზმულობის ვადის ათვლა 1993 წლის 23 ივლისიდან დაიწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კანონს უქუქცევითი ძალა არ მისცემია.

10 Гражданское и торговое право капиталистических стран, под ред. проф. Д. Генкина, Москва, 1949 г., стр. 197.

ბიორები ვიზიანი

მფლობელობისა და საკუთრების უფლების კლასიკური სანივთო სამართალი

სოციალიზმის პირობებში კერძო სამართალი სრულიად იგნორირებული იყო. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული იურიტიკის მიერ კერძო სამართალში უკვე არსებული მიღწევების შესწავლა და ქართულ სპეციფიკასთან მათი შერწყმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს ქართული ტრადიციების სრული უგულვებლყოფა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის პირობებში კერძო სამართლის ბევრი ცნება სხვაგვარად იყო წარმოდგენილი. მაგალითად, საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კოდექსში მფლობელობა განიხილებოდა, როგორც საკუთრების უფლების შემადგენელი ნაწილი. დღეს კი ამ ცნებას თავისი კლასიკური მნიშვნელობა დაუბრუნდა (იგულისხმება ახლად მიღებული სამოქალაქო კოდექსი). მოხდა მისი მკვეთრი გამიჯვნა საკუთრების უფლების შემადგენელი ელემენტებისაგან.¹

მფლობელობა არის საკუთრების უფლების შემადგენელი ელემენტების ფაქტობრივი განხორციელება, ანუ ფაქტი ნივთით სარგებლობისა. მისგან შემოსავლის მიღებისა, მისი განკარგვისა. მფლობელობა ჭრცელდება ზოგადად ყველა სანივთო და ვალდებულებით უფლებაზე. სარგებლობა გარკვეულწილად, მფლობელობისაგან განსხვავებით, შეიძლება იყოს ფაქტი, მაგრამ ფაქტი სარგებლობისა. ის ვერ იქნება abusus-ის ფაქტობრივი განხორციელება მაშინ, როცა მფლობელობას აქვს ზოგადი ხასიათი. ის ვრცელდება არა მხოლოდ საკუთრების უფლების შემადგენლობაზე, არამედ სხვა სანივთო და ვალდებულებით უფლებებზეც კი.

დღევანდელ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების უფლების შემადგენელი ელემენტების განმარტებას. აქედან გამომდინარე, შევეცდებით მფლობელობისა და საკუთრების უფლების შემადგენელი ელემენტების მკვეთრად გამიჯვნას და თანმიმდევრულად განვიხილავთ საკუთრების უფლების შემადგენლობას.

საკუთრების უფლება ყველაზე მნიშვნელოვანი სანივთო უფლებაა. იგი მთელი სისავსით მოიცავს ყველა სანივთო უფლებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. შეუძლებელია უზუფრუქტის ან სერვიტუტის ისეთი ფორმის მონახვა, რომელიც არ შეიცავს საკუთრების უფლების რომელიმე ელემენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტურ და კონტინენტურ დოქტრინებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობდა. ევროპული (კლასიკური) გაგებით საკუთრების უფლება შედგება სამი ელემენტისაგან – სარგებლობა, შემოსავლის მიღება და განკარგვა.²

1. მფლობელობა განმარტა სამოქალაქო კოდექსის 155-ე, ზოლო საკუთრების უფლება 170-ე მუხლებით.

2. Fr. Terré, Philippe Simler, „les biens“, Paris, Ed Dallor, 1992, p. 80.

საბჭოთა იურისპრუდენციამ წარმოადგინა საკუთრების უფლების განახლებული შემადგენლობა — მფლობელობა, სარგებლობა, განკარგვა.³ ამ ფორმულით საკუთრების უფლების მეორე ელემენტი — შემოსავლის მიღება გაერთიანდა სარგებლობასთან (ამგვარი რამ კონტინენტური ევროპის ზოგიერთ საბარათლშიც გვხვდებოდა).⁴ ხოლო რაც მთავარია, მფლობელობა, ანუ ქონებრივი უფლებების ფაქტობრივი განხორციელება, შევიდა საკუთრების უფლების შემადგენლობაში.

შეიძლება თუ არა მფლობელობა იყოს საკუთრების უფლების ერთ-ერთი ელემენტი? საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალიზმის პერიოდში კერძო საკუთრებამ საზოგადოებრივი (სახელმწიფო) სახე მიიღო. ინდივიდუალურის ნაცვლად დაწესდა საკმაოდ შეზღუდული პირადი საკუთრება.⁵ არ არსებობდა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ქონების თავისუფალი გაცვლა. პირადი საკუთრება, ძირითადად, მოხმარებად ნივთებზე ვრცელდებოდა.⁶ მისი სხვა ფორმები კი (საკუთრება ფორმების სახით იყო წარმოდგენილი) მკაცრ სოციალურ რეჟიმს ექვემდებარებოდა.

საკუთრებას საბჭოთა კავშირში მხოლოდ სოციალური ფუნქცია ჰქონდა. პირადი საკუთრება მინიმუმამდე იყო დაყვანილი და მკაცრად კონტროლდებოდა. ამგვარი რეჟიმის დროს მფლობელობა, ძირითადად, შეესაბამებოდა საკუთრებას და მისი ცალკე აღნიშვნის საჭიროებაც აღარ არსებობდა. მფლობელობამ დაკარგა თავისი ისტორიული ფუნქცია — თავისუფალი ქონებრივი ურთიერთობებისას მფლობელობა არის მშვიდობიანობის გარანტი და საკუთრების უფლების დამტკიცების იოლი ფორმა. მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მისი საკუთრების უფლების შემადგენლობაში შეტანისა. მიუხედავად ამისა, მფლობელობის ამგვარი განმარტება არ არის გამართლებული, რადგან „საკუთრების უფლება არის შესაძლებლობა საერთო სამართლებრივი ბატონობის განხორციელებისა ნივთზე, მაშინ, როცა მფლობელობა არის ფაქტი ამ ბატონობის განხორციელებისა“.⁷

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ იმავე საბჭოთა ავტორებთან, რომლებიც მფლობელობას საკუთრების უფლების ერთ-ერთ ელემენტად წარმოაჩენენ, მითითებულია, რომ მფლობელობა არის სხვა ქონებრივი უფლების ფაქტობრივი განხორციელებაც. აქედან გამომდინარე, როცა უფლება სანივთო ხასიათისაა, ეს უკვე კმარა იმის აღსანიშნავად, რომ იგი ხორციელდება მფლობელობის საშუალებით. მისი ცალკე აღნიშვნა რომელიმე უფლების შემადგენლობაში აღარ არის საჭირო.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მფლობელობა ზოგადი ხასიათის ფაქტია. საკუთრების უფლება სხვა სანივთო (ახლა უკვე თითქმის ყველა ქონებრივი) უფლებებისაგან მფლობელობით არ განირჩევა.

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ნიშანსვეტია კერძო საკუთრებაში მყოფი ნებისმიერი ქონების თავისუფალი გაცვლის შესაძლებლობა. ეს რეჟიმი გუ-

3 Рясенцев В. А., Гражданское Право, М., 1969, с.с. 119—121; Красавчиков О., Советское Гражд. Право, М., 1985, с. 300.

4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 170.

5 Красавчиков О., Советское Гражд. Право, с. 299.

6 Бартошек, Римское Право — Понятие, Термины, Определения», М., 1989, с. 113.

7 ბ. ზოიძე, „მფლობელობის ცნება საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში“, კრებული „სამართლის რეფორმა საქ-ში“, გამომცემლები ს. ჯორბენაძე, რ. კნიპერი, ლ. ჭანტურია, თბ., 1994, გვ. 275.

ლისხმობს კერძო პირების ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანას.

კერძო საკუთრების არსებობა და ქონების თავისუფალი გაცვლის შესაძლებლობა უკვე ნიშნავს იმას, რომ ნივთი ყოველთვის რეალური მესაკუთრის ხელში ვერ იქნება. იგი ხან ქირავდება, ხან სხვადასხვა გზით არამესაკუთრეს უვარდება ხელში. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც პირი დარწმუნებულია თავის საკუთრებაში, რეალურად კი მას ეს უფლება არ გააჩნია. თვითონ შევიდა შეცდომაში და შეიძლება სხვაც შეაცდინოს. ამიტომაც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მთელი ძალისხმევაა მიმართული იმისაკენ, რომ მფლობელი არამართო ივარაუდებოდეს, არამედ რაც შეიძლება მალე იქცეს კიდევ მესაკუთრედ.⁸ არსებობს ბევრი სხვა სიტუაცია, როდესაც მფლობელობა არ ხორციელდება მესაკუთრის მიერ.

მფლობელობის როლის განსაზღვრისას უნდა გამოიყოს ორი მომენტი: ახალი სამოქალაქო კოდექსით მფლობელობა დაცულია მესაკუთრის წინააღმდეგაც. ასე რომ არ იყოს, მესაკუთრე საკუთარი ძალის გამოყენებით (სასამართლოს გვერდის ავლით) დაიბრუნებდა ქონებას, რაც ყოველად დაუშვებელია. იაგალითად, მესაკუთრე, რომელმაც ძალით წაართვა ნივთი მფლობელს, ვალდებულია ჯერ ნივთი დააბრუნოს მოწინააღმდეგის მფლობელობაში და მხოლოდ ამის შემდეგ ექნება მას შესაძლებლობა დაიბრუნოს საკუთრება კანონიერი გზით.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მფლობელობის პირველი ფუნქცია მდგომარეობს საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაში. არანაკლებ ინიშვნელოვანია მისი მეორე ფუნქციაც — „მფლობელი ივარაუდება მესაკუთრედ“. მფლობელობა არის საკუთრების უფლების დამტკიცების იოლი ფორმა.⁹

საკუთრების უფლების სხვაგვარად (მფლობელობისაგან განსხვავებული, ანუ საბუთით) დამტკიცება გაცილებით რთულია. მესაკუთრემ სასამართლოში უნდა წარადგინოს საბუთი, რომელიც მოწმობს იმ იურიდიული აქტის ან ფაქტის შესახებ, რომლის ძალითაც მან საკუთრებაში მიიღო ნივთი. თითქოს ამგვარი საბუთი პრობლემას წყვეტს. მაგრამ ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარე მოსარჩელისაგან მოითხოვს იმის მტკიცებას, რომ ის, ვისგანაც მან ნივთი შეიძინა, იყო ნამდვილი მესაკუთრე. თუ მოსარჩელემ შეძლო ამგვარი საბუთის წარდგენა სასამართლოში, მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება მოსთხოვოს მას უკვე იმის წინა მესაკუთრის უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება და ასე დაუსრულებლად. აქედან გამომდინარე, აიძულო მესაკუთრე მხოლოდ საბუთით დაამტკიცოს თავის უფლება, ნიშნავს ჩააყენო იგი გამოუვალ მდგომარეობაში.

მფლობელობა (ფაქტი) საკუთრებისაგან (უფლება) განსხვავებით გაცილებით ადვილი დასამტკიცებელია. საკუთრების უფლება ყველაზე იოლად მტკიცდება მფლობელობით. არასრულყოფილი მფლობელობისას კი მტკიცებულების შევსება ხდება საკუთრების უფლების შესახებ საბუთით (იგულისხმება შემთხვევა, როდესაც მფლობელობა ხარვეზიანია).

საქართველოში პრივატიზაციის პროცესი ახალი დაწყებულია და ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული სირთულეები ჯერ არ დამდგარა. მაგალითად, საკუთრების უფლების დამტკიცება ჯერჯერობით ადვილად ხორციელდება ქონების პრივატიზაციის შესახებ საბუთით. დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს,

8. Fr. Terre, Phillipe Simler, „les biens“, Paris, Ed Dallor, 1992, p. 48.

9. პარიეს ეკუთვნის ისტორიული გამოთქმა — „მფლობელობა არის საკუთრების უფლების სიმაგრე“.

რომ მფლობელობა ყოველთვის რომ შეესაბამებოდეს კიდევ საკუთრებას, მაინც ვერ ჩაითვლება საკუთრების უფლების შემადგენელ ნაწილად, რადგან ვრცელდება ნებისმიერ ქონებრივ უფლებაზე.

ზოგიერთი ქვეყნის დოქტრინულ განმარტებაში უკვე ლაპარაკია ინტელექტუალურ და სხვა არაქონებრივი უფლებების მფლობელობაზეც.

ყოველივე აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მფლობელობა მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს საკუთრების უფლების შემადგენლობისაგან.

ახლა კი შევეცდებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნების დოქტრინული წარმოდგენების გათვალისწინებით დავახასიათოთ საკუთრების უფლების შემადგენლობა.

პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე ცალ-ცალკე ელემენტებად განვიხილავთ საკუთრების უფლებისათვის დამახასიათებელ ორ პრეროგატივას — სარგებლობას და შემოსავლის მიღებას, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ერთი ტერმინით — „სარგებლობა“ არის აღნიშნული.

ამრიგად, საკუთრების უფლება შედგება სამი ელემენტისაგან — სარგებლობა, შემოსავლების მიღება და განკარგვა.

ნივთით სარგებლობის უფლება. სარგებლობა მოცემულ შემთხვევაში განიხილება არა როგორც განცალკევებული უფლება, ან ცნება, არამედ როგორც საკუთრების უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ნივთით სარგებლობა შეიძლება გამოიხატოს პოზიტიური და ნეგატიური მოქმედებებით.

პოზიტიური მოქმედებებია უშუალოდ ნივთით სარგებლობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 170. I), მისი ეკონომიკური გამოყენება. ჭაგალითად, სახლში ცხოვრება, მანქანით სარგებლობა და სხვ. ეს ელემენტები უფლებამოსილ პირს შესაძლებლობას აძლევს ნივთიდან მიიღოს მისთვის სასურველი სარგებელი. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური მოქმედებებით გამოხატული სარგებლობა შეზღუდულია — მესაკუთრეს არ შეუძლია უფლების ბოროტად გამოყენება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 170. 3).

ნეგატიური მოქმედებები ვლინდება ნივთით არსარგებლობისას, ანუ სარგებლობა მოიცავს ნივთით არსარგებლობასაც (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 170. 2). მაგალითად, არსარგებლობა ბინით, არსარგებლობა მანქანით და სხვ. მაგრამ აქაც აღსანიშნავია, რომ ამ სახით ნივთით სარგებლობა შეიძლება შეიზღუდოს ხანდაზმულობით.¹⁰

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოხმარებადი ნივთებით სარგებლობა განკარგვის ტოლფასია.¹¹

შემოსავლების მიღების უფლება. შემოსავლების (ნაყოფის) მიღება ნივთიდან სარგებლობის უფლების მსგავსად შეიძლება წარმოდგენილ იყოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მოქმედებებით.¹² შემოსავლების მიღება ხდება ორი საშუალებით: მატერიალური და იურიდიული.

მატერიალური გაგებით შემოსავლები მიიღება, როცა მესაკუთრე უშუალოდ იღებს შემოსავალს ნივთიდან და შემდეგ თავისი ნებით განკარგავს მას.

10. ნივთით არსარგებლობა შეიძლება შეიზღუდოს სხვა პირის მიერ დაწყებული მფლობელობისას მიმდინარე ხანდაზმულობისას.

11. პარიეს დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

12. ნეგატიური მოქმედებებით გამოხატული შემოსავლის მიღების უფლება გვხვდება შედარებით იშვიათად. მაგალითად, ნივთის არაკეთილსინდისიერი მფლობელი ამ ნივთის რეალური მესაკუთრის წინაშე ვალდებულია იმ შემოსავლებზეც კი, რომლებიც მას არ მიუღია (ანუ შესაძლო შემოსავლებზე).

მაგრამ მესაკუთრემ ნივთიდან შემოსავლის მიღებისას შეიძლება ისარგებლოს ურიდიული ხერხითაც. მაგალითად, როდესაც მან გააქირავა შემოსავლების დომტანი ნივთი.

შემოსავლების მიღებისას აუცილებელია განიმარტოს განსხვავება ნაყოფსა და „პროდუქტს“ შორის (პროდუქტი არის ნივთის არსებით შემადგენელი ნაწილი).

ნაყოფი არის ყველაფერი ის, რაც ნივთიდან იწარმოება პერიოდულად და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, სერიოზული დაზიანების გარეშე ნაყოფი არსებობს ბუნებრივი, ინდუსტრიული და ცივილური.

ბუნებრივია ნაყოფი, რომელიც იწარმოება ნივთიდან პერიოდულად, ადამიანის ჩარევის გარეშე. ასეთია მცენარეთა ნაყოფი, ცხოველების ბუნებრივი ნამატი და სხვ.

ინდუსტრიულია ნაყოფი, რომელიც მიიღება უშუალოდ მესაკუთრის, ან იმ პირების შრომის შედეგად, რომელთაც მესაკუთრე თავის სასარგებლოდ ამუშავებს. მაგალითად, მევენახეობის, ხე-ტყის გადამუშავების, მიწის დამუშავების და სხვ.

ცივილურ ნაყოფს მესაკუთრე იღებს პერიოდულად იმ პირის საშუალებით, რომელსაც მან ნივთი მიაქირავა.

რაც შეეხება პროდუქტს, ეს არის სარგებელი, რომელიც მიიღება ნივთიდან ყოველგვარი პერიოდულობის გარეშე და ნივთის სერიოზული დაზიანებით. მაგალითად, ტყის არაგვემავომიერი გაჩეხვა, გამოუყენებელი წიაღისეულით უსისტემო სარგებლობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნივთიდან შემოსავლების მიღებისას ხდება მხოლოდ ნაყოფის და არა პროდუქტის მიღება.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის ნების მომენტი ამ საკითხში. მაგალითად, როდესაც პირი გეგმაზომიერად იღებს შემოსავალს ნივთიდან (ტყის გეგმაზომიერი გაჩეხვა), მაშინ ის ახორციელებს საკუთრების უფლების მეორე კლემენტს, ხოლო თუ ის არღვევს ამ გეგმაზომიერებას, მაშინ ადგილი აქვს პირის მიერ ნივთის განკარგვას.

ნივთის განკარგვის უფლება. ნივთის განკარგვის უფლება არის საკუთრების უფლების ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი. იგი აღიარებულია კონსტიტუციითაც¹³ — კანონი ვერ უარყოფს მესაკუთრის უფლებას თავისუფლად ღანკარგოს იგი. მაგრამ გარკვეული შეზღუდვები ამ საკითხშიც არის დაშვებული იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეხება საკუთრების უფლების პრინციპულ დებულებებს.

ზოგადად ნივთზე საკუთრების უფლების შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს ნივთის ფიზიკური განკარგვის, ან იურიდიული გასხვისებით.

განვიხილოთ ორივე შემთხვევა.

მესაკუთრეს შეუძლია ნებისმიერი სახით განკარგოს თავის საკუთრებაში მყოფი ნივთი. მას შეუძლია მიიღოს შემოსავალი თავისი ნივთიდან მისი სერიოზული დაზიანებითაც. ასევე მას შეუძლია გაანადგუროს იგი. მაგალითად, მოკლას ცხოველი, უსისტემოდ გამოიყენოს მის სარგებლობაში არსებული წიაღისეული (ეს ყველაფერი კანონით დაშვებულ ფარგლებში).

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ინტერესები სამართლიანად ზღუდავენ ნივთის განკარგვას. მაგალითად, თითქმის ყველა ქვეყანაში „კრძალუბა ლანდშაფტის გაჩანაგება და უსაფუძვლოდ შეცვლა. ცალკეულ შემ-

13. „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია. ზოგადი დებულებები“, მე-20 მუხლი.

თხვევაში ნივთის განკარგვისას საქმე შეიძლება ზიანის ანაზღაურებამდე მივიდეს.

იურიდიული ხერხით ნივთის გასხვისებისას ხდება ამ ნივთზე უფლების გადაცემა. აქ უნდა გამოიყოს სამი მომენტი:

1. განკარგვა სიკვდილის შემთხვევაში — ხშირად მესაკუთრე წინასწარ განსაზღვრავს თავისი ქონების ბედს მისი გარდაცვალების შემდეგ. ამრიგად, ანდერძით პირი განკარგავს ქონებას, ან ქონების ნაწილს, რაც მოხდება მისი გარდაცვალების შემდეგ.

2. საკუთრების მიტოვება — მესაკუთრეს შეუძლია თავის სიცოცხლეშივე ნიატოვოს საკუთრება.

ქონების მიტოვებისას ნივთი იქცევა უპატრონოდ. ყოფილ მესაკუთრეს შეუძლია ნივთი დაიბრუნოს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ დაბრუნებამდე ნივთს სხვა პირი არ დაუფლებია.


ურბანიზაციისა და ინდუსტრიის სწრაფი განვითარების შედეგად გახშირდა ნივთის მიტოვების ისეთი ფაქტები, როცა მიმტოვებელი ვალდებულია გადაიხადოს გარკვეული თანხა. სწორედ ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში მესაკუთრისათვის უფრო სარგებლიანია ნივთის გაჩუქება, ვიდრე მისი მიტოვება.

3. საკუთრების გადაცემა სამართლის სუბიექტებს შორის — მესაკუთრეს შეუძლია თავისი ქონება გადასცეს სხვა პირს მთლიანად, ან ნაწილობრივ. თუ მესაკუთრე ასხვისებს მხოლოდ ნივთით სარგებლობის და შემოსავლების მიღების შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში ის აწესებს თავის ქონებაზე სხვა სანივთო უფლებას, ხოლო როდესაც მესაკუთრე ასხვისებს, როგორც ნივთით სარგებლობის, ასევე მისი განკარგვის შესაძლებლობას, მაშინ ის მთლიანად გასცემს საკუთრების უფლებას.

ზემოთ ჩამოთვლილი იურიდიული აქტები სრულდება არა უშუალოდ ნივთზე, არამედ მესაკუთრის უფლებაზე. თავისთავად საკუთრების უფლების განზოცოცილება გულისხმობს მხოლოდ მატერიალურ მოქმედებებს. იურიდიული აქტებით კი ხდება საკუთრების უფლების მთლიანი, ან ნაწილობრივი გასხვისება.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ საკუთრების უფლების ძირითადი ელემენტი არის განკარგვა. სწორედ განკარგვის ფაქტორი განსაზღვრავს საკუთრების უფლებას სხვა სანივთო უფლებებისაგან — უზუფრუქტით აღჭურვილი პირი ნივთს ვერც გაანადგურებს, ვერც გაასხვისებს უფლებას, რადგან იგი ვალდებულია ნივთის ფიზიკურ შენახვაზე. მას არ შეუძლია ნივთის დანიშნულების ძირეული შეცვლა.

ამგვარად, შეძლებისდაგვარად განვსაზღვრეთ მფლობელობის ადგილი სანივთო სამართალში. მოკლედ მიმოვიხილეთ საკუთრების უფლების შემადგენლობა და მისი ელემენტები, ის თუ როგორი მოქმედებებით შეიძლება იყვნენ ასინი წარმოდგენილი. ასევე დავინახეთ, თუ რამდენად შეზღუდულია, ერთი შეხედვით, აბსოლუტური სანივთო უფლება. დაბოლოს, შევეცადეთ წარმოგვეგინა განკარგვის წამყვანი როლი საკუთრების უფლების შემადგენლობაში.



პასტანა სუნიოვილი

გირაო როგორც აღკვეთის ღონისძიება

გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიებას ჩვენი სახელმწიფოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა 1996 წლამდე. აღნიშნული ღონისძიება სამოქმედოდ შემოვიდა 1997 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსსკ 87¹ მუხლით განისაზღვრა გირაოს არსი:

1. გირაო არის ის ფულადი თანხა, ან სხვა ფასეულობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე, შეაქვს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით სხვა პირს წერილობითი ვალდებულებით მოკვლევის ორგანოში, გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის სათანადო ქცევისა და დროული გამოცხადების უზრუნველყოფის მიზნით;

2. გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი, რომლის ერთი პირი გადაეცემა გირაოს შემტანს;

3. გირაოს თანხას და მისი შეტანის ვადას განსაზღვრავს ის ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც იყენებს აღკვეთის ღონისძიების ამ სახეს. გირაოს თანხის (ფასეულობის) ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს მინიმალური ხელფასის ორას ოდენობაზე ნაკლები;

4. გირაო, როგორც წესი, არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომელიც ეჭვმიტანილია ან ბრალი ედება მძიმე დანაშაულის ჩადენაში;

5. გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ იმ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის არსის ან წაყენებული ბრალდების შესახებ, რომელზეც შერჩეულია აღკვეთის ღონისძიების ეს სახე;

6. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ მომკვლევს, გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება, რომელიც სანქციონირებული უნდა იყოს პროკურორის მიერ;

7. სასამართლოს, გირაოს როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას, ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოაქვს განჩინება;

8. თუ ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა ან განსასჯელმა, რომლის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, არასაპატიო მიზეზით თავი აარიდა მომკვლევთან, გამომძიებელთან, პროკურორთან სასამართლოში გამოცხადებას, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, ხოლო გირაოს სახით შეტანილი თანხა ან სხვა ფასეულობა სასამართლოს მიერ ბრალდებულის სახით სამართალში მიცემის სტადიიდან ან საქმეზე მიღებული სხვა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში;

9. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს ან მათი სახელით გირაოს შემტანს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ათი დღის ვადაში



სრულად დაუბრუნდებათ გირაოს სახით შეტანილი თანხა ან სხვა ფასეულობა, თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი ზუსტად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და მათ მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა;

10. თუ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის სახელით გირაოს შემტანი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობით მიმართავს მომკვლევს, გამოძიებელს, პროკურორს და სასამართლოს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის სათანადო ქცევას და მის დროულ გამოცხადებას მომკვლევთან, გამოძიებელთან, პროკურორთან, ან სასამართლოში, გირაოს შემტანს ათი დღის ვადაში დაუბრუნდება შეტანილი თანხა (ფასეულობა), ხოლო ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მიმართ შეირჩევა აღკვეთის უფრო მკაცრი ღონისძიება.

საპროცესო კოდექსის ახალი მუხლის განმარტებისათვის სასურველი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის მაგალითები, რაც ჯერჯერობით ძალზე მწირია, ამიტომაც შევეცდებით გირაოს მნიშვნელობის და გამოყენების თეორიულ ახსნას.

1. გირაო შეიძლება იყოს როგორც ფულადი თანხა, ისევე სხვა ფასეულობაც, ჩემი აზრით, გვარეულობითი ან ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, რომელსაც მატერიალური ღირებულება არ ეკარგება დროთა განმავლობაში. ზოგიერთ ქვეყანაში გირაოდ შეიძლება უძრავი ნივთების (ბინა, მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი და სხვ.) შეტანაც, რაც მიმაჩნია სრულიად გამართლებულად. გირაო შეაქვთ იმ გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს დეპოზიტზე, რომელსაც ექვემდებარება განსახილველად მოცემული სისხლის სამართლის საქმე, ე. ი. აუცილებელია განსჯადობის ზუსტი განსაზღვრა.¹

გირაო აუცილებლად წერილობითი ვალდებულება უნდა იყოს, რათა ზუსტად ჩამოყალიბდეს და დაფიქსირდეს ის პირობები, რაც ეჭვმიტანილის, ბრალდებულის თუ განსასჯელის მიმართ იქნება წამოყენებული, განისაზღვრება მოვალეობათა წრე და ის უფლებები, რომლებიც შეუნარჩუნდება სუბიექტს. „დროულად გამოცხადების“ გარდა, კანონი აღნიშნავს „სათანადო ქცევას“, რაც არაა დაკონკრეტებული და მხოლოდ ამ წერილობით ვალდებულებაში აისახება კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა მინიჭების სახით, ყოველივე ეს გაფორმდება სათანადო ოქმში.

გირაოს გამოყენებისას პირზე სხვადასხვა ფაქტორები მოქმედებენ, როგორც ანგარებითი (ფულის ან მატერიალური ფასეულობის დაკარგვა), ასევე მორალური (ოჯახის წევრებისა და იმ პირთა მიმართ, ვინც შეიტანეს გირაო). გირაოს შეტანის უფლება აქვს სრული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქეს, რომელიც დაინტერესებულია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ბედით და გააჩნია საჭირო თანხა. კანონში აღნიშნულია მხოლოდ „პირი“, აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ გირაოს შემტანი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე აურიდიული პირი;

2. საქ. სსსკ-ს 83-ე მუხლი ადგენს, რომ ნებისმიერი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას დადგენილების ან განჩინების პირი გადაეცემა იმ პიროვნებას, რომლის მიმართაც იყო გამოყენებული აღნიშნული ღონისძიება. როგორც წესი, დადგენილების გარდა გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი, სადაც აღინიშნება: განსაზღვრული თანხის, საგნების ოდენობა და ღირებულება, ფასეულობის გარდა უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ნა-

1. „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი“, თსუ, 1988, გვ. 185.

კისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პირს შეერჩევა უფრო მაკაცრო აღკვეთის ღონისძიება, როგორც წესი, წინასწარი პატიმრობა და დაგირავებული ქონება, ფასეულობა, ნივთები გადაიცემა სახელმწიფო საკუთრებაში.²

ოქმის პირი გადაეცემა გირაოს შემტანს, რათა მან საბოლოოდ გადაწყვიტოს თავისი მოსაზრების სისწორე და არ მოუწიოს შეცვლა (როგორც 87¹ მუხლის მე-10 პუნქტში გაითვალისწინა საპროცესო კოდექსმა). თუ გირაოს შემტანი თვითონ ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელია, ზუსტად უნდა ახსოვდეს ის შედეგები, რაც პირობის შეუსრულებლობას მოჰყვება.

ოქმის შედგენისას, გირაოდ შეტანილი ნივთის შესაფასებლად, შეიძლება სპეციალისტის მოწვევა;

3. გირაოს გამოყენების დროს თანხის ან ფასეულობის ოდენობის განსაზღვრა ხდება გამოძიების (მოკვლევის) ორგანოს ან სასამართლოს მიერ, მაგრამ საჭიროა გირაოს შემტანი პირის (ორგანიზაციის) თანხმობა.³ თანხმობის გარეშე შეუძლებელია აღკვეთის ამ ღონისძიების გამოყენება, რადგან თანხა რეალურად უნდა იყოს წარმოდგენილი, იურიდიულად გაფორმდეს შესაბამის დოკუმენტში. ჩემი აზრით, სწორედ ის გარემოება, რომ ნებაყოფლობითობა და ინიციატივინობაა გადაწყვეტი ამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას, არის პროგრესული ნაბიჯი საპროცესო კანონმდებლობაში.

გირაოს შეტანის ვადა და, საერთოდ, აღკვეთის ღონისძიების მოქმედების ვადა ინდივიდუალურად უნდა იყოს დადგენილი. მომკვლევმა გამოძიებელმა, პროკურორმა თუ სასამართლომ მოცემულ კერძო შემთხვევისათვის უნდა განსაზღვროს ვადები, ხოლო ნებისმიერი აღკვეთის ღონისძიების ვადა არ უნდა აღემატებოდეს წინასწარი პატიმრობის ვადას – 9 თვეს.

რაც შეეხება გირაოს ოდენობის განსაზღვრას, კანონმდებელმა გაითვალისწინა მინიმუმი – მინიმალური ხელფასის ორასი ოდენობა და არ დაადგინა მაქსიმუმი. ჩაღენილი დანაშაულის სიმძიმე გულისხმობს, პირველ რიგში, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, შემდეგ კი გასათვალისწინებელია პირის მატერიალური მდგომარეობა. მიმაჩნია, რომ თუ ეჭვმიტანილისათვის, ბრალდებულისთვის, განსასჯელისთვის დიდი თანხის გადახდა სირთულე არ არის, ამ შემთხვევაში არაეფექტიანი იქნება გირაო, აღნიშნული მიზეზის გამო, არ შეიძლება განისაზღვროს გირაოს მაქსიმუმი. გირაოს სხვაგვარად საწინდარიც ეწოდება, ანუ ეს თანხა უნდა უზრუნველყოფდეს პირის ქცევას, გარკვეულწილად ზღუდავდეს, ბოჭავდეს მას და ამაღლებდეს პასუხისმგებლობის გრძნობას;

4. კანონმა არ განსაზღვრა იმ მძიმე დანაშაულთა ნუსხა, რომელთა ბრალდების დროსაც დაუშვებელია გირაოს გამოყენება. სსკ 88-ე მუხლში მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, რომელთა დისპოზიციებით გათვალისწინებულ არამართალზომიერი ქმედების – დანაშაულის ჩამდენ პირებს უნდა შეეფარდოთ უმკაცრესი აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება ანუ წინასწარი პატიმრობა. რადგან საპროცესო კანონში პირდაპირ არაა განსაზღვრული გირაოს მოქმედებების სფერო, ჩემი აზრით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ღონისძიების შეფარდება მიზანშეწონილი იქნება ყველა დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთა შესახებაც უკვე დაადგინა კანონმდებელმა დაპატიმრება;

2. აპოლონ ფალიაშვილი, გამოძიების რეფორმისა და სრულყოფის საკითხები, ჟურ. „სამართალი“, 1992, № 6-7, გვ. 20.

3. „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი“, გვ. 185.



5. გირაოს შემტანმა პირმა ზუსტად უნდა იცოდეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის არსი და წაყენებული ბრალდების სიმძიმე, რადგან შესაძლებელია მისი დადებითი დამოკიდებულების (რაც გირაოს შეტანის საფუძველი გახდა) მიუხედავად ისე კარგად არ იცნობდა პიროვნებას, როგორც ეს იყო სასურველი და მიზანშეწონილი აღნიშნული ნაბიჯის გადასადგმელად. გაფრთხილების შემდეგ თუ გირაოს შემტანმა არ შეიცვალა გადაწყვეტილება და ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი გაიქცა, მიიძალა, მას არ შეუძლია უკან მოითხოვოს თავისი ქონება, თანხა, რადგან იგი უკვე რეალიზებული იქნება. გირაოს შემტანი პირის ქონებრივი პასუხისმგებლობა ბრალეულია, რადგან იგი იჩენს ზედმეტ თვითიმედოვნებას გირაოს შეტანისას, ენდობა ბრალდებულს (ეჭვმიტანილს, განსასჯელს) და მისი უსაფუძვლო ნდობის გამო კარგავს ფულად ღირებულებას ან ქონებას. ჩემი აზრით, გირაოს შემფარდებელმა პირმა (მომკვლევეი, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო) ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს თუ რა ფარგლებში გააცნოს გირაოს შემტანს საქმის არსი;

6-7. მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს (მოსამართლის) მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანა ხდება საერთო საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სსსკ 83-ე მუხლის I-ლი პუნქტით. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება პროკურორის ზედამხედველობით ზორციელდება და როდესაც დადგენილება გამოაქვს მომკვლევს ან გამომძიებელს, პროკურორი აკონტროლებს აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერებას მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების სტადიაზე. გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დროს კანონმდებელმა პირდაპირ მიუთითა პროკურორის სანქციის აუცილებლობაზე წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას (საქ. სსსკ 88-ე მუხლი). პროკურორის სანქციის მიზანშეწონილობა მიუთითებს, რომ გირაოს განსაზღვრა რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. საჭიროა დიდი ყურადღება და სერიოზული დამოკიდებულება; რათა ზუსტად ის აღკვეთის ღონისძიება შეეფარდოს პირს, რომელიც საჭიროა გამოძიებისათვის და პიროვნების უფლებათა დაცვისათვის;

8. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონი მიუთითებს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ რომელ ღონისძიებას ითვალისწინებს, რაც მიმართა კანონმდებლობის ხარვეზად. რადგან ჩვენს საპროცესო კანონში გირაოზე უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება მხოლოდ დაპატიმრებაა (წინასწარი პატიმრობა), თავისთავად ცხადია, მისი გამოყენების აუცილებლობისას არ გვრჩება ალტერნატივა. ამასთან სხვა სახელმწიფოებში, სადაც დიდი ხანია იყენებენ გირაოს აღკვეთის ღონისძიებად, როგორც წესი, აღნიშნული დამკვიდრდა.

მ. სტროგოვიჩი აღნიშნავს რუსული კანონმდებლობის ხარვეზს, რომ საწინდარის ანუ გირაოს სახელმწიფო ქონებაში მოქცევის წესი ზუსტად არ არის განსაზღვრული საპროცესო კოდექსში.⁴ საქართველოს სსსკ აგრეთვე არ აწესებს გირაოს სახელმწიფოს ბიუჯეტში ჩარიცხვის წესს. აღნიშნულია, რომ გირაოს სახით შეტანილი თანხა პირის ბრალდებულის სახით სამართალში მიცე-

⁴ М. С. Строгович, Курс Советского уголовного процесса, М., 1958, с. 154.

მის სტადიიდან ან საქმეზე მიღებული სხვა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე გადაირიცხება ბიუჯეტში. კანონით არ არის დაკონკრეტებული, თუ რა სახის გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღოს სასამართლომ გირაოს ბიუჯეტში მისაქცევად. ჩემი აზრით, აღნიშნული აუცილებლად უნდა იყოს დადგენილი საპროცესო კანონმდებლობით;

9. თუ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის მიერ არასაპატიო მიზეზით მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო მხოლოდ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, თანხის ან ფასეულობის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესახებ, კანონით არაა დადგენილი თუ რომელ ორგანოს ან პირს შეუძლია დაუბრუნოს გირაოს სახით შეტანილი თანხა ან ქონება პირს, როდესაც ზემოაღნიშნული სუბიექტი (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი) პირნათლად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა. აქედან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოების იმ წარმომადგენელს, რომელმაც შეურჩია სუბიექტს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო, უნდა მიეცეს უფლება, რომ სრულად დაუბრუნოს თანხა ან ფასეულობა შემტან პირს. მიმაჩნია, რომ მომკვლევმა, გამოძიებელმა ამ შემთხვევაშიც უნდა მიიღოს პროკურორისაგან სანქცია, თუმცა ეს საკითხი არაა დაზუსტებული კანონში;

10. მიზანშეწონილი და სრულიად გამართლებულია, როდესაც გირაოს შემტანს უფლება აქვს მიმართოს მომკვლევს, გამოძიებელს, პროკურორს და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის სათანადო ქცევას და მის დროულ გამოცხადებას, რის შემდეგაც ათი დღის ვადაში დაუბრუნდება შეტანილი თანხა ან ფასეულობა (მე-5 პუნქტში ზემოთ განხილულ მოსაზრებებთან დაკავშირებით). ამასთან მიმაჩნია, რომ შეიძლება მიუღებელი იყოს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შერჩევა, რადგან გირაოს შემტანი პირის მოსაზრება არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნება ნამდვილად არ დაემორჩილება სამართალდამცავი ორგანოების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ჩემი აზრით, კანონმდებელმა ზუსტად ვერ განსაზღვრა, რომ ამ დროს პირდაპირ ილაზხება პიროვნების კონსტიტუციური უფლებები. გირაოს შემტანი პირის განცხადება გასათვალისწინებელია, მაგრამ არა სავალდებულო, საჭიროა მომკვლევმა, გამოძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და ობიექტურად შეაფასონ გარემოებები, რომლებიც საფუძველს მისცემენ აღკვეთის ღონისძიებათა შეცვლისას.

გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების დაკანონებამ უფრო გააფართოვა ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და განსასჯელის უფლებები. გასათვალისწინებელია სხვა დამატებითი აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ მეცნიერ-პროცესუალისტთა წინადადებები, რომლებიც უფრო სრულყოფენ არსებულ სისტემებს.

შინაპატიმრობა და პოლიციის ზედამხედველობა ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) ქცევაზე გამოძიების პერიოდში თავისი არსით უახლოვდება გამოუსვლელობის ხელწერილს (სსსკ 84-ე მუხლი), მაგრამ არსებითი განსხვავებებიც გააჩნია.

როდესაც ბრალდებული (ეჭვმიტანილი) ხანდაზმული ან ავადმყოფი, მცირეწლოვანი და ჩვილი ბავშვის ღვდაა, ორსულია ან არსებობს სხვა განსაკუთრებული პირობები, მიზანშეწონილია შინაპატიმრობის გამოყენება. გამოძიებ-

ლის (სასამართლოს) მოტივირებულ დადგენილებაში (განჩინებაში) მითითებულ უნდა იყოს შეზღუდვები: გარკვეულ პირებთან ურთიერთობის და ტელეფონით საუბრების აკრძალვა, ბინიდან და ქალაქიდან გასვლის აკრძალვა, ბინაზე ზედამხედველობა და ა. შ. შინაპატიმრობისას, როგორც წინასწარი პატიმრობისას პროკურორის სანქცია აუცილებლად უნდა არსებობდეს და არ აღემატებოდეს 9 თვეს, რადგან იზღუდება მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები.⁵ პოლიციის ზედამხედველობა ბრალდებულის (ექვემიტანილის) ქცევაზეც უნდა მოხდეს პროკურორის სანქციით და არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. დადგენილებაში მითითებულ უნდა იყოს, თუ რა სახის შეზღუდვები დაუწესდება პირს: საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და სხვაგან გამგზავრების აკრძალვა უნებართვოდ, პოლიციის განყოფილებაში გამოცხადების განრიგი, პოლიციის თანამშრომლის ბინაში მისვლა და ა. შ.

მომავალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უნდა იყოს გარანტია იმ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის, რაც ყველა ნორმალური სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია.

5. აპოლონ ფალიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

აია ლილუაშვილი

ოფერტა საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ამერიკის საგაჭრო კოდექსით

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელშეკრულების დადება საქონლის ნასყიდობაზე ხდება იმავე წესების დაცვით, როგორც სხვა სახის ხელშეკრულების დადებისას, მაგალითად: სესხის ხელშეკრულების დადების დროს, მაგრამ ნასყიდობის თავისებურებიდან გამომდინარე, სავაჭრო კოდექსის ავტორებმა ჩამოაყალიბეს ისეთი წესები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში განსხვავდება სხვა სახის ხელშეკრულების დადების წესებისგან და გამოიყენება მხოლოდ საქონლის ნასყიდობის მიმართ.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ორმხრივი ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია ერთი მხარის ოფერტა და მეორე მხარის მიერ ამ ოფერტის აქცეპტი, ე. ი. საქონლის ნასყიდობის დადება რომ მოხდეს, საჭიროა მხარეთა თანხმობის ორმხრივი გამოხატვა. მხარეთა განზრახვა საქონლის ნასყიდობაზე შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით, მოქმედებების კომბინაციით, ხოლო ზოგ შემთხვევაში — დუმილითაც.

თუ როგორ შეიძლება დაიდოს საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება, ამაზე მიუთითებს სავაჭრო კოდექსის 2-204-ე მუხლი, რომელიც ეხება ხელშეკრულების დადების ზოგად საფუძველს. ამ მუხლის პირველი პუნქტით: „საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ყოველნაირი საშუალებით“ რომელიც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ჩანდეს შეთანხმების მიღწევა; კერძოდ, ეს შეიძლება იყოს მხარეთა ქცევა, რომელიც ადასტურებს ასეთი ხელშეკრულების არსებობას“.

ამრიგად, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტიც მიუთითებს იმაზე, რომ ოფერტის და აქცეპტის საფუძველია მხარეების თანხმობა. სასურველი თანხმობის მიღწევისათვის არ არის აუცილებელი, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პუნქტზე იყოს შეთანხმება. მთავარია, რომ მხარეებს ჰქონდეთ ზუსტად გამოხატული მიზანი, დადონ ხელშეკრულება და არსებობდეს სამართლებრივი დაცვის საშუალებისთვის საფუძველი. თუმცა აქვე დავუმატებთ, რომ რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტი საკითხია გადაუწყვეტელი ანუ ღიად დატოვებული, მით უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ ოფერტაზე და აქცეპტზე თანხმობა იქნება მიღწეული.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ორი კითხვა დაგვებადოს: პირველი, რა იგულისხმება სამართლებრივი დაცვის საშუალებაში? და მეორე, როგორ რეგულირდება მხარეებს შორის ხელშეკრულების დადებისას ღიად დატოვებული საკითხი?

პირველ კითხვასთან დაკავშირებით, ჩვენ მოვიყვანთ სავაჭრო კოდექსის 1-201-ე მუხლის 34-ე პუნქტს, რომლის თანახმად „სამართლებრივი დაცვის საშუალება ნიშნავს ყოველნაირ სამართლებრივ საშუალებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაზარალებული მხარის მიერ თავისი უფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვით ან მიუმართავად“. როგორც ვხედავთ, სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენების მიზანია ის, რომ დაზარალებუ-



ლი მხარე ჩადგეს იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იგი ჩადგებოდა, მეორე მხარეს რომ შეესრულებინა თავისი ვალდებულება.

რაც შეეხება მეორე კითხვას, სავაჭრო კოდექსიდან მოვიყვანთ რამდენიმე მუხლს, რომლის მეშვეობითაც ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ წესრიგდება მხარეთა შორის ღიად დატოვებული საკითხები ფასთან, მიწოდების ადგილთან და ვადებთან დაკავშირებით: 2-305-ე მუხლი არეგულირებს ხელშეკრულებაში ფასის ღიად დატოვების საკითხს. კერძოდ, ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „თუ მხარეებს სურთ მათ შეუძლიათ დადონ გაყიდვის ხელშეკრულება, მაშინაც კი, როდესაც მასში არ არის განსაზღვრული ფასი. ასეთ შემთხვევაში ფასად ჩაითვლება საქონლის მიწოდების მომენტში არსებული გონივრული ფასი, თუ: ა) ფასზე არაფერია ნათქვამი; ან ბ) როდესაც ფასი უნდა განისაზღვროს რომელიმე დათქმული ბაზრის ფასით ან სხვა სტანდარტებით, რომელთა დადგენაც ეკისრება მესამე პირს ან ორგანიზაციას, ხოლო ეს უკანასკნელი ამას არ აკეთებენ.“

2. თუ ფასი წარედგინება მყიდველს ან გამყიდველს, მაშინ ისინი ვალდებული არიან იმოქმედონ კეთილსინდისიერად.

3. თუ ფასის განსაზღვრა უნდა მოხდეს სხვაგვარად, ვიდრე მხარეთა შეთანხმებით, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია აირჩიოს, ან ხელშეკრულების შეწყვეტა ან თავად დანიშნოს გონივრული ფასი.

4. მაგრამ, როდესაც მხარეები მოილაპარაკებენ იმაზე, რომ ისინი დაუკავშირდებიან ერთმანეთს ხელშეკრულებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება განსაზღვრული ან შეთანხმებული ფასი, მაშინ ამ პირობის შეუსრულებლობა აღარ წარმოშობს ხელშეკრულებას. ასეთ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიღებული საქონელი, ხოლო თუ ეს შეუძლებელი იქნება, მაშინ ის იხდის იმ გონივრულ ფასს, რომელიც მიწოდების მომენტში არსებობდა, ხოლო გამყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს ყველაფერი, რაც მან მიიღო გადახდის ანგარიშში“.

2-308-ე მუხლი ეხება მიწოდების ადგილის განსაზღვრას, ე. ი. თუ რომელი ადგილიდან უნდა მიაწოდონ საქონელი მეორე მხარეს. კერძოდ, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი მაშინ: ა) საქონლის მიწოდების ადგილს წარმოადგენს გამყიდველის საწარმოს ადგილმდებარეობა ან, თუ მას ასეთი არ აქვს, მისი საცხოვრებელი ადგილი; ამასთან, ბ) ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთების გაყიდვის ხელშეკრულებისას, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში იმყოფებიან სხვა ადგილას და ამის შესახებ ცნობილია მხარეებისთვის, მაშინ ეს ადგილი იქნება მიწოდების ადგილი, და გ) საქონელგანმკარგველი დოკუმენტები შეიძლება გადაეცეთ ჩვეულებრივი საბანკო გზით.

და ბოლოს, 2-309-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს ვადების შესახებ სპეციალური მითითების არაარსებობას. კერძოდ, 1. თუ საქონლის გაგზავნის ან მიწოდების ვადა ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე სხვა მოქმედება დადგენილი არ არის ამ განყოფილებით ან მხარეთა შეთანხმებით, მაშინ შესრულების ვადად ჩაითვლება გონივრული ვადა. 2. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს თანმიმდევრულ შესრულებას, ხოლო ხელშეკრულების ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულება მოქმედებს გონივრული ვადის განმავლობაში, მაგრამ, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაშინ შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ ნებისმიერ დროს. 3. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის, გარდა მოლაპარაკებული შემთხვევებისა, აუცილებელია გონივრული შეტყობინების მიღება მეორე მხარის მიერ. შეთანხმება, რომელიც ათავისუფლებს შეტყობინებისაგან, ბათილია, თუ იგი ქმნის გაუმართლებელ შედეგებს.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული სამი მუხლის (მუხლები. 2-305-ე, 2-308-ე, 2-309-ე) საფუძველზე, ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა გავცნობოდით იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ მხარეებს შორის დაუდგენელ, დიად დატოვებულ საკითხებს. ასეთი ნორმების არსებობა დიდ დახმარებას უწყევს იმ კომერსანტებს, რომელთაც აქვთ დიდი სურვილი დაღონ ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ ზოგიერთ საკითხზე ვერ თანხმდებიან ან რჩებათ მხედველობიდან.

ოფერტის შემთავაზებელს, სანამ მისი წინადადება მიღებული არ არის, შეუძლია გააუქმოს ან შეცვალოს იგი. მაგრამ თუ წინადადება მიღებულია, ეს უკვე ნიშნავს, რომ შეთანხმება მიღწეულია და არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს იგი. ასეთივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც წინადადება ჯერ კიდევ მიღებული არ არის, მაგრამ, დაუუშვათ, არსებობს შეთანხმება, რომ ოფერტა ძალაში რჩება 7 დღის განმავლობაში, მაშინ ოფერენტს არ აქვს უფლება ამ ვადაში გააუქმოს ოფერტა. როგორც აშშ-ის სახელშეკრულებო სამართლის ისტორიიდან ჩანს, სასამართლოები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ოფერენტს ნებისმიერ დროს შეუძლია უკან წაიღოს თავისი ოფერტა, თუ არ ღებულობს შემხვედრ დაკმაყოფილებას. საეაჭრო კოდექსის 2-205-ე მუხლმა შეზღუდა ოფერენტის უფლება მისი ოფერტის უკან წაღების შესახებ. ამ მუხლის ძანახმად, კომერსანტის ოფერტა, საქონლის შესყიდვასთან და გაყიდვასთან დაკავშირებით, გაკეთებული წერილობითი ფორმით და იმის გარანტიის მიცემით, რომ ოფერტა დიად დარჩება, არ შეიძლება გამოხმობილ იქნეს შემხვედრი დაკმაყოფილების არ არსებობის მოტივით, იმ ვადაში, რომელიც ოფერტაშია მითითებული. მაგრამ თუ მითითებული არ არის, გონივრულ ვადაში, რომლიც არ შეიძლება იქნეს სამ თვეზე მეტი. მაგრამ, ყოველი პირობა ასეთ გარანტიაზე, რომელიც მომდინარეობს იმ პირისგან, რომელსაც ოფერტა გაუგზავნეს, სასწრაფოდ უნდა იქნეს ხელმოწერილი ოფერენტის მიერ“.

აღნიშნული მუხლის დებულებები გამოაყენება შეზღუდულ ფარგლებში, რომელიც შეიძლება ექვს კატეგორიად დავეყოთ: პირველი, მხოლოდ საქონლის შესყიდვასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებით; მეორე, ოფერტას აკეთებს მხოლოდ კომერსანტი. „კომერსანტი ეს არის პირი, რომელიც ასრულებს განსაზღვრული სახის სასაქონლო ოპერაციებს, ან თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ისე იქცევა, თითქოსდა იგი ფლობდეს განსაკუთრებულ ცოდნას ან გამოცდილებას სასაქონლო ოპერაციებთან ან იმ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც გარიგების საგანია, აგრეთვე ის, ვინც შეიძლება ფლობდეს ასეთ ცოდნას ან გამოცდილებას, იმის შედეგად, რომ იგი იყენებდეს აგენტის, ბროკერის ან პირადი შუამავლის მომსახურებას, და რომელიც ისე იქცევა, თითქოსდა იგი ფლობდეს ასეთ ცოდნას ან გამოცდილებას (მუხლი 2-104(1)). ამრიგად, აუცილებელია, რომ ორივე მხარე თუ არა, ოფერენტი მაინც იყოს კომერსანტი.

მესამე, ოფერტა უნდა იქნეს წერილობითი ფორმით შესრულებული, მნიშვნელობა არ აქვს რითია დაწერილი, მთავარია, რომ ასოები თვალით აღიქმებოდეს. მეოთხე, ოფერენტის მიერ გაკეთებული ოფერტა უნდა იქნეს ხელმოწერილი. ე. ი. დაწერილი, მაგრამ ხელმოწერელი ოფერტა ამ შემთხვევაში არ გამოდგება. რა შეიძლება ვიგულისხმობთ „ხელმოწერაში?“ „ხელმოწერა“ შეიცავს ყოველნაირ სიმბოლოს, რომელიც შესრულებულია ან გამოყენებულია მხარის ამ ნამდვილი განზრახვით, რომ დაადასტუროს დაწერილი“ (მუხლი 1-201 (39)). როგორც ხელმოწერის განმარტებიდან სჩანს აქ შეიძლება გამოყენებული იქნეს საბეჭდი მანქანაც, საბეჭდ ასოებთან მიმსგავსებული ხელით გამოყვანილი ასოებიც. ე. წ. გაკრული ხელიც და ა. შ.



მეხუთე, როგორც 2-205-ე მუხლიდან სჩანს, ოფერტა. თუ მასში ვადა არ არის მითითებული, სამი თვის მანძილზე არ შეიძლება იქნეს გამოხმობილი. ე. ი. არსებობს სამთვიანი შეზღუდვა.

მეექვსე, დაწერილი ოფერტიდან უნდა ჩანდეს. რომ ოფერენტი იძლევა პირობას. ოფერტის ღიად დატოვების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ოფერენტი არ არის კომერსანტი, ან თუ ოფერტა დარჩება შემხვედრი დაკმაყოფილების გარეშე სამ თვეზე მეტ ხანს, 2-205-ე მუხლი არ იქნება გამოყენებული, და ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საერთო სამართლის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ გარიგებებს.

საერთო სამართალში დამკვიდრებული წესით, ოფერტა შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ ისეთი ფორმით, როგორსაც მოითხოვს ოფერენტი, მაგალითად, წერილობითი ფორმით გაგზავნილი ოფერტა, წერილობითვე იქნეს გამოგზავნილი მეორე მხარის მიერ. მაგრამ თუ ოფერენტი არ მიუთითებს აქცეპტის გამოგზავნის ფორმაზე, მაშინ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავაჭრო კოდექსის ნორმები, კერძოდ, 2-206(1) მუხლი მიუთითებს: „ოფერტა, ხელშეკრულების დადებაზე, განიმარტება, როგორც მოწვევა აქცეპტირებისთვის ნებისმიერი შესაძლებლობით და საშუალებით, რომელიც კი გონივრული იქნება მოცემულ მდგომარეობისას“. ეს ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი, რა საშუალებითაც იქნა გადმოცემული ოფერტა, იმ საშუალებით იქნეს გაკეთებული აქცეპტირებაც.

მკითხველი შეიძლება დაინტერესდეს, (ა) პუნქტი გულისხმობს თუ არა აქცეპტირების ფორმად დუმილს? ჩვეულებრივ დუმილი საერთო სამართალში აქცეპტად არ ითვლება, რადგანაც აღიარებული პრინციპის თანახმად, ერთ მხარეს არა აქვს უფლება დააკისროს მეორე მხარეს ვალდებულება თუ ამ უკანასკნელმა ნათლად არ გამოხატა თანხმობა მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ, დაუშვათ, ოფერტა ასეთ ფორმულირებას შეიცავს: „თუ შემოთავაზებულ წინადადებას არ უპასუხებთ, ჩავთვლით, რომ ოფერტა მიღებული გაქვთ“. ასეთი ფორმულირების შემდეგ ჩაითვლება თუ არა დუმილი აქცეპტად? არ ჩაითვლება და აქედან გამომდინარე არც წარმოშობს ხელშეკრულებას, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მხარეს შეიძლება არ ჰქონდეს შესაძლებლობა ოფერტის უარყოფის შემთხვევაში შეატყობინოს უარი.

მაგრამ, აღნიშნულ ფორმულირებას მაშინ ექნება იურიდიული ძალა, თუ მხარეებს შორის უკვე არსებობს ისეთი ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც აქცეპტანტი ვალდებულია შეატყობინოს ოფერტის უარყოფა. მაგალითად, მხარეები არიან შეთანხმებულნი, რომ მყიდველი წელიწადში სამჯერ. წინასწარი შეტყობინებით, მიიღებს 1000-1000 ცალ კომპიუტერს, ხოლო თუ გადაიფიქრებს, აცნობოს გამყიდველს უარის თქმის შესახებ. მესამედ გაგზავნის წინ, გამყიდველმა აცნობა, რომ უგზავნის კომპიუტერების ბოლო პარტიას და დუმილი ჩავთვლება თანხმობად. აი, ასეთ შემთხვევაში კი, მყიდველი ვალდებულია, თუ არ უნდა, რომ მიიღოს კომპიუტერების მესამე პარტია, აცნობოს გამყიდველს უარის თქმის შესახებ. ზემოთ აღნიშნულ 2-206-ე მუხლს აქვს პუნქტი „ბ“ რომლის თანახმადაც: „საქონელზე შეკვეთა ან საქონლის ყიდვაზე სხვაგვარი შეთავაზება სასწრაფოდ ან შემდეგი რეისით გაგზავნის პირობით, განიმარტება, როგორც მოწვევა ასეთი შეთავაზების აქცეპტირებაზე, სათანადო ან არა სათანადო საქონლის სასწრაფოდ გაგზავნის დაპირებით ან სასწრაფო გაგზავნით ან შემდეგი რეისით გაგზავნით, მაგრამ არა სათანადო საქონლის გაგზავნა არ წარმოადგენს აქცეპტს, თუ გამყიდველმა დროულად შეატყობინა მყიდველს, რომ გაგზავნა ხდება შეკვეთილი საქონლის ნაცვლად“.

იმისათვის, რომ ჩავწვდეთ აღნიშნული პუნქტის ზუსტ შინაარსს, ჩვენ, მკით-

თხველს შევთავაზებთ ერთ-ერთ მაგალითს სხვადასხვა ვარიანტით და გავუკეთებთ მცირე ანალიზს. ვთქვათ მყიდველმა ტელეგრაფით გაუგზავნა ოფერტა გამყიდველ მხარეს: „გთხოვთ, გამომიგზავნოთ 20 საათში 1000 ტელევიზორი თქვენი ყველაზე დაბალი ფასით“, გამყიდველმა ტელეგრაფითვე სასწრაფოდ შეპირდა, რომ გაუგზავნის საქონელს 20 საათში. მაგრამ, სანამ გამყიდველი საქონელს გააგზავნიდა, მანამ მყიდველმა გააუქმა თავისი ოფერტა. ჩაითვლება თუ არა აღნიშნული ურთიერთობა ხელშეკრულებად, მიუხედავად მყიდველის მიერ ოფერტის გამოხმობისა? ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულიად, რადგანაც: „საქონელზე შეკვეთა. სასწრაფოდ, განიმარტება, როგორც მოწვევა ასეთი ოფერტის აქცეპტირებაზე, სათანადო ან არა სათანადო საქონლის სასწრაფოდ გაგზავნის დაპირებით“. როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, გამყიდველი დაპირდა, რომ 20 საათში გაუგზავნიდა საქონელს. მყიდველი არ მიუთითებს, რომ მისი ოფერტის აქცეპტირებისათვის აუცილებელია მხოლოდ საქონლის გაგზავნა. ამდენად, გამყიდველის მიერ 20 საათში საქონლის გაგზავნის დაპირება უკვე მიუთითებს ხელშეკრულების დადებაზე.

მაგრამ აღნიშნული მაგალითის ცოტა განსხვავებულმა ვარიანტმა შეიძლება სხვა პრობლემა შექმნას. კერძოდ, მოლაპარაკების შემდეგ მყიდველმა ტელეგრაფით გაუგზავნა ოფერტა გამყიდველს: გთხოვთ, 20 საათში გამომიგზავნოთ 1000 ტელევიზორი თქვენი დაბალი ფასით. გამყიდველმა სასწრაფოდ გაუგზავნა 900 ტელევიზორი, მაგრამ ბოლო მომენტში საქონელი იმ მესამე მხარეს გადასცა, რომელმაც უფრო მაღალი ფასი შესთავაზა, ვიდრე პირველმა მყიდველმა.

საერთო სამართალში, მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთობა არ ჩაითვლებოდა ხელშეკრულებად, რადგანაც გამყიდველისგან, რომელიც იყო მოწვეული აქცეპტირებისათვის, საქონლის – 900 ტელევიზორის, გაგზავნა იყო ხელშეკრულებიდან გადახვევა. ამდენად, მანამ მყიდველი არ მოახდენდა გამყიდველის კონტროფერტის – 900 ტელევიზორის – აქცეპტირებას, გამყიდველს შეეძლო სხვასთან დაედო ხელშეკრულება. ეს საერთო სამართალით. სავაჭრო კოდექსით კი აღნიშნული ურთიერთობა სხვაგვარად წყდება, კერძოდ, 2-206-ე მუხლის პირველი პუნქტით: სასწრაფოდ ან შემდეგი რეისით „არასთანადო საქონლის“ გაგზავნა ქმნის ხელშეკრულებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც „გამყიდველმა დროულად შეატყობინა მყიდველს, რომ გაგზავნა ხდება შეკვეთილი საქონლის ნაცვლად“. ასეთ შეტყობინებას კი, როგორც მაგალითიდან ჩანს, ადგილი არ ჰქონია. ამიტომაც გამყიდველის ქცევა ორ მომენტს შეიცავს: აქცეპტირებასაც და ხელშეკრულების დარღვევასაც. ამდენად, მყიდველს შეუძლია, მიიღოს ან არ მიიღოს გამოგზავნილი საქონელი (თუ საქონელი მას გაეგზავნებოდა და არა მესამე პირს), და განხორციელოს სამართლებრივი დაცვის საშუალება.

2-206-ე მუხლს აქვს მეორე პუნქტიც, რომელიც ჩვენთვის ასევე საინტერესოა, კერძოდ, თუ მხარე შეუღდა მოთხოვნის შესრულებას და ეს აქცეპტის გონივრული საშუალებაა. მაშინ ოფერენტს, რომელსაც არ ეუწყა ასეთ აქცეპტზე გონივრული ვადის განმავლობაში, შეუძლია გამოიხმოს ოფერტა, როგორც აქცეპტამდე უარყოფილი ოფერტა“.

აქ შეიძლება ერთი შეკითხვა დაგვებადოს, რა ვადა იგულისხმება „გონივრულ ვადაში“? სავაჭრო კოდექსი არ მიუთითებს რაიმე განსაზღვრულ ვადაზე და თვლის, რომ ეს დამოკიდებულია მოქმედებაზე და მასთან დაკავშირებული მდგომარეობის ხასიათზე და მიზანზე (1-104(2) მუხლი).

აღნიშნული მეორე პუნქტი გარკვეულ ფარგლებში იცავს ოფერენტს არაკეთილსინდისიერი მხარისგან, რომელსაც მაგალითად, ბაზრის მდგომარეობის



გათვალისწინებით შეუძლია შეაჩეროს ან გააჭიანუროს მოთხოვნის შესრულება რითაც შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს ოფერენტი. ამიტომ მეორე მხარემ უნდა აუწყოს გონივრულ ვადაში ოფერენტს, რომ იწყებს მოთხოვნის შესრულებას.

ხელშეკრულების დადებისას აქცეპტსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ შემდეგ სტატიის აქცეპტის როლზეც გვექნება საუბარი.

ბაკურ ლილუაშვილი

ბანკოთმკობის ქვეყნების ფერმერული მეურნეობის სტრუქტურა

საქართველო ოდითგანვე ცნობილი იყო, როგორც მიწათმოქმედების ქვეყანა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ქვეყნის აგრარული სფერო განიცდის ღრმა კრიზისს. მის დასაძლევად აუცილებელია გატარდეს და რაც შეიძლება მალე რადიკალური რეფორმები. ეს კი მოითხოვს, როგორც საქართველოსათვის დამახასიათებელი თავისებურების გათვალისწინებას, ასევე განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას. ამასთან დაკავშირებით ალბათ საინტერესო იქნება განვიხილოთ დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული ფერმერული მეურნეობა და მისი სტრუქტურა.

დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული ფერმერული მეურნეობა, ძირითადად, წარმოდგენილია საოჯახო ფერმების სახით, რა არის საოჯახო ფერმა? არსებობს სხვადასხვა განსაზღვრება. კერძოდ, საოჯახო ეწოდება ფერმას, რომლის მფლობელი არის ოჯახი. ოჯახის წევრების მიერ ხდება სამუშაოების ჩატარება და მეურნეობის მართვა. სხვა მოსაზრება ემყარება შრომას. საოჯახო არის ფერმა, თუ მასში გამოიყენება უმეტესწილად, ოჯახის წევრების შრომა. ყველაზე მართებულად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი განსაზღვრება: საოჯახო ეწოდება ფერმას, თუ იგი არის შემოსავლის მთავარი წყარო, მთავარი სამუშაო ადგილი და ოჯახის წევრების მიერ ხდება მეურნეობის მართვა, ეს განსაზღვრება მოიცავს მოიჯარეებსაც და არამოიჯარეებსაც. აგრეთვე იმ ოჯახებს, რომლებიც იყენებენ მხოლოდ საკუთარ შრომას და მათ, რომელთა მიერ ხდება სამუშაო ძალის დაქირავება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსხვილ ფერმებს, მიუხედავად იმისა, რომ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, ევროკავშირის 12 ქვეყანაში ფერმები, რომელთა მფლობელობაში იმყოფება 20 ჰა მეტი მიწა, შეადგენს მთელი რიცხოვნობის მეხუთედს. ნათხე მოდის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 3/4. როგორია სამუშაო ძალის განაწილება? ინგლისში დაქირავებული სამუშაო ძალა შეადგენს მესამედს აგრარულ სფეროში დასაქმებულთა საერთო რიცხვიდან. მიუხედავად ამისა, შრომითი დანახარჯების ძირითადი ნაწილი მოდის ფერმერულ ოჯახზე. რაც შეეხება ესპანეთს და იტალიას, აქ დაქირავებული სამუშაო ძალა უმნიშვნელო როლს თამაშობს. აშშ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რიცხვი-

დან (2,8 მილიონი ადამიანი), 1989 წლის მონაცემებით 1.9 მილიონია თვითონ ფერმერები და მათი ოჯახის წევრები.

საერთოდ, ფერმებულ მეურნეობათა რიცხვი კლებულობს, მაგრამ იზრდება ზათი ეფექტიანობა. მაგალითად, 1960 წ. აშშ არსებობდა 4 მლნ. ფერმერი, 1980 წ. — 2,4 მლნ, ხოლო 2 000 წ. — 1,8 მლნ-მდე იქნება.

აშშ ფერმერული მეურნეობების საშუალო მიწის ფართობია 187 ჰა. იმ მეურნეობათა ზვედრითი წილი, რომელთა წლიური შემოსავალი 100 ათას დოლარს აღწარბებს, 15 პროცენტს შეადგენს, მაგრამ მათზე მოდის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 50 პროცენტამდე. აქედან გამომდინარე, მაღალია მათი ზვედრითი წილი მთელი პროდუქციის წარმოებაში, დაახლოებით 73 პროცენტი.

მეურნეობები, რომელთა შემოსავალი არის 10 ათასიდან 100 ათას დოლარამდე, შეადგენს 37 პროცენტს და მათზე მოდის მთლიანი შემოსავლის 24 პროცენტი. დაკავებული მიწების ფართობია დაახლოებით 40 პროცენტი.

ფერმერული მეურნეობები, რომელთა შემოსავალი 10 ათას დოლარზე ნაკლებია — 48 პროცენტს, ხოლო ზვედრითი წილი მთლიან შემოსავალში 3 პროცენტს შეადგენს. მათზე მოდის დაკავებული მიწის ფართობის 10 პროცენტი. ამ ჯგუფის შემადგენლობა არაერთგვაროვანია. მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს მეურნეობისაგან მიღებული შემოსავლის წყაროზე. უმრავლესობისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოება არ არის ერთადერთი შემოსავლის წყარო. მათგან ბევრი დაკავებულია სხვადასხვა საქმიანობით. არსებობენ ფერმები, რომლებიც ეკუთვნის იმ პენსიონერებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში ჩაერთვნენ სხვა სფეროში, ასაკის გამო სამსახურის დატოვების შემდეგ. ამათ გარდა, არსებობს ფერმები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც დამხმარე მეურნეობა. უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის გამო, რომელსაც ისინი აწვდიან ბაზარს, თავისუფლად შეიძლება შეყვანილი იქნან ცერმერულ მეურნეობათა საერთო რიცხვში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ფერმერებმა დღეს, ისე როგორც არასდროს, უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან, მაგრამ შეუძლია გავლენა იქონიონ მის მოცუალზე უფრო მეტად, ვიდრე ამ სფეროში მიმდინარე ზოგიერთმა პროცესებმა. საბიუჯეტო, საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკას შეუძლია დიდი ზეგავლენა იქონიოს სოფლის მეურნეობაზე, მის სტრუქტურაზე. არსებობს მრავალი სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. აღნიშნული პროგრამებია, მაგალითად, ისეთ სფეროში, როგორცაა განათლება, საკრედიტო ურთიერთობები, ფასწარმოქმნა და სხვა. ხშირად ისმება კითხვა, აღნიშნული სამთავრობო ღონისძიებები ხომ არ ანიჭებს უპირატესობას მსხვილ მეურნეობას. საყურადღებოა, რომ ბევრი სამთავრობო პროგრამა მართლაც უფრო მომგებიანია მსხვილ მწარმოებელთათვის და მიწათმფლობელისთვის, ვიდრე მცირე ზომის მეურნეობისა და მოიჯარეებისათვის. მაგრამ თვითონ საბაზრო სისტემაც, სამთავრობო ღონისძიებებისაგან დამოუკიდებლად, ხომ უფრო „აჯილდოებს“ მსხვილ მეურნეობებს, პირველ რიგში, მისი მოცულობისა და აქედან გამომდინარე, მისი ეფექტიანობის გამო. თუმცა, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს იმ პროგრამების გასამართლებელ საბუთად, რომელთა მიზანია ერთი ჯგუფის უპირატესი განვითარება მეორის ს. ხიანოდ.

საბიუჯეტო და საფინანსო პოლიტიკის ისეთი შედეგები, როგორცაა მიწის ღირებულების, მიწაზე საოჯახო გადასახადის, აგრეთვე სხვა სახის ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემცირება, ამერიკელ ფერმერებს საშუალებას აძ-



ლევს შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს აშშ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდას საერთაშორისო ბაზარზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკა. იქნება ეს ტექნიკის შექმნა, პროდუქციის გასაღების დაგეგმვა თუ სხვა. მაგალითად, საგადასახადო შეღავათებმა, რომლებიც გამოიზნულია მსხვილი საწარმოებისათვის, შეუძლიათ ფერმერებში გამოიწვიოს დაინტერესება მეურნეობის მოცულობის გაზრდაზე. საგადასახადო პოლიტიკის სხვადასხვა სახის ღონისძიებები ხელს უწყობს აგრეთვე ახალი ტექნოლოგიის დანერგვას, წარმოების მოცულობის ეფექტიანობის უკეთ გამოყენებას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ფერმერთა მდგომარეობა მჭიდრო კავშირშია იმ მოვლენებთან, რომლებზეც მათ თითქმის, ან სრულიად არ შეუძლიათ გავლენა იქონიონ. ასეთია, მაგალითად, მოვლენები საერთაშორისო ბაზარზე. მთავრობის საფინანსო პოლიტიკა, ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა. ყოველივე ამიტომ, მეურნეობის ეფექტიანი გაძლიერება მოითხოვს ასეთი მიზანმიმართული ღონისძიებების გატარებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება გარეშე ფაქტორების ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე.

აღნიშნული პრობლემების გადასალახავად და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის არის გამიზნული მრავალი სახელმწიფო პროგრამა. ამასთან ერთად, აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არცერთი სამთავრობო პროგრამა არ ისახავს მიზნად რაიმე ძალდატანებითი ზეგავლენის მოხდენას წარმოებლებზე. მთავარი პრინციპი — მეურნეობის წარმოებაში ფერმერთა დამოუკიდებლობის შენარჩუნება და არჩევანის თავისუფლება — არ ირღვევა. თითქმის ყველა მათგანი გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის და იგი ატარებს რეკომენდაციების სახეს. ასეთი პროგრამები დამახასიათებელია არა მარტო აშშ-ის, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვისაც, სადაც წარმატებით ხორციელდება მათი პრაქტიკაში გატარება.

ამრიგად, განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარება გეგმავთიერად, მიზანმიმართულად ხორციელდება. ეს კი, თავის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალეფექტიანად ფუნქციონირების საფუძველია.



ზაზა ნანობაშვილი

სასჯელის რაობა ფილოსოფოსთა თვალსაზრისით

სასჯელის, როგორც სისხლის სამართლის ინსტიტუტის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს პრობლემად თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში. სასჯელს ანუ სახელმწიფოს რეაქციას ჩადენილ დანაშაულზე დიდი ფუნქციური დატვირთვა აქვს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, ის ამა თუ იმ ქვეყნის სამართლებრივი კულტურის უტყუარ საზომად გვევლინება.

სასჯელი, — აღნიშნავდა ცნობილი მეცნიერი ლიურკჰეიმი, განაგებს ადანიანურ მიდგომას, ღვას მისი დაცვის სადარაჯოზე. თუკი სასჯელი არ შეასრულებს თავის ფუნქციას, ყველა საზღვარი მოისპობა, საზოგადოების ყოველი ფენა გაიხრწნება და მსოფლიოს ქაოსი მოიცავს.

რა არის სასჯელი? — სამაგიეროს მიზლვა ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ იძულებითი ღონისძიება გამიზნული დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. რა მიზანს ისახავს იგი — დამნაშავისათვის ტანჯვის მიყენებას თუ მის გამოსწორებას? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემას არაერთი ფილოსოფოსი, მოაზროვნე შეეცადა. უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით დღეისთვისაც არ არსებობს და საფიქრებელია, რომ სასჯელი კვლავაც დიდხანს აქნება მკვლევართა ყურადღების საგანი.

ჩვენ წერილის მიზანია სასჯელთან მიმართებაში ცნობილი ფილოსოფოსების ნაზრევის გადმოცემა.*

საბერძნეთში არაერთი მოაზროვნე იკვლევდა სასჯელის პრობლემებს. **პლატონი** თავის „კანონებში“ განიხილავდა ამ საკითხს და აღნიშნავდა, რომ სახელმწიფომ დამნაშავეს სასჯელი უნდა შეუფარდოს არა იმიტომ, რომ მან ჩადინა დანაშაული, არამედ იმ მიზნით, რომ არც ამან და არც სხვამ მომავალში არ ჩადინოს იგი. როგორც ვხედავთ, პლატონი ზოგადი პრევენციის თვალსაზრისზე დგას. მისი აზრით, სასჯელის მიზანი ჩადენილი დანაშაულით დაღუპილი სულის გასუფთავება და მის შედეგად დარღვეული ჰარმონიის აღდგენაა. სასჯელი მის

* უძველესი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე დამუშავებულია სასჯელის სხვადასხვა თეორია, რომელთა შორის ძირითადია თეორიის ორი ჯგუფი: აბსოლუტური თეორიები, რომლებიც სასჯელს ასაბუთებენ აპრიორული დებულებებით — სამაგიეროს მიზლით, სამართლიანობით და ა. შ. ანუ როგორც გერმანელი იურისტი გ. ელინეკი აღნიშნავდა, სასჯელს განიხილავენ როგორც ეთიკურ აუცილებლობას და განსაზღვრავენ მას, როგორც აბსოლუტურად აუცილებელს; და შეფარდებითი თეორიები, რომლებიც სასჯელის პრობლემას წყვეტენ სახელმწიფოს მოთხოვნილებათა შესაბამისად. ეს თეორიები, თუ ისევე ელინეკის სიტყვებს მოვიშვებთ, სასჯელს განიხილავენ როგორც სოციალურ აუცილებლობას. ისტორიულად, შეფარდებითი თეორიების მომხრე ფილოსოფოსთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე აბსოლუტურის. ჩვენს მსჯელობას სწორედ შეფარდებითი თეორიის აპოლოგეტთა ნაზრევის გადმოცემით დავიწყებთ.



მეორე განიხილებოდა, როგორც დამნაშავისათვის ბოძებული სიკეთე, რომლის წყალობითაც მისი სული ამქვეყნიურ სამყაროს განწმენდილი დატოვებდა.

პლატონი ავითარებს სასჯელის გარდუვალობის ანუ აუცდენლობის პრინციპს და აღნიშნავს, რომ არცერთ სასჯელს მიზნად არა აქვს დასახული სიავის მიყენება. არა, სასჯელი აღწევს შემდეგ მიზანს: ის ხდის დასასჯელს ან უკეთესს, ან ნაკლებად წამხდარს.¹

სასჯელი უნდა ემსახურებოდეს დამნაშავის გამოსწორებას, სხვა პირთა დაშინებას, გამოუსწორებელ ბოროტმოქმედთა უვნებელყოფას. პლატონის სიტყვებით, უაზრობაა ადამიანის დასჯა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული — ჩადენილს ხომ ვერავინ გახდის ჩაუდენლად, რაც მოხდა, ის სამუდამოდ წარუშლელია.

კანონმდებლის მიერ განხორციელებულ კრიმინალურ პოლიტიკას საზოგადოებისათვის სარგებლობა უნდა მოჰქონდეს. ამ თვალსაზრისს პლატონი ხშირად იმეორებს და ასახულებს. იგი დანაშაულსა და სასჯელს შორის თანაფარდობის, თანაზომიერების დაცვის მომხრეა და მოითხოვს დამნაშავეს იგივე მიეგოს, რა უარყოფითიც მოჰყვა მის ქმედობას. სასჯელი უნდა უთანაბრებოდეს მიყენებულ ზიანს.²

მეორე ბერძენი მოაზროვნე, პლატონის მოწაფე არისტოტელე სასჯელის ანალიზისას სამაგიეროს მიზღვის ბუნებიდან გამოდის, რომლის საფუძველსაც ის სამართლის დარღვევით გამოწვეულ გულისწყრომაში ხედავს. სამართალდარღვევით გამოწვეული ტანჯვა დაზარალებულში ვნების მიყენების დაუოკებელ სურვილს აღძრავს, რომლის განხორციელება მასში ტანჯვის შეგრძნებას აქრობს. შურისძიება წყვეტს ტანჯვას და მას სიამოვნებად გადააქცევს.

სამაგიეროს მიზღვა, მოქცეული გარკვეულ ფარგლებში, არისტოტელეს აზრით — ესაა გაწონასწორებული სამართლიანობის პრინციპი და სწორედ მასშია სასჯელის მართლზომიერების ქვაკუთხედი. თუმცა, იგი სამაგიეროს მიზღვის მომხრეა, როგორც გამრუდების გასწორების ქმედითი საშუალებისა, მაგრამ ამავე დროს, წმინდა ტალიონის პრინციპი მისთვის მიუღებელია, რადგან ეს უკანასკნელი სამართლიანობის მარადიულ იდეას ეწინააღმდეგება.

„ისევე, როგორც პლატონი, არისტოტელეც დანაშაულსა და სასჯელს შორის ბალანსის დაცვის მომხრეა, რადგან „იქ, სადაც არ არსებობს დანაშაულის შესატყვისი სასჯელის სახე, ყოველგვარი სასჯელი მცირეა დანაშაულთან შედარებით...“³ ყოველი ასეთი დისპროპორცია დანაშაულსა და სასჯელს შორის შეუძლებელს ხდის სასჯელის მიზნების განხორციელებას, რომელთაგან ერთ-ერთი დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ემსახურება.

არისტოტელე მიიჩნევდა, რომ უპრაველესობა უფრო მეტად აუცილებლობას ემორჩილება, ვიდრე გონებას, უფროვე სასჯელს, ვინემ მშვენიერს. მათთვის კანონში ასახული დადებითი ქცევის წესი არასაკმარისია და ამიტომ საჭიროა ძალისა და იძულების გამოყენება კანონდამორჩილებელ მოქალაქეთა მიმართ. ამას კი, კანონი სასჯელის მუქარის მეშვეობით უზრუნველყოფს, რომელიც ყოველთვის რაღაც უსიამოვნოსთან ასოცირდება. ეს უსიამოვნოა სწორედ ის, რომლის შიშსაც კანონმორჩილება მოსდევს. ასე ხორციელდება სასჯელის ზოგადი პრევენცია.

1 Полное собрание творений Платона в 15 томах, том XIV, стр. 83.

2 იქვე, გვ. 186.

3 არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 88.

არისტოტელე, გარდა ზოგადი პრევენციისა, აღნიშნავს აგრეთვე კერძო პრევენციას, როგორც დამნაშავეზე ზემოქმედებას, ზეწოლას. დამნაშავისათვის მიყენებულმა ტკივილმა ხელი უნდა ააღებინოს მას დანაშაულის ჩადენაზე, რასაც ამავდროულად მისი გამოსწორება მოჰყვება. მიიჩნევს იგი.

ამრიგად, სასჯელი არისტოტელეს აზრით „ერთგვარი მკურნალობაა, ხოლო მკურნალობა ხდება დაპირისპირებით. შეწინააღმდეგებით“.⁴

რომაელ ფილოსოფოს სენეკას სასჯელში მთავარ ატრიბუტად გამოსწორება, ხოლო ამ უკანასკნელის საშუალებად, დაშინება მიაჩნდა. იგი მოითხოვდა დამნაშავისათვის დამსახურებულ სასჯელს მისი პიროვნების გათვალისწინებით, რადგან სამართლიანობა მოითხოვს თითოეულს დამსახურებისამებრ მიეზღოს. ისევე როგორც პლატონი, სენეკაც წინააღმდეგია სასჯელი განხილულ და გამოყენებულ იქნას მარტოოდენ წარსულში ჩადენილი ფაქტის კონსტატაციისათვის. მისი აზრით, ამით არაფერი არ იცვლება. წარსულის აღდგენა შეუძლებელია. და წორედ ამიტომ „გონიერი სჯის არა იმიტომ, რომ ჩადენილია დანაშაული; არამედ იმიტომ, რომ მომავალში არ ჩაიდინონ იგი“.⁵ ის პლატონის მსგავსად, წმინდა პრევენციის თვალსაზრისს ადგა.

სასჯელთან დაკავშირებული ახალი იდეები, ახლებური და პროგრესული ხედვა ამ რთული და ამავე დროს, ფაქიზი ფენომენისა გვხვდება ინგლისში და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციების წინა და შემდგომი პერიოდების ფილოსოფოსთა — ე. წ. „განმანათლებელთა“ ნაშრომებში.

ჰუგო გროციუსი გამოთქვამდა აზრს იმის შესახებ, რომ სასჯელი თავისი ბუნებიდან გამოდინარე არ არის უბრალო მისაგებელი. დამნაშავე თავისი ქცევით თვითონ ექცევა სასჯელის ზემოქმედების არეალში. სასჯელი, ხაზს უსვამს იგი, „ჩემი ტანჯვაა ჩემივე ქცევით გამოწვეული“. თვითონ ბუნება აწესებს, რომ ბოროტების ჩამდენი თვითონვე განიცდიდეს მას. რადგან სასჯელი ბუნებისგან მომდინარეობს, ამიტომ დასჯის უფლება აქვს ყველას, ვინც კი მზადაა სამართლიანობის კოსმიური კანონების თანახმად იგი სამართლიანად გამოიყენოს.

სასჯელის გამოყენება არ შეიძლება რაიმე განსაზღვრული მიზნის გარეშე, რადგან ეს ეწინააღმდეგება გონიერ ბუნებას, რომელიც ადამიანს არ აძლევს საშუალებას მიაყენოს თავისივე მსგავს არსებას ბოროტება.⁶ აქვე აღვნიშნავთ, რომ ჰუგო გროციუსი, ისევე როგორც სხვა მისი ეპოქის განმანათლებლები, მკაცრი სასჯელების წინააღმდეგ იყვნენ და მოითხოვდნენ მის ჰუმანიზაციას.

ინგლისელ ფილოსოფოსს **ჰობსს** სასჯელის მიზნად მიაჩნდა დაშინება და გამოსწორება, მაგრამ არა შურისძიება. მისი აზრით საზოგადოებრივი ინტერესი (ანუ დღევანდელი გაგებით საჯარო ინტერესი) არის უმთავრესი კანონი, და აქედან გამომდინარე სახელმწიფო ხელისუფლების დასჯითი ფუნქციის არსი საკუთარი თავისა და უფლებების საკუთარი ძალებით დაცვის შესაძლებლობის აღკვეთაში მდგომარეობს.

ანალოგიურ თვალსაზრისზე იდგა მეორე ინგლისელი ფილოსოფოსი **ჯონ ლოკი**. ისიც სასჯელს განიხილავს, როგორც საზოგადოების დაცვით ღონისძიებას, რომელიც მოწოდებულია გავლენა მოახდინოს, როგორც დამნაშავეზე ისე საზოგადოების სხვა წევრებზე. „ყოველგვარი დარღვევა (დანაშაული) იმ ზომითა და იმ სიმკაცრით შეიძლება დაისაჯოს, რომ იგი არახელსაყრელი გახდეს

4 «Этика Аристотеля», Санкт-Петербург, 1908, стр. 203.

5 აღ. ვაჩიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960, გვ. 32.

6 Фоницкий, Ученъе о наказаний въ связи съ тюрьмовьдъннем, Санкт-Петербург, 1889, стр. 13.

დამნაშავისათვის, მიეცეს მას მონანიების საბაბი და დააშინოს სხვები. აიძულოს ისინი თავი შეიკავონ ამგვარი ქმედებისაგან“.⁷

ლოკის აზრით, არსებობს უფლების ორი განცალკევებული სახე, რომელთაგან პირველი სამაგიეროს მიზღვაში მდგომარეობს და მას ყოველი ადამიანი ფლობს. მეორე კი მხოლოდ დაზარალებულის პრეროგატივაა და იგი მას იყენებს იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე საზოგადოებრივი კეთილდღეობიდან გაძომდინარე არ სჯის დამნაშავეს.

გამოდის, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება მოკლას დამნაშავე არა მარტო იმისათვის, რათა აღკვეთოს მის მიერ დანაშაულის ჩადენა, არამედ იმისთვისაც, რათა დაიცვას საზოგადოება პოტენციურ დამნაშავეთაგან.

ლოკი აღნიშნავს, რომ ასეთი ადამიანის განადგურება ისევე შესაძლებელია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო სისხლისმსმელი მხეცის — ვეფხვისა, რობელთანაც ადამიანის თანაცხოვრება შეუძლებელია და სწორედ ამას ეფუძნება ბუნების დიდი კანონი: „ვინც დაღვრის ადამიანის სისხლს, მისი სისხლი ადამიანისავე ხელით დაიღვრება“. ამის საილუსტრაციოდ ლოკს ბიბლიიდან მოაქვს კაენის მიერ ძმის მკვლელობის მაგალითი, როდესაც იგი ამბობს: „ვინც კი შემხედება მე, მომკლავს“.⁸

სახელგანთქმული ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი მიიჩნევდა, რომ სასჯელის მიზანი დაშინებაა და რომ იურისპრუდენციის მთავარი დანიშნულება დანაშაულის აცილებაა. ცივილიზებული სახელმწიფო, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია თავიდან აიცილოს დანაშაული, სანამ იგი დაიწყებს იმაზე ფიქრს. თუ როგორ დასაჯოს დამნაშავე.⁹ ვოლტერი იმ დროისათვის ფართოდ ფუნქციონირებული ბარბაროსული სასჯელების წინააღმდეგი იყო, ვინაიდან ეს სასჯელები არანაირად არ ამცირებდნენ დანაშაულის საერთო რიცხვს. მიუხედავად იმისა, რომ ვოლტერი სპეციალურად სასჯელის საკითხებით არ ინტერესდებოდა, განუზომელია მისი ღვაწლი ინკვიზიციასთან ბრძოლაში.

ასევე ფასდაუდებელია მეორე უდიდესი ფრანგი განმანათლებლის მონტესკიეს დამსახურება სასჯელთა ჰუმანიზაციის საქმეში. მის „კანონთა გონში“ სხვა საკითხებთან ერთად გარკვეული ადგილი სასჯელებსაც ეთმობა.

მონტესკიე გამოდიოდა სასჯელის, როგორც ღვთის შურისძიების გაგების წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ „ბოროტება წარმოშვა იმ იდეამ, რომ საჭიროა ღვთაების შური ვიძიოთ. მაგრამ ღვთაებას ჩვენგან თავყვანისცემა ეკუთვნის და არა მისი შურისძიება“.¹⁰ როდის მოელება ბოლო სასჯელებს? — სვამს კითხვას იგი და თავადვე პასუხობს: „მიფვეთ ბუნებას, რომელმაც ადამიანებს მათრაზად სირცხვილი მისცა! სასჯელის უდიდესი ნაწილი სირცხვილით ტანჯვა უნდა იყოს“.

მონტესკიე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულსა და მასთან დაკავშირებულ სასჯელს შორის პროპორციის დაცვას. აშკარად შეუსაბამო და ალოგიკურ სასჯელს გაცილებით მეტი უბედურება მოაქვს და საზოგადოებაში სამართლებრივ ნიჰილიზმს, სულიერ დისკომფორტს ამკვიდრებს. ეს კი საბოლოოდ სახელმწიფოს, როგორც ერთიანი ორგანიზმის, დაუძლურებასა და დაკნინებას იწვევს.

7 Джон Локк, Сочинения, Москва, 1988. Том 3, стр. 268.

8 იქვე.

9 М. Д. Шаргородский, Наказание по Уголовному праву эксплуататорского общества. Госюриздат, 1957, стр. 83.

10 მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994, გვ. 215.



ზაპარია (ზაზა) ინფორმაციული

ბრალდებულის დაპითხვის პროცესულურ-პითხური მხარე

ბრალდებულის ჩვენება მნიშვნელოვანი მტკიცებულების წყაროა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე. როგორი სახის ჩვენებაც არ უნდა მისცეს ბრალდებულმა წინასწარ გამოძიებას: არასრული, უსწორო, წინასწარი შეცნობით ცრუ, თუ ცრუ თვითდასმენა, მიუხედავად ამისა, ასეთი ხასიათის მონაცემები საქმის სხვა მასალებთან შეპირისპირებაში და გაანალიზებაში გამოძიებას საშუალება ეძლევა დაადგინოს, ერთის შეხედვით, თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ საბოლოოდ, ჭეშმარიტების დადგენის მეტად მნიშვნელოვანი გარემოებანი, რომლებიც საბოლოო ანგარიშში, ნათელყოფენ დანაშაულებრივი ქმედების არსებობის ან მისი უარყოფის საფუძვლებს. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლა, განზოგადოება. ბრალდებული ეს ის პირია, რომელმაც უშუალოდ ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო ქმედება და ამიტომ იგი წინასწარ გამოძიებას აძლევს ჩვენებას, რა ხასიათისაც უნდა იყოს იგი. მეტ-ნაკლებად აღწერს ქმედების ზოგიერთ გარემოებას, უმეტეს შემთხვევაში კი, როგორც წესი, იგი იძლევა ქმედების მოტივის და თავისი უდანაშაულობის აღწერის თავისებურ ახსნას. ერთი მთავარი კი, უმეტეს შემთხვევაში, ნათლად გამოიკვეთება — ქმედების შემადგენლობის არსებობა. ასეთი მონაცემები კი მთავარია, რადგან შემდგომ წინასწარმა გამოძიებამ, რომელსაც მთლიანად აწევს ტვირთი ბრალდების მტკიცებისა, უნდა სწორად დაგვეგოს და წარმართოს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებანი დანაშაულებრივი ქმედების სრული გახსნისა და დამნაშავეთა გამოძიებასათვის. სწორედ ეს საქმიანობა არის ერთ-ერთი მთავარი წინასწარი გამოძიებისა. ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, კერძოდ 75-ე მუხლის მე-2 ნაწილმა დააკანონა, რომ „ბრალდებულად სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება მონაწილეობდეს ისეთი პირი, რომლის მიმართაც... არსებობს მტკიცებულობანი, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს ალბათობის მაღალი დონით დამტკიცდეს, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა“. მტკიცებულებებს კი, რომლებმაც უნდა გადაწყვიტოს საბოლოოდ ბრალდების დასაბუთებულობა, განეკუთვნება ასევე ბრალდებულის ჩვენებაც.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლმა მთელი რიგი ფართო უფლებებით აღჭურვა ბრალდებული, რაც უდავოდ მეტყველებს ადამიანთა უფლებების დაცვაზე. ბრალდებულთა უფლებების გაფართოება ავადებულებს წინასწარ გამოძიებას და მართლმსაჯულების ორგანოებს მაღალკვალიფიციურად და კანონის ზუსტი დაცვით წარმართონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი, რათა არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი და არც ერთი დამნაშავე დაუსჯელი.

კანონმდებლობის ესოდენ კატეგორიული მოთხოვნები, დღის წესრიგში აყენებს საკითხს საგამოძიებო და სასამართლო მუშაკების მხრივ მაღალკვალიფიციური მიდგომისა, თითოეული დანაშაულებრივი ქმედების სრულყოფილად გამოძიებისათვის. ამ სფეროში, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მთავარი მო-



ზენტი ბრალდებულის დაკითხვა და მისი ჩვენების სწორი შეფასება დაკავშირებულია არა მარტო დაკითხვის ტაქტიკურად და პროცესუალურად სწორად ჩატარებასთან, არამედ იმ ეთიკურ-ფსიქოლოგიური კომპონენტების ცოდნასა და გამოყენებასთან, რომლებიც საბოლოოდ, საფუძველს იძლევიან სწორი შეფასება მიეცეს ბრალდებულის ჩვენებას. დაკითხვის ეთიკურად და პროცესუალურად სწორად წარმართვა მოიცავს ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობისა და მისი როგორც ინდივიდის დამახასიათებელი სხვადასხვა ნიშან-თვისებათა გათვალისწინებას. წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულის დაკითხვა ხდება რამდენიმეჯერ, ერთი და იგივე საკითხზე ანდა იმ გარემოებათა ახსნის მიზნით, რომელთა შესახებ მის ჩვენებებში სხვადასხვა სახის წინააღმდეგობებია. ასეთი პირობების არსებობისას, როგორც წესი, ჩვენნი გამოძიებლები ზოგჯერ ცხარობენ და ზედმეტ გულფიცხობას იჩენენ. ეს კი უდავოდ მოქმედებს ბრალდებულის ჩვენების ჩამოყალიბებაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგი მათგანი პირველად ბრალდებულის როლში (მით უმეტეს პატიმარია), ცხადია, რომ ასეთი პირები ძლიერ დელავენ, ზოგჯერ თავიანთ ადრე მიცემულ ჩვენებებს უმატებენ ახალ ფაქტებს და გარემოებებს. პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებს, როცა ბრალდებული ხედავს გამოძიებლის სიფიცხეს, უხეშ მიმართვებს და იგი ცდილობს დაჰყვეს გამოძიებლის მოსაზრებას ამა თუ იმ ფაქტის აღწერის შესახებ. ბრალდებულის ასეთი ჩვენებანი, საბოლოოდ, ხელს უშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. სწორედ ასეთის შედეგია სასამართლოს მიერ საქმეთა დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შემთხვევები. გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ბრალდებულის დაკითხვის, ეთიკური მხარის დაცვა აუცილებელი პირობაა სწორი ჩვენების მიღებისათვის. დაკითხვის ჩატარება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ბრალდებულისათვის ნათელი იყოს მისთვის დასმული კითხვები და სწორი ჩვენების მიცემის აუცილებლობა.

გამომძიებელმა ტექნიკურად უნდა წარმართოს დაკითხვა, გულდასმით განუნარტოს, რომ ბრალის მონანიება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარეშობაა. ჩვენს მიერ ჩატარებული ანკეტური გამოკითხვისას სასჯელის მოხდის ადგილებში ნათელი გახდა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, როდესაც ბრალდებული ან განსასჯელი რწმუნდება კანონმდებლის ზემოაღნიშნული მოთხოვნის რეალიზაციაში. მაგალითად, მე შევისწავლე 38 მსჯავრდებული პირის სისხლის სამართლის საქმე. მათგან 28 პირმა წინასწარი გამოძიების დროს თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სასამართლოს სხდომაზე კი, 20 პირმა ნაწილობრივ სცნო წარდგენილი ბრალდება, ხოლო 8 პირმა მთლიანად სცნო თავი დამნაშავედ. აღნიშნულ პირთა ანკეტირების დროს ასეთი შემობრუნება მათ ახსნეს იმით, რომ „მეონა, რომ თუ თავს ვცნობდი დამნაშავედ უფრო მკაცრად დავისჯებოდი, მაგრამ მოსამართლის საჯაროდ განცხადების შემდეგ, აღიარება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელიაო და როცა წაიკითხა მუხლიც, დავრწმუნდი, რომ ეს მართლაც ასეა“.

თითქმის ანალოგიური ახსნა აქვს სხვა მსჯავრდებულთა ახსნას.

დაკითხვის ეთიკა ნათლად მჟღავნდება დამკითხავის ბრალდებულისადმი დამოკიდებულებაში; ამას კარგად გრძნობს ბრალდებული დაკითხვის პირველი პომენტიდანვე. ყოვლად მიუღებელია გულფიცხობა, უადგილო რეპლიკები, რაც ამცირებს ბრალდებულის ღირსებას და ა. შ. ასეთი მოქმედებანი დამკითხავის მხრივ ეთიკის ელემენტარული წესების დარღვევაა და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრინციპებს.

წარმართო წინასწარი გამოძიება ჯეროვნად, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმართო საგამომიებო მოქმედებანი პროცესუალური კანონით დადგენილი წესების სრული გათვალისწინებით და დაცვით. მაგრამ კანონის დაცვა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შედეგი სასურველი იქნება. კანონი როგორც დეტალურად არ უნდა არეგულირებდეს სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების პროცესუალურ საქმიანობას, მას არ შეუძლია სრულად მოიცვას გამომძიებლის, ან პროკურორის საქმიანობის ყოველი მხარე. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კერძოდ, მომკვლევის, გამომძიებლის, ან პროკურორის მიერ კანონების სრულყოფილად ცოდნა, საქმის მასალების გულმოდგინედ შესწავლა, ცალკეული საგამომიებო მოქმედების ტექტიკურად წარმართვა გარანტიანა არა მარტო სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა, არამედ მაჩვენებელია დამკითხავის მაღალი კულტურის დონისა. გამომძიებელს, სხვა ადამიანთა მსგავსად, გააჩნია მისთვის დამახასიათებელი შეხედულებანი, ხასიათის თავისებურებანი, გემოვნება, ჩვევები და ა. შ., მაგრამ პროცესუალური კანონი მათგან მოითხოვს ობიექტურობას და კანონისადმი დამორჩილებას. ეს მოთხოვნები არის არა მარტო ეთიკური, არამედ სამართლებრივი მოთხოვნაც. გამომძიებლის ყოველი მოქმედება ბრალდებულის დაკითხვის დროს უნდა იყოს ლოგიკური და კანონზე დაფუძნებული. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება შეექმნას ბრალდებულს რწმენა, რომ გამომძიებელი ესწრაფის დაადგინოს მხოლოდ ჭეშმარიტება. რწმენის შედეგია ის, რომ ბრალდებული შემდგომ „იხსნება“ და ცდილობს, მეტნაკლებად სწორად ახსნას თავისი ქმედების ხასიათი და შედეგები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ბრალდებულნი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ასაკით, შეხედულებებით, სქესით, ხასიათებით, განათლებით, აღზრდით და ა. შ. აღნიშნული თავისებურებანი მოითხოვენ გამომძიებლებისაგან, რომ მათ გამოძებნონ თითოეულ ბრალდებულთან ამ მონაცემების გათვალისწინებით დამოკიდებულების სწორი ფორმა. რადგან დაკითხვის პროცესში ბრალდებულისადმი თავშეუკავებელი, უტაქტო მოპყრობა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს შემდგომ გამოძიების სწორად წარმართვას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ახალმა საპროცესო კოდექსმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბრალდებულის უფლებათა განხორციელების რეალობაზე. კერძოდ, ბრალდებული, ბრალდების არსში გარკვევასთან ერთად, უფლებამოსილია გაეცნოს საქმის მასალებს, დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან და მისდამი გამოყენებულ იძულებითი ზომებისაგან კანონით ნებადართული ყველა საშუალებით, მეთოდით და ა. შ. (სსსკ 76-ე მუხლის I პუნქტი). აქედან გამომდინარე, მომკვლელი, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ვალდებულნი არიან განუმარტონ ბრალდებულს ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებათა განხორციელების შესაძლებლობანი. არ შეიძლება ბრალდებულისათვის მხოლოდ ამ უფლებათა ჩამოთვლა, არამედ აუცილებელია ზოგიერთი უფლების არსის გულდასმით და მოთმინებით განმარტება. მაგალითად, ბრალდებულისათვის დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაში მონაწილეობის უფლების განმარტებისას. გამომძიებელმა ხაზი უნდა გაუსვას, რომ მას, ბრალდებულს საშუალება ეძლევა „მოითხოვოს დაპირისპირება იმ პირთან, რომელიც მას ამხელს დანაშაულის ჩადენაში, წამოაყენოს მოთხოვნა საგამომიებო მოქმედების ჩატარების სავალდებულო შესრულების შესახებ და გამოითხოვოს მტკიცებულობანი, რომლებიც საჭიროა ბრალდების უარყოფასთან პასუხისმგებლობის შემსუბუქებისათვის, წარუდგინოს გამომძიებელს... კერძო გამოძიების მონაცემები“ (სსსკ 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი).



განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა და სწორი ტაქტიკური მიდგომა საჭირო მაშინ, როდესაც ბრალდებული სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს იძლევა. ასეთი შემთხვევების დროს დაუშვებელია ბრალდებულის მიმართ უტაქტო მოპყრობა — როგორც ეთიკურად, ასევე პროცესუალურად, რადგან ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულის უნდობლობა გამოძიებლისადმი, რაც იწვევს ბრალდებულის სიჯიუტესა და სიტლანქეს, რის შედეგადაც, არც თუ იშვიათად, ბრალდებულები უარს აცხადებენ ჩვენების მიცემაზეც კი. ასეთი შემთხვევების აცილების მიზნით, გამოძიებელთა ადვოკატებისა და ადმინისტრირების ფაქტორმა ადგილი უნდა დაუთმოს ბრალდებულისადმი გულისხმიერ, მშვიდ, მაგრამ მტკიცე და განუხრელ დამოკიდებულებას. ბრალდებულნი, როგორც წესი, მოითხოვენ მათდამი პატივისცემას, ამიტომ ბრალდებულის ყოველი დაკითხვა უნდა წარიმართოს ურთიერთგაგების ატმოსფეროში, გონივრულად. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ბრალდებული ხასიათდება ალგზნებადობით, გამოძიებელი ვალდებულია გამოძებნოს ბრალდებულის დაკითხვის სწორი ხერხები და საშუალებები. ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ სუსტი თავშეკავების უნარის მქონე პირები უფრო კეთილშობილური ბუნებისა არიან და ადამიანთა ურთიერთობაში უფრო დიდ სიბთბოს ამჟღავნებენ, ვიდრე ისინი, რომლებსაც თავშეკავების უნარი გააჩნიათ. ძლიერი ალგზნებულობის პირებს ხშირად ახასიათებთ ეგოისტური ტენდენციები და გადაჭარბებული თავმოყვარეობა. ისინი ვერ იტანენ დარიგებასა და შენიშვნებს, ცუდ გუნებაზე დგებიან, ბრაზობენ. მათ უსუსტდებათ საკუთარი ქცევის კრიტიკულად შეფასების უნარი. თავიანთი უსწორო ქცევის შეგნება პატივმოყვარეობას ულახავს და უსიამოვნებას გვრის¹. ეს ფსიქოლოგიური კომპონენტები, რომლებიც ბრალდებულის დაკითხვის პროცესში არც თუ იშვიათად გვხვდება, უნდა გაითვალისწინონ დამკითხვემა პირებმა, რადგან ასეთი პირები გამოძიების მიერ შეკრებილ მტკიცებულებებს უპირისპირებენ თავიანთ მოსაზრებებს და მიუთითებენ საქმისათვის არამნიშვნელოვან, მეორეხარისხოვან გარემოებებზე. ამით ცდილობენ გამოძიება დაარწმუნონ მათ მიერ განცხადებულ მოსაზრებათა სისწორეში. ამიტომ, გამოძიების მოვალეობაა ყურადღებით მოეკიდოს ბრალდებულის მოსაზრებებსაც და გულდასმით (და არა სიფიცხით) აუხსნას ყოველი ბრალდებულისეული მოსაზრების მიუღებლობის საფუძველი. ახალი საპროცესო კოდექსის პროექტის განხილვის დროს გამოითქვა შენიშვნები და წინადადებანი იმ მიმართებით, რომ პროკურატურას არ უნდა მისცემოდა გამოძიების წარმართვის და მასზედ ზედამხედველობის უფლებები. ასეთი მოსაზრებანი ყოვლად მიუღებლად მიმანჩნია, რადგან პროკურატურა, როგორც სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, ძირითადებელია აქტიურად იმოღვაწეოს სისხლის სამართლის საქმეთა მოკვლევის და სისხლის სამართლის დევნის ფარგლებში, რაც სხვა არაფერია, თუ არა გამოძიების წარმართვის ხელმძღვანელობა, რომელიც მოიცავს ყურადღების გაძახვილებას საგამოძიებო დარგის მუშაკების მხრივ ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა, კერძოდ. ბრალდებულის დაკითხვისადმი. აქვე დავძენთ, რომ თუ კი გასათვალისწინებელი და მისაღებია თანამედროვე ეტაპზე საკანონმდებლო რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, რეფორმის შედეგად უნდა დაიხვეწოს და გაფართოვდეს სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობა ადამიანთა უფლებების დაცვის საქმეში და არ შეიზღუდოს იგი იმით, რომ წინასწარი გამოძიების ჩატარება წოექცეს ერთი უწყების ხელში.

1. შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958, გვ. 183.

მალსაზ ბაქალა

ჯგუფურ დანაშაულთან ბრძოლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი

თანამედროვე პირობებში ჯგუფურმა დანაშაულობამ მიიღო განსაკუთრებული, მისთვის ადრე არაღამახასიათებელი სოციალური სახე, შეიცვალა მისი ფორმები, სტრუქტურა, ტენდენციები და კრიმინოგენური ბუნება. განსაკუთრებით გავრცელდა მისი ორგანიზებული ფორმა, რამაც სახელმწიფოები დააყენა მეტად რთული და ძნელად დასაძლევი პრობლემის წინაშე. ოფიციალურ და არაოფიციალურ ცხოვრებას შორის იშლებოდა ზღვარი. ორგანიზებული დანაშაულობა, სხვა ჯგუფური ფორმებისაგან განსხვავებით, თავისი ფესვებით იკვებებოდა სახელმწიფოს თითქმის ყველა სტრუქტურის დონეზე; აკონტროლებდა ეკონომიკის წამყვან დარგებს, ქმნიდა საზოგადოებისათვის გაუგებარ ღირებულებებს. ამერიკის საპრეზიდენტო კომისიამ 1967 წელს აღმოაჩინა ფაქტი, რომელმაც საზოგადოებრივ აზრში გამოიწვია დაბნეულობა და შიში. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ აშშ-ში წამყვანი კორპორაციები, სადაც მუშაობდა 2 მილიონი მუშა, იღებდნენ შემოსავალს 7 მილიარდი დოლარის ოდენობით, ხოლო კრიმინალური სინდიკატები 26 ათასი მუშის მეშვეობით იღებდნენ წელიწადში ერთ მილიონ დოლარს.¹ ორგანიზებული დანაშაულობის ამერიკული ვარიანტი ბატონობდა 20-იანი წლებიდან და მერე დაკარგა „ლიდერობა“, რადგან თავისი კრიმინალური კულტურით მას, ასე ვთქვათ, დაეწია ევროპული, ჩინური, და სხვა ქვეყნების ორგანიზებული დანაშაულობა. ომისშემდგომი გერმანია სულ მალე აღორძინდა, მაგრამ ერთდროულად მისცა საკვები ორგანიზებული დანაშაულის ე. წ. გერმანულ ვარიანტს. ცნობილი გერმანელი მეცნიერი ჰანს შნაიდერი ადასტურებს ცხოვრებისეულ ფაქტს, რომ გერმანიაში და ნიდერლანდში ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვას კრიმინალური ჯგუფების ცხოვრებაში უკავია ძირითადი ადგილი, ჩინელების სპეციალიზაცია კი ნარკობიზნესია. ტყავეისაგან შექმნილი ძვირფასეულობა, ოპტიკური და ელექტროაპარატების ყიდვა-გაყიდვა და სხვა სახის საქმიანობა ორგანიზებული დანაშაულობის საგანია.²

კრიმინოლოგიური მეცნიერება ვერ კმაყოფილდებოდა „სენსაციური“ დანაშაულის შესწავლით, რადგან აღმოჩნდა ისეთი მოვლენის კვლევის წინაშე, რომელსაც თავის ანალიზში მონათლავს როგორც „სუბკულტურას“, ე. ი. როგორც გარკვეულ კრიმინალურ სამყაროს, რომელიც არის დამოუკიდებელი კულტურული ერთეული. ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ა. კონმა შექმნა სუბკულტურის თეორია, რომელიც დღემდე არ კარგავს ძალას და შეესაბამება ორგანიზებული დანაშაულის ფაქტებს.³

როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე სოციალური ცხოვრება ორგანიზებული დანაშაულობის გამო იძულებულ იყო, რომ გადაეხალისებინა თავისი ძალები.

1 P. Clark. Преступность в США. Изд-во «Прогресс», М., 1975, с. 93.
2 Г. Шнайдер. Криминология, Изд-во «Прогресс», Универс., 1994, с. 49.
3 A. K. Gohen, Deligent Boys, J II, 1955.

იუსტიციის არსებულ სამსახურებში წარმოიშენნ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ქვედანაყოფები. მოკვლევა ტარდებოდა სპეციალური ჯგუფებით და განსაკუთრებული მეთოდებით. თითქმის ყველა რგოლი ქმნიდა ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სპეციალურ სამსახურს. გამონაკლისი არც მრავალი ქვეყნის პარლამენტები იყვნენ, სადაც იქმნებოდა სპეციალური კომიტეტი ან დროებითი კომისია. სახელმწიფო ორგანოებს არ ჩამოშორდებოდა საზოგადოებრიობაც, რომელიც სხვადასხვა ფენების ან ჯგუფების ინიციატივის მეშვეობით ჩივისწრაფოდა დაცვის ახალი ფორმის ძიებისაკენ.

ორგანიზებული დანაშაულობის შესწავლა საქართველოში გამონაკლისი არ არის, ვინაიდან საბჭოური მოდელიდან თავისუფალი საზოგადოების მოდელისაკენ გადასვლამ წარმოშვა კულტურათა კონფლიქტი, ცხოვრების დონის დროებითი დაცემა, მოსახლეობის ფსიქოლოგიის შეცვლა და სხვა უარყოფითი მოვლენები, რაც ჯგუფური და მათ შორის ორგანიზებული დანაშაულობის ჩამოყალიბების წყაროა. აღნიშნული პრობლემის შესწავლა მეტად აქტუალურია და ითხოვს სერიოზულ მეცნიერულ მიდგომას, კვლევის პირველი ნაბიჯია მრავალი პრაქტიკული საკითხის გააზრება, შემდეგი მიმართულებით: ჯგუფური და მათ შორის ორგანიზებული დანაშაულობის ცნების განსაზღვრა, დანაშაულობის ამ ფორმების მდგომარეობის, მიზეზების ახსნა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ფორმირება და დაგეგმვა.

განვიხილოთ აღნიშნული მიმართულებები.

ჯგუფური და განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაულობის სირთულემ, თავის მხრივ, წარმოშვა განსხვავებული აზრები. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ერთიანი წარმოდგენა ორგანიზებული დანაშაულობის შესახებ. თუ დავაჯგუფებთ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, შეიძლება გამოვყოთ ორი მიდგომა: ფუნქციონალური და სტრუქტურული.

ფუნქციონალური ცნების მიმდევრები, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებენ კრიმინალური დაჯგუფებების ფუნქციებზე. მაგალითად, კრიმინოლოგ ა. ანს მიანჩია, რომ ორგანიზებული დანაშაულობა არის ტრადიციული არაფორმალური ოჯახური სისტემა, რომელიც წარმოიშვა გარკვეული კულტურული ღირებულებების სისტემის ფარგლებში. ავტორის მთელი გამოკვლევა ეძღვნება იტალიური „ოჯახების“ კონცეფციას.⁴ აღნიშნული გამოკვლევის შედეგები შეიძლება მისაღები იყოს იმ შემთხვევაში, თუ კრიმინალური სამყარო ორგანიზებულია ნათესაური კავშირით. მაგრამ პრაქტიკა იცნობს ისეთ ფაქტებსაც, როდესაც, მაგალითად, დაჯგუფება, რომელიც ეწევა „რეკეტს“, ორგანიზებულია „პროფესიონალიზმის“ ნიშნით.⁵

ა. მასკის აზრით, ორგანიზებული დანაშაულობა არის პროფესიულ დამნაშავეთა სისტემატური წარმონაქმნი, ე. წ. ფარდის მიღმა დამალული მეწარმეები.⁶

რუსი მეცნიერის ა. გუროვის აზრით, პროფესიული დანაშაულობა განსხვავდება ორგანიზებული დანაშაულობისაგან და მათ შორის არის შედარებითი დამთხვევა.⁷ აღნიშნული მოსაზრება არ იწვევს დავას, თუმცა ა. მასკის აზრით

4. A. Ganni, A family Business, London, 1972.

5 Ю. А. Вандин, Борьба с организованной преступностью в Украине: итоги и проблемы. Вестник межпарламентской ассамблеи, С.-П.-, 1995, с. 95—99.

6. A. Mack. The Crime Industry, Westmead, Farnborough, 1975.

7 А. И. Гуров. Преступность. Прошлое и современность, М., «Юрид. литература», 1995, с. 205—207.

მისაღება, რადგან ორგანიზებული დანაშაულობა არის მყარი და აქედან გამომდინარე, სისტემური წარმონაქმნი.

რ. კრესის მიაჩნია, რომ ჯგუფურ დანაშაულობათა შორის ორგანიზებული დანაშაულობა არის ისეთი საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც ემყარება ბიუროკრატიულ ზედნაშენს.⁸ აღნიშნული თვისების უარყოფა ძნელია, რადგან საკრთოდ, ე. წ. რიგით ჯგუფური დანაშაულობისგან განსხვავებით, ორგანიზებული დანაშაულობა, როგორც გვიჩვენებენ ემპირიული გამოკვლევები და სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო კომისიების დასკვნები, ყოველთვის ეძებს „მფარველებს“ სახელმწიფო სტრუქტურებში.

როგორც ვხედავთ, ფუნქციონალური მიდგომა, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებს ორგანიზებული დანაშაულის სოციალურ ფუნქციებზე. აღნიშნული კვლასაზრისი მეტად ნაყოფიერია კრიმინოლოგიური ანალიზისათვის. ამ მიმართულებით შეიძლება დადგინდეს ამ მოვლენის ადგილი და როლი საზოგადოებაში, მიზეზები და ტენდენციები, მაგრამ ფუნქციონალური მიდგომა ქმნის გარკვეულ სიძნელეს სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისათვის, რომელიც ითხოვს ზუსტ ნორმატიულ განსაზღვრას.

ჯგუფურ და ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საფუძველია მისი ცნება,⁹ რომლის ევოლუციის ეტაპები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდებიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყოთ ორი ეტაპი, რომელიც მნიშვნელოვანია ჯგუფური და განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაულის გაგებისათვის.

პირველი და მნიშვნელოვანი ეტაპია დანაშაულებრივი ორგანიზაციის შეთქმულების ამერიკული კონცეფცია, რომელიც გამოყენებული იყო ნიურბერგის პროცესზე, სადაც ფაქტობრივად, განისაზღვრებოდა ახალი ცნება — დანაშაულებრივი კავშირის ცნება. აღნიშნული კონცეფცია გადრამავდა 1992 წლის იტალიის კანონმდებლობით. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 416-ე მუხლით შემოღებული იყო მაფიოზური ტიპის დაჯგუფების ცნება.

1994 წელს საერთაშორისო კონფერენციამ ქ. ნეაპოლში განსაზღვრა რიგი არსებითი დებულება, რომელიც ზეგავლენას ახდენს თანამედროვე ნორმატიულ ზრუნებაზე.¹⁰ ამ მიმართულებით გამოიყოფა ჯგუფური დანაშაულობის სამი ფორმა: 1. ორგანიზებული ჯგუფი, 2. დანაშაულებრივი ორგანიზაცია და 3. დანაშაულებრივი კავშირი.

ორგანიზებულ ჯგუფს ახასიათებს ის თვისება, რომ მისი ხელმძღვანელი არის ერთდროულად დანაშაულის ორგანიზატორი. დანაშაულებრივი ორგანიზაცია ითვლება უფრო ძალოვან ფორმად. აქ რთულდება მისი მართვა. როგორც წესი, დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ არის კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ორგანიზატორი. ამ ფუნქციების განაწილებაც რთულია, კიდრე პირველი ფორმის ჯგუფში: ერთი მართავენ, ქმნიან ორგანიზაციას, მეორენი იღებენ კონკრეტულ დანაშაულს, მესამენი უზრუნველყოფენ ორგანიზაციის ფუნქციონირებას, დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციას, დაცვას და სხვ. მესამე ფორმაა — დანაშაულებრივი კავშირი და იგი ორგანიზებული დანაშაულობის უმაღლესი ფორმაა. მასაც გააჩნია პირველი და მეორე ფორმების ნიშნები, მაგრამ ახასიათებს კიდევ ახალი თვისება. ამ დონეზე დანაშაულებრივი

8. R. Cressey. Delinquency, Crime and Social Progress. New York, London, 1996.

9. იხ. პარლამენტის მრჩველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, 1997, №2, გვ. 41-45.

10. Национальное законодательство и его соответствие требованиям борьбы с различными формами организованной транснациональной преступности, Неаполь, 1994, 21—23 ноября. — Т/CONF 88еЗ, р. 9.



კავშირი არის ლიდერების საკოორდინაციო ორგანო. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ისეთი დონის ორგანიზაციას, როდესაც კრიმინალური სამყაროს „ხელმძღვანელები“ იკრიბებიან იმისათვის, რომ გაყონ თავისი საქმიანობის სფეროები, მოახდინონ კოორდინაცია და სხვ.

ჯგუფური დანაშაულობის და განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაულობის ცნების აგებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება: მხედველობაში გვაქვს კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა არ არის ტრანსფორმირებული კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობაში.¹¹

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სეპარატიზმის პრობლემა.¹² უდავოა, რომ სეპარატიზმი არის დანაშაულებრივი საზოგადოების უმაღლესი ფორმა: ამიტომ ფორმათა კლასიფიკაციაში მას უნდა მიეკუთვნოს სპეციალური ადგილი.

ჩვენ აღვნიშნეთ ზოგადად ის სურათი, რომელიც ასახავს თანამედროვე ძიებებებს ცნებისადმი. როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით, არ არის მიღწეული საბოლოო ცნების ვარიანტი. მაგალითად, 1991 წელს ქ. სუზდალში (რუსეთის ფედერაცია) გაერთიანებული ერების საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო ორგანიზებული დანაშაულის შემდეგი ცნება: ორგანიზებული დანაშაულობა არის დამნაშავეთა მართვადი, მყარი კავშირების ფუნქციონირება, რომლებიც იღენენ დანაშაულს როგორც ბიზნესს, ქმნიან სოციალური კონტროლისაგან დაცვით სისტემას, კორუფციის საშუალებით.¹³ აღნიშნული ცნება უფრო კრიმინოლოგიურია, ვიდრე სისხლის სამართლებრივი და ამიტომ მისი ნორმატიული განსაზღვრა ჯერჯერობით არ არის დასრულებული. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორგანიზებული დანაშაულის ცნებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი კონსტრუქცია: ორგანიზებული დანაშაული, ე. ი. დანაშაულის ჩადენის მიზნით ჯგუფის ორგანიზება. აღნიშნული დელიქტის ძირითადი თვისებაა — ორგანიზატორის სუბიექტური დამოკიდებულება ორგანიზაციის შექმნისადმი. კონსტრუქცია უნდა აიგოს უკორმალური ნიშნით. არა აქვს მნიშვნელობა ჯგუფის წევრის მიერ დანაშაულის ჩადენის ხასიათს, მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა — შეთქმულება ორგანიზატორთა მიერ უნდა იყოს შეთქმულება დანაშაულთა ჩადენის შესახებ. კრიმინოლოგიური ცნება ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისათვის. მაგალითად, კავშირში მონაწილეობს თუ უბრალო ჯგუფში და სხვ.

11 В. П. Попов. Сотрудничество государств в борьбе с международными уголовными преступлениями, Н., 1993, стр. 13—16.

12. იხ. გ. თოდრა. დანაშაულობის ორგანიზებული ფორმირების ზოგიერთი საკითხი, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, 1997, № 3, გვ. 14.

13 «Криминология», М., 1995, стр. 258.

პაატა კობალაძე

პრონოსის მონაწილეთა უფლებების განხორციელების ზოგიერთი პრობლემატიკა საბიძხო წინასწარ გამოძიებაში

სისხლის სამართლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის საფუძველზე საქართველოში მართლმსაჯულება ხორციელდება მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე. ტერმინი „მოქალაქე“, ჩვენი აზრით, გულისხმობს და მოიცავს პროცესის მონაწილეებსაც, ხოლო მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, შესაბამისად კი სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელება. ასე ამ უფლებების რეალიზაცია უნდა ხდებოდეს თანასწორობის პრინციპით.

მართლმსაჯულების განხორციელებაში უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლებრივი დევნა, მომხდარ ყოველ დანაშაულის ფაქტზე უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, პიროვნებას წარედგინოს ბრალდება ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის, ხოლო წინასწარი გამოძიების პროცესში მიღებული იქნას ყველა ზომა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის.

ამავე პროცესში ხდება პროცესის მონაწილეთა გამიჯვნა: ე. ი. გარკვევა, თუ რომელმა პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლებრივი ქმედება (დანაშაული) და რომელ პირს მიადგა ზიანი დანაშაულებრივი ქმედებით. — ანუ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან პროცესის ორი მონაწილე — ბრალდებული და დაზარალებული.

პროცესის ამ მონაწილეთა უფლებების დაცვა კი, ჩვენი აზრით, წინასწარი გამოძიების პროცესში არათანაბარზომიერად ხორციელდება და სასწორი ამკარად იხრება ბრალდებულის სასარგებლოდ, ხოლო შესაბამისად კნინდება დაზარალებულის უფლებები.

თვალსაჩინოებისათვის ისევ და ისევ დღეისათვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი¹ გამოგვადგება: 25-ე მუხლის თანახმად, ბრალდებული ნიშნავს პირს, რომლის მიმართ გამოტანილია დადგენილება მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ბრალდებულის სახით.

47-ე მუხლი განსაზღვრავს დაზარალებულის ცნებას — ასეთად ჩაითვლება პირი, რომელსაც დანაშაულმა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიყენა.

ბრალდებულს (სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე კი — ეჭვმიტანილს) მე-17 მუხლის საფუძველზე აქვს დაცვის უფლება. მომკვლევნი პირი, გამოძიებელი, პროკურორი და სასამართლო მოვალენი არიან უზრუნველყო

1 „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, თბ., 1997.



ექვემოტანილისა და ბრალდებულისათვის კანონით დადგენილი საშუალებებით და ხერხებით დაცვის უფლება.

ამ გარანტიების უზრუნველსაყოფად ბრალდებულს მინიჭებული აქვს უფლება იყოლიოს დამცველი, ე. ი. პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილია დაიცვას ბრალდებული (ექვემოტანილი) და გაუწიოს მას იურიდიული დახმარება.

დაზარალებულს თავისი უფლება-გარანტიების განსახორციელებლად შეუძლია წინასწარ გამოძიებაში წარადგინოს პირი, რომელსაც კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად „დაზარალებულის წარმომადგენელი“ ეწოდება — ესენი შეიძლება იყვნენ ადვოკატთა კოლეგიის წევრები, დაზარალებულის ახლო ნათესავეები, ნათესავები, მეურვე და სხვ.

ამდენად, დამცველი და დაზარალებულის წარმომადგენელი მოწოდებულნი არიან დაიცვან ბრალდებულისა (დაცვის ქვეშ მყოფის) და დაზარალებულის (მარწმუნებლის) იურიდიული ინტერესები.

ამ შემთხვევაში ყველაფერი რიგზეა, გამართული და გაწონასწორებულია პროცესუალურად, მაგრამ რეალურად როგორ ხორციელდება ამ იურიდიული ინტერესების სამართლებრივი დაცვა?

წინასწარ გამოძიებაში ბრალდებულსა და დაზარალებულს, როგორც პროცესის მონაწილეებს, აქვთ რიგი ერთნაირი უფლებებისა, კერძოდ:

ბრალდებულს უფლება აქვს იცოდეს, რას სდებენ ბრალად და მისცეს ახსნა-განმარტება მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ.

ასევე, დაზარალებულს უფლება აქვს იცოდეს გამოძიების თვალსაზრისი მისი დაზარალებულად ცნობის მოტივზე (ე. ი. გამოძიების აზრით რა სახის ზიანი მიეყენა მას) და უფლება აქვს მისცეს ჩვენება საქმეზე.

ბრალდებული და დაზარალებული ეცნობიან დადგენილებებს, ერთი მხრივ, ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის და მეორე მხრივ, დაზარალებულად ცნობის შესახებ, და გამოძიებლის მიერ განემარტებათ მათი უფლება-მოვალეობანი.

ბრალდებულს, ისევე როგორც დაზარალებულს, უფლება აქვს წარადგინოს ძტიციებულებები; განაცხადოს შუამდგომლობები; განაცხადოს აცილება; შეიტანოს საჩივარი მომკვლევი პირის, გამოძიებლის, პროკურორის მოქმედებებზე; გაეცნოს საქმის ყველა მასალას წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ.

ბრალდებულისა და დაზარალებულის ზემოთ ჩამოთვლილი, ურთიერთთანხვედრი უფლებები წინასწარი გამოძიების პროცესში, ჩამოყალიბებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 42-ე და 47-ე მუხლებში.

ეს არის და ეს. პროცესის მონაწილეთა უფლებების თანასწორობა ამით ამოცნურება. ირკვევა, რომ ბრალდებულის და მისი დამცველის უფლებათა წრე უფრო ფართოა მოცულობით და არსით, ამკარად აღემატება დაზარალებულისას, კერძოდ:

სსსკ² 42-ე მუხლში ჩამოყალიბებული ბრალდებულის უფლება — გაეცნოს საქმის მასალებს მხოლოდ წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან — ამკარად ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან სსსკ 46-ე მუხლის საფუძველზე ბრალდებულის დამცველს ენიჭება უფლება, ბრალდების წარდგენის მომენტიდან პირისპირ შეხვდეს ბრალდებულს, დაესწროს ბრალდების წაყენებას,

2. იქვე.

პონაწილეობა მიიღოს მის დაკითხვაში, აგრეთვე დაზარალებულის დაკითხვაში და ყველა იმ საგამომიებო მოქმედებაში, რაც ხორციელდება დასაცავის მონაწილეობით.

მასვე უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ საგამომიებო მოქმედებებშიც, რომლებიც ხორციელდება ბრალდებულის ან თვითონ დამცველის შუამდგომლობით (სსსკ 46-ე მუხლის II პუნქტი).

ესე იგი, ბრალდებულის დამცველი მონაწილეობს მრავალ საგამომიებო მოქმედებაში, საქმის კურსშია ყველა ამ მოქმედების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, ხოლო ვინაიდან მასვე უფლება აქვს პირისპირ შეხედეს ბრალდებულს რაოდენობისა და დროის ხანგრძლივობის შეუზღუდავად, იგი ამ შეხვედრების დროს აცნობს მის დასაცავს ხსენებულ საგამომიებო მოქმედებათა შესახებ, და ამდენად, ბრალდებული საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე დეტალურად იცნობს საქმის ძირითად მასალებს.

აქედან გამომდინარე, ბრალდებული მთელ რიგ საკითხებსა და შუამდგომლობებს გამოძიების წინაშე აყენებს არა ვარაუდებით, არამედ ისინი დაფუძნებულია საქმის რეალურ მასალებზე.

ამის საპირისპიროდ დაზარალებულის წარმომადგენელს არ გააჩნია არავითარი უფლება, დაესწროს არათუ ბრალდებულის დაკითხვას ან სხვა საგამომიებო მოქმედებებს, არამედ იგი ვერ ესწრება მისი შუამდგომლობით დაყენებული საკითხების გამოძიების მიერ შემოწმების მიმდინარეობასაც; თანაც, რადგან არ იცნობს საქმის მასალებს, ამ შუამდგომლობებს დაზარალებული და მისი წარმომადგენელი აყენებენ უფრო ვარაუდებზე და ყურმოკრული ცნობების საფუძველზე, განსხვავებით ბრალდებულისა და მისი დამცველისაგან.

უფრო მეტიც, დაზარალებულის წარმომადგენელს არ აქვს უფლება დაესწროს თვით დაზარალებულის დაკითხვასაც კი, მაშინ, როცა ბრალდებულის დამცველი არა მარტო ესწრება დაზარალებულის დაკითხვას, არამედ შეუძლია შეკითხვებიც დაუსვას მას (და როგორც უკვე ითქვა, არა მარტო მას), წერილობით შეიტანოს შენიშვნები გაკეთებული ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის შესახებ.

გარდა ბრალდებულისა, პროცესის მონაწილე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც თუმცა ვერ ბრალდება არ წაყენებია, მაგრამ არსებობს რეალური ეჭვი მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, — ანუ ეჭვიმითანილი.

ეჭვიმითანილის სახით პირის დაკავების მომენტიდან, მას გააჩნია უფლება წოითხოვს მისი ინტერესების იურიდიული დაცვა. გამოძიება ვალდებულია დაკავებული ეჭვიმითანილი დაკავებიდან (ე. ი. სათანადო ორგანოში მისი წარდგენის წომენტიდან) არაუგვიანეს 6 საათის განმავლობაში უზრუნველყოს რეალური დაცვით.

ამ შემთხვევაში დამცველს უფლება აქვს გაეცნოს დაკავებული ეჭვიმითანილი პირის ახსნა-განმარტებას, დაკითხვას, დაკავების ოქმს, ამოიწეროს სათანადო ცნობები, რომლებიც უშუალოდ ეხება მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესებს.

ამდენად, ასეთ შემთხვევაში (რაც საკმაოდ ხშირია) დამცველი საქმეში ერევა, მონაწილეობს საგამომიებო მოქმედებებში და გამოძიების მიმდინარეობაზე სრულ (ან თითქმის სრულ) რეალურ ინფორმაციას ფლობს პირველივე ეტაპიდან, რა ინფორმაცია და მონაცემებიც მისგან ცნობილი ხდება ეჭვიმითანილისათვის და ბრალდებულისათვის მათი პირისპირ შეუზღუდავი შეხვედრების დროს, რაც მათ საშუალებას აძლევს, დასაცავის მოქმედებანი და ჩვეულებანი წარმართონ თავიანთი ინტერესების სასიკეთოდ და, პარალელურად, დაზარალებ-



ბულისა და გამოძიების ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც აძნელებს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრალდებულის დამცველს, რომელიც საქმის მასალებს ეცნობა გამოძიების დამთავრების მომენტიდან (როგორც ითქვას, იგი ამ მასალების უმრავლესობას ისედაც იცნობს გამოძიების პირველივე ეტაპიდან), უფლება აქვს საქმის მასალებიდან გადაიღოს მთელი რიგი სავაჭაროებო მოქმედებების ასლებიც კი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-5, მე-7 პუნქტში ჩამოყალიბებული, საკმაოდ ვრცელი წრე უფლებამოსილებებისა, რაც გააჩნია ბრალდებულის დამცველს და რაზედაც საუბარი იყო ზემოთ, აბსოლუტურად ხელმიუწვდომელია დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლისათვის. მათთვის ხსენებული უფლებები, უბრალოდ რომ ითქვას, არ არსებობს.

ყურადღებამისაქცევია ერთი გარემოებაც: როდესაც გამოძიება პირს წაუყენებს ბრალდებას, მანვე უნდა შეუჩინოს ბრალდებულს ესა თუ ის ალკვეთის ღონისძიება, თუკი გამოძიებას მიაჩნია, რომ ბრალდებულის საზოგადოებისაგან იზოლირება აუცილებელია, მან შუამდგომლობით უნდა მიმართოს მოსამართლეს ბრალდებულის მიმართ ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე ბრძანების გასაცემად.

როცა მოსამართლე იხილავს გამოძიების ამ შუამდგომლობის დასაბუთებულობას, სასამართლოს სხდომაზე აუცილებლად უნდა მოიწვიოს ბრალდებული, ნათი თხოვნით.

ბრალდებულს და მის დამცველს წარედგინებათ სისხლის სამართლის საქმის მასალები, ბრალდებული დაიკითხება და სასამართლო მასთან ერთად (ე. ი. მისი თანდასწრებით) იხილავს და იკვლევს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებაზე; ამავე დროს ბრალდებულსა და მის დამცველს შესაძლებლობა ეძლევათ მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

ასეთ შემთხვევებში, ე. ი. ბრალდებულის მიმართ პატიმრობის შერჩევის საკითხის სასამართლოში გადაწყვეტისას (სსსკ 88-88² მუხლები) საერთოდ იგნორირებულია დაზარალებულის პიროვნება და მისი უფლებები; იგი არათუ ვერ გამოთქვამს თავის მოსაზრებას ბრალდებულის დაპატიმრების აუცილებლობაზე, არამედ ამ საკითხის სასამართლოში განხილვის პროცესში დასწრება-მონაწილეობის უფლებაც კი არ გააჩნია.

ასე რომ, ნათლად ჩანს, თუ როგორი აშკარა შეუსაბამობაა, ერთი მხრივ, ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) და მეორე მხრივ — დაზარალებულის უფლებების შორის.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის³ (დამტკიცებული იყო 1961 წელს) სათანადო მუხლებით ეს შეუსაბამობა აშკარად არ იგრძნობოდა, პროცესის მონაწილეთა უფლებების ურთიერთმიმართება შედარებით გაწონასწორებული იყო.

დღეისათვის მოქმედი კოდექსით (ცვლილებებით და დამატებებით 1997 წლის 1 აპრილამდე, რომელშიც დამატებითი ცვლილებები შევიდა 1997 წ. 25 (ოქტომბერსაც⁴) ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის, ასევე მათი დამცველის უფლებები აშკარად და საგრძნობლად გაზრდილია.

3 „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, თბ., 1985.

რა თქმა უნდა, არ ვამბობთ, რომ ბრალდებულის უფლება-გარანტიები უნდა დარჩენილიყო 60-იანი წლების დონეზე და მას არ უნდა განეცადა ის ცვლილებები, რაც ცივილიზაციას, ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და გლობალურ სამართლებრივ რეფორმებს სდევს თან, — ამ რეფორმების ერთ-ერთი ძირითადი ლაიტმოტივი ხომ ადამიანის, პიროვნების (მათ შორის, ცხადია, ბრალდებულის) უფლებების განუხრელი დაცვაა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ბრალდებულის უფლებათა სფეროს მკვეთრი ზრდა არ უნდა მომხდარიყო პროცესის მეორე მონაწილის — დაზარალებულის — უფლება-გარანტიათა დაკნინების ხარჯზე. თანასწორობის პრინციპი დაცული უნდა ყოფილიყო თუნდაც დაზარალებულის უფლებების თანაბარზომიერი ზრდით, ბრალდებულის უფლებებთან მიმართებაში და მის პარალელურად.

ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საქმე გვაქვს კანონმდებლობის ხარვეზთან, რაც სამართლებრივი რეფორმების გატარებისა და დამოუკიდებელი, მაღალცივილიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების რთულ გზაზე აუცილებლად უნდა შეივსოს.

4 საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 12 ნოემბრის ბრძანებულება „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა, 1997 წლის 25 ნოემბერი.

დავით გოსტოლანაშვილი

ოჯახის გაყრის ნებსები აზოვსაჰლეთ საქართველოში

ქიზიყის ჩვეულებითი საქართველოს მიხედვით
XIX ს. II ნახევარში

ქიზიყის სოფლებში XIX საუკუნის 80-იან წლებში მრავალსულიანი ოჯახების (40—60 სული) რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა და მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ სოფელში (სულ 22 სოფელი; დღევანდელი სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები) ისინი ჯერ კიდევ არსებობდნენ, განიცდიდნენ შემდგომი შემცირების ტენდენციას. ამის თაობაზე გაზ. „ივერია“ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „...ეს ერთი თვეა, რაც ჩვენს მაზრაში (სიღნაღის მაზრა. — დ. ბ.) დაიწყო საკომლო სიების შედგენა. როგორც ზოგიერთა ახალ შედგენილს სიებიდან ჩანს, ძველ საკომლო სიებთან შედარებით, კომლთა რიცხვმა საშინლად იმატა. იმ სოფელში, სადაც ირიცხებოდა ძველი საკომლო სიებით ხუთასი ანუ ექვსასი კომლი, ახლა ათას კომლამდე აღმოჩნდა. ბევრგან ერთი კომლი ათად არის გაყრილი და ისეთი ოჯახი ზომ იშვიათია, რომ ორ კომლად არ იყოს გასული“.¹

არსებითად იგივეს წერდა, საკვლევ პერიოდში, ა. არღუთინსკი ქიზიყის სოფლებზე: „ოჯახების გაყრამ, რომელიც ძველად იშვიათ გამოჩაჩისის წარმოადგენდა, ბოლო დროს საკმაოდ დიდი გავრცელება ჰპოვა. გაყოფა დაიწყო არა მარტო დიდმა ოჯახებმა, არამედ ისეთებმაც, რომლებიც მხოლოდ 5-6 წევრისაგან შედგებოდა“.² იგი ოჯახების გაყრის მიზეზებად ასახელებს კომლში შრომის დანაწილების გაღრმავებას, დარგობრივი სპეციალიზაციის განვითარებას, ასევე ოჯახის უფროსის ავტორიტეტის შერყევასა და ახალ პირობებში (იგულისხმება ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრება) დიდ ოჯახებად ცხოვრების მოუხერხებლობას. ამ უკანასკნელის ძირითად მიზეზად, ჩვენი აზრით, გვევლინება აგრეთვე მიწების პერიოდული გადანაწილების გავრცელება. მიწების გადანაწილებისას ათვლის ერთეული იყო კომლი. თითოეულ კომლზე მიწის თანაბარი ნაკვეთების შეხვედრისას, ბუნებრივია, მრავალსულიანი ოჯახები წამგებიან მდგომარეობაში ხვდებოდნენ. სწორედ ეს მიზეზი უბიძგებდა დაშლისაკენ არა მარტო მრავალსულიან, არამედ უფრო მცირერიცხოვან ოჯახებსაც.

როგორც მოკვლევული მასალებიდან ჩანს, ოჯახის გაყრა ყოველთვის ხდებოდა მედიატორებისა და მამასახლისის თანდასწრებით. „რადგანაც გაყრის წე-

1. გაზ. „ივერია“, 1886, № 147.

2. Д. М. Аргутинский, Материалы для изучения экономического бытия государственных крестьян Закавказского края, т. VI, Тб., 1886, стр. 218.

სები დადგენილია ჩვეულებებით, მედიატორების როლი გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ ისინი აღწერენ და აფასებენ მთელ ქონებას, აფორმებენ გაყრას და ხელს აწერენ მამასახლისთან ერთად“.³

ჩვეულებებით დადგენილ გაყრის წესებს გლეხებისათვის გააჩნდათ თითქმის კანონის ძალა და მათგან გადახვევა დაიშვებოდა მხოლოდ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში. გაყრისათვის სოფლის საზოგადოების (ე. ი. ყრილობის, როგორც წყვეტდა ადგილობრივი მნიშვნელობის ღმერთველობის საკითხებს) თანხმობა არ იყო საჭირო; მიწების გადანაწილებისას ისინი მიიღებოდნენ როგორც დამოუკიდებელი ერთეულები.⁴

გაყრისას მედიატორები და მამასახლისი იღებდნენ გასამრჯელოს. ზოგიერთ სოფლებში მათთვის დაწესებული იყო დღეში ერთი მანეთი თითოეულზე, ზოგან კი გაყრის დამთავრებისას მათ აძლევდნენ რაიმე საჩუქარს — ძროხას, ხარს ან ცხვარს, შეძლების მიხედვით.⁵

ოჯახის გაყრისას სისხლისმიერი პრინციპი ვრცელდებოდა მხოლოდ მამა-პაპეულ ქონებაზე, ხოლო შექმნილი ქონება ნაწილდებოდა ოჯახის წევრების შივთ, საერთო შრომაში მიღებული მონაწილეობის მიხედვით.

სახლი, ბაღა — კარ-მიდამო და ბაღ-ვენახი თანაბრად იყოფოდა ძმებზე, მშობლები, თუ ისინი უკვე მოხუცები იყვნენ, იღებდნენ „სადიდოსა“ და „სამარხს“ („სამკვდროს“). ხოლო გასათხოვარი და იღებდა მზითევს. მამას, თუ ის არც ისე მოხუცი იყო, ასევე გასათხოვარ დას, შეიძლებოდა მიეღო ძმების (ვაჟების) თანაბარი წილი. გლეხები ამას „წილში ჩადგომას“ უწოდებდნენ, რაც თავის მხრივ, ორი სახისა გვხვდება: ღარიბ ოჯახებში, ძმები, თავიანთი „სარფის“ გულისათვის მოიწადინებდნენ დისა და მამის წილში ჩადგომას, ვინაიდან ეს უფრო ნაკლები ღირებულებისა გამოდიოდა, ამას „ძმად ჩაყენება“ ერქვა: ხოლო მდიდარ ოჯახებში, იმ აზრით, რომ ოჯახიდან მეტი გაეტანათ, მშობლები და და წილში ჩადგომის ინიციატორებად გამოდიოდნენ, ამას „ძმად ჩადგომას“ ეძახდნენ. წილში ჩადგომა, როგორც ჩანს, არ ყოფილა მიღებული⁶. თუ ქონება სცირე იყო, შეიძლებოდა მშობლებისა და დისთვის „წილის ამოგება“, ე. ი. საერთოდ არაფრის არ მიცემა. ასეთ შემთხვევაში ძმები თანასწორად გაიყოფდნენ და მშობლებს ჯერ-ჯერით შეინახავდნენ სიკვდილამდე, დამარხვით კი საერთო ხარჯით დამარხავდნენ. იგულისხმება, გასათხოვარი დის მზითევსაც მეტ-ნაკლებად ერთად შეათავებდნენ. ამას გარდა, შესაძლოა მომხდარიყო ისეც, რომ რომელიმე ძმა, თუ ის ნასწავლი იყო, თავისი ნებით უწილოდ გავიდოდა სახლიდან, ე. ი. წილს არ აიღებდა, რადგანაც მის სწავლაზე ფული იყო დახარჯული და თან სახლში მონაგრებაც არა ჰქონდა; ადათით კი მამაპაპეული ქონებიდან მას წილი ერგებოდა და შეეძლო აეღო კიდევ.⁷ ამას „უწილოდ გასვლა“ ეწოდებოდა.

თუ მამა ვაჟების თანაბარ წილს მიიღებდა, მაშინ დედა გაყოფისას არაფერს იღებდა, ხოლო თუ იგი სამკვდროსა და სადიდოს მიიღებდა, ასეთსავე სამკვდროსა და სადიდოს მიიღებდა დედაც.⁸ სამარხი (სამკვდრო) შეიძლება ყოფილიყო ფული, ორიოდე ძროხა, რამდენიმე ცხვარი და ასე შემდეგ, შეძლების მიხედვით. ეს ხელუხლებლად ითვლებოდა და ვერავინ მიეკარებოდა. მათ მხოლოდ

3. იქვე, გვ. 219.
 4. იქვე, გვ. 221.
 5. იქვე, გვ. 219.
 6. სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
 7. იქვე.
 8. დ. არლუთინსკის დასახ. ნაშ., გვ. 220.



დამარხვის დროს დაკლავდნენ. ამას გარდა მშობლები იღებდნენ სადილოსაც, ეს იყო სიკვდილამდე სამყოფი ნაწილი ქონებისა. სიკვდილამდე მშობლები საცხოვრებლად გადადიოდნენ ერთ-ერთ ვაჟთან, რომელსაც შეეძლო გამოეყენებინა მშობლებისათვის გამოყოფილი სადილო.

გასათხოვარი და, თუ მას მხოლოდ მზითევი მიეცემოდა, იღებდა ორას, ას, ორმოცდაათ მანეთს, ე. ი. ვისაც რამდენი შეეძლო.⁹ ნებისმიერ შემთხვევაში იგი საცხოვრებლად გადადიოდა რომელიმე ძმასთან, რომელიც სარგებლობდა დის წილით, ხოლო გათხოვებისას ვალდებული იყო სრულად ჩაებარებინა მისთვის მზითევი. ქალიშვილი, რომელიც ოჯახის გაყრამდე გათხოვდებოდა და მიიღებდა თავის მზითევს, ოჯახის გაყრისას არავითარი წილი არ ერგებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ უკანონო და „შვილად მოკიდებული“ (შვილად აყვანილი) ბავშვები თანაბარი იყვნენ კანონიერად შობილ შვილებთან.¹⁰

მას შემდეგ, რაც მშობლებსა და დებს გამოეყოფოდათ თავიანთი წილი (საბარხი, სადილო, მზითევი), დარჩენილ ქონებას ძმები თანაბრად იყოფდნენ; თუმცა ძმების თანხმობით, საერთო ქონებიდან შეიძლებოდა წინდაწინ გადაედოთ ნაწილი და უფროსი ძმისთვის მიეკუთვნებინათ. ამას „საუფროსო“ ერქვა. თუ უფროსი ძმა საუფროსოს აიღებდა, მაშინ მცირეწლოვან ძმას (ან ძმებს) „საუმცროსო“ ეძლეოდა, იმდენი, რამდენიც მას დავაჟაკებამდე ეყოფოდა; საუმცროსო ეძლეოდა „ქონების კვალობაზე და ასევე ძმების შეთანხმებით“.¹¹

ამას გარდა, თუ რომელიმე ძმას ცუდი წილი შეხვდებოდა, ან მის მამულზე გზა გადიოდა, ან „საღვარე“¹² მამული იყო, მაშინ მას „საუარესოს“, იგივე სართს, ანუ ცოტა მეტ წილს აძლევდნენ.

სახნავი მიწა, ხელახალ გადანაწილებამდე იყოფოდა მუშახელის რაოდენობაზე.

საქონელი თანაბრად ნაწილდებოდა „მკლავზე“. ე. ი. ყველა 15 წელს გადაცილებულ, შრომისუნარიან მამაკაცზე. ამ შემთხვევაში, თუმცა საქონელი შეიძლება ყოფილიყო მამა-პაპულიც, მაგრამ მკლავზე იყოფოდა, ვინაიდან, გლეხების განმარტებით, ყველა მოზრდილს, რომელიც უვლიდა მათ, გააჩნდა თანაბარი უფლებები. ამასთან სძირს, თუ ის ძირითადად უვლიდა საქონელს (ცხვარს), მისი გაყოფისას ხვდებოდა უფრო მეტი წილი, ვიდრე დანარჩენ მუშახელს.

ღვინო, ქერი, მატყლი, ყველი ე. ი. ის მთავარი ქონება, რომელთა გაყიდვიდან შემოსული შემოსავლებით ძირითადად ხდებოდა გადასახადების გადახდა, ასევე როგორც საქონელი, იყოფოდა მკლავზე.

ჭამადი (ხორბალი, ფეტვი, მარილი და სხვა) ნაწილდებოდა თანაბრად ყველა სულზე. ამასთან, თუკი ოჯახში იყვნენ ორსული ქალები, ათვლისას მხედველობაში მიიღებოდა ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვებიც.

იარაღი, ასევე სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოები, იყოფოდა მუშახელთა რაოდენობაზე. თუკი ოჯახის რომელიმე წევრი დაკავებული იყო რაიმე სპეციალური სამუშაოთი, მაშინ მისთვის საჭირო იარაღებიდან მას ეკუთვნოდა უფრო ღიდი წილი, ან შეიძლება ეს იარაღი მთლიანად მისთვის მიეკუთვნებინათ. მაგალითად, გუთანი მთლიანად გადადიოდა მეგუთნის საკუთრებაში. თუკი რაიმე

9. იხ. ბ. ნანობაშვილის საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1988.
 10. დ. არღუთინსკის დასახ. ნაშრომი, გვ. 220.
 11. სტ. მენთეშაშვილის დასახ. ნაშრ.
 12. ხევის პირას მდებარე მამული, რომელსაც ღიდი წვიმების დროს ნიაღვარი გადაუვლის ან შეიძლება გადაუაროს.

მიზეზით ამა თუ იმ საგნის შექმნაში რომელიმემ არ მიიღო მონაწილეობა, ამ შემთხვევაში მოცემული საგნიდან მას წილი არ ეკუთვნოდა.

ჭურჭელი შემდგენიერად წაწილდებოდა: სპილენძის (ძირითადად, მამა-პაპეული) მუშახელთა რაოდენობაზე, თიხისა კი — ყველა სულზე, ხოლო ზოგიერთ სოფელში — ყველა მდებრობითი სქესის სულზე.¹³

გარდაცვლილი ვაჟის ქვრივი თუკი მას ჰყავდა შვილები, იღებდა ქმრის სრულ წილს. თუ მას არ ჰყავდა შვილები ან მეორედ გათხოვდებოდა, მაშინ ქმრის წილიდან იგი იღებდა 1/4 უძრავ და 1/7 მოძრავ ქონებას. ამ უკანასკნელს გლეხები „ნაშვიდალს“ უწოდებდნენ. ჩვეულებრივ მიღებული იყო, რომ უვაჟო ან ძალიან წვრილშვილიანი ქვრივის სახლში, მეურვეს დაუნიშნავდნენ ობლებს, ქონებას აღწერდნენ, რაც ვაჟის დავაჟკაცებისას, ხოლო ქალების გათხოვებისას, ძლიანად უნდა ჩაებარებინათ ობლებისათვის (ქალიშვილს შეიძლება მხოლოდ წვრილშვილი მიეცემოდა).

ოჯახში შემოსული სიძე¹⁴ თუკი მისი ოჯახში შემოსვლისას არ იქნებოდა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ იგი ისარგებლებდა ვაჟებთან გათანაბრებული უფლებებით, ოჯახის გაყრისას იღებდა მხოლოდ იმას, რაც მუშახელთა რაოდენობაზე გაიყოფოდა.

ფული და ვალი, თუკი ის მამაპაპეული იყო, იყოფოდა იმავე საფუძველზე, როგორც სახლი და კარ-მიდამო, ხოლო თუ მათი წარმოშობა უფრო მოგვიანო პერიოდში მოხდა, მაშინ იყოფოდა მუშახელთა რაოდენობაზე.¹⁵

ქიზიყის ჩვეულებით სამართალზე მუშაობისას ყურადღება მიიქცია ოჯახის გაყრის წესების დახვეწილობამ, რაც განპირობებული უნდა იყოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათი მოქმედებით. ამასთან გამოიკვეთა ზოგიერთი ისეთი ნაკლებად ცნობილი ინსტიტუტი, როგორცაა მაგალითად: „წილში ჩადგომა“, „წილის ამოღება“, „სადიდო“, „საუარესო“ და სხვა. ვფიქრობთ, ამ საკითხის შემდგომი კვლევა საინტერესო იქნება მთლიანად ქართული ჩვეულებითი სამართლის შესწავლის თვალსაზრისითაც.

13. დ. არლუთინსკის დასახ. ნაშრ., გვ. 220.

14. უძველესი მშობლები მემკვიდრის უყოლობისას თუ მუშახელის არყოლის გამო, ქალს გარეთ კი არ გაათხოვებდნენ, არამედ სიძეს თავის სახლში მოიყვანდნენ; ასევე, წვრილშვილი ქვრივი ქალი ქმარს თავისი პირველი ქმრის სახლში მოიყვანდა. ქალიშვილის სახლში მოყვანილ ქმარს ზედსიძე ექვა. ხოლო ქვრივი ქალის სახლში მოყვანილ ქმარს — მამულზე მოყვანილი (სტ. ბენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი).

15. დ. არლუთინსკის დასახ. ნაშრ., გვ. 221.

შარშან პროფესორმა ლადო კანტურიამ გამოაქვეყნა საინტერესო და საკურო წერილი სა-
მოსამართლო სამართლის პრობლემებზე („სამართალი“ № 9-10, გვ. 44-58). რომელშიც განხი-
ლულია თანამედროვე სამართლის ზოგიერთი ტენდენცია. სამწუხაროდ, მასში მცდარი დებუ-
ლებაც გვხვდება. სახელდობრ, გატარებულია აზრი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს
პლენუმს დღემდე უფლება აქვს „ნორმატიული ხასიათის მითითებები მისცეს ქვემდგომ სასა-
მართლოებს. ამით მოსამართლეთა დამოუკიდებლობას ეცლება საფუძველი“. (გვ. 58).

მკითხველს ვაუწყებთ, რომ უზენაესმა სასამართლომ თვითონვე განაცხადა უარი ამა თუ
იმ კატეგორიის საქმეებზე სახელმძღვანელო განმარტებათა მიღება-გამოცემაზე, ადრე მიღებუ-
ლებს კი ყურნალის დასაბეჭდად ხელმოწერამდე (21.08.97) დიდი ხნის წინ უკვე დაკარგული
ჰქონდა ნორმატიული ძალა. ეს გარემოება სათანადოდ ასახულია ახალ კანონმდებლობაში. ჭერ
ერთი, 1999 წლის 29 ოქტომბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ უზენაესი სასამარ-
თლოს დადგენილებებს არ მიიჩნევს ნორმატიულ აქტად; მეორე, საქართველოს 1997 წლის
13 ივნისის ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ უზენაესი სასამართლო
საერთოდ აღარ გამოსცემს პლენუმის დადგენილებებს (სახელმძღვანელო განმარტებებს) სასა-
მართლო პრაქტიკასთან მიმართებაში. საამისოდ იგი შემოიფარგლება მხოლოდ რეკომენდაცი-
ებით, რომელთაც არ გააჩნია სავალდებულო, ნორმატიული ძალა (სხვათა შორის, პოლონეთი
და უცხოეთის ზოგიერთი სხვა ქვეყანა ინარჩუნებს ძველ სისტემას).

როგორც ჩანს, ავტორმა ველარ მოასწრო გაეთვალისწინებინა აღნიშნული ცვლილებანი სა-
ქართველოს ახალ კანონმდებლობაში. მართალია, შემდგომში ეს უთუოდ გამოსწორდება (იქნებ
გამოსწორდა კიდევ); მაგრამ, ეს რეპლიკაც აუცილებელი იყო, ვინაიდან ყურნალის ნომერი
ცალკე გამოცემაა, რომელსაც დამოუკიდებლად შეიძლება გაეცნოს და ენდოს კიდევაც მკით-
ხველი.

სამართლებლო უზენაესი სასამართლო.



ავტორთა საყურადღებოდ!

1998 წლის 1 იანვრიდან შურნალ „სამართლის“ რედაქცია
აღარ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და იგი გადავიდა (სამე-
ურნეო ანგარიშზე, ე. ი. მან, კირითადად, უნდა იარსებოს სა-
ავტორო გადასახადების სარჯზე, რათა დაიფაროს შურნალის
გამოცემასთან დაკავშირებული ყველა თანხა (კოლიბრაფი-
ული, საკანცელარიო, თანამშრომელთა ხელფასები). იმისათ-
ვის, რომ შურნალმა არ შეწყვიტოს არსებობა, 1998 წლიდან
მიზანშეფონდებლად ჩავთვალეთ დაფინანსების სტატიების მიღების
და გამოქვეყნების ახალი წესები:

1. ავტორის მიერ წარმოდგენილი მეცნიერული თუ პრაქტი-
კული სტატია უნდა იყოს გადაუბეჭდილი 2 ინტერვალით, არა-
ნაკლებ 2 გვერდისა და არაუმეტეს 12 გვერდისა; ერთი გვერ-
დის ღირებულება შეადგენს 5 ლარს;

2. საავტორო თანხის გადახდა ხდება რედაქციის გუბალ-
ტურთან, იგი გაატარებს სარეგისტრაციო შურნალში, სადაც
ავტორი მოაწერს ხელს;

3. შურნალის გამოცემის შესახებ ეცნობება ავტორს. შურ-
ნალის ღირებულება არ შედის საავტორო გადასახადში.

ბოლოს, გაგაზიტი მოკიდლოთ ამ სიახლეს!

შურნალ „სამართლის“ რედაქცია.

hp 312/3